ნოჯიხური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ

ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი №24 სურწყუნისი 2012

22 დეკემბერი — ყველაზე სამარცხვინო დღე საქართველოს ისტორიაში

ორი ათეული წელი გავიდა მაფიოზურ-კრიმინალურ-კომუნისტურ-რევანშისტული გადატრიალებიდან, მაგრამ დღემდე „ვერ გაურკვევიათ“, 1991 წლის 22 დეკემბრის ავბედით ალიონზე, ქაშუეთის ტაძრიდან პირველი „ბალვანკა“ რომელმა ბალვანმა ესროლა მთავრობის სახლს!.. ასეთ „გაურკვეველ“ ვითარებაში ეგებ სჯობდეს მოვუსმინოთ კაცს, (როგორც თვითონ ამბობს, არქიტექტორს, სასულიერო აკადემიაში ნასწავლს), რომელიც შემდეგ გიორგი ყარყარაშვილის ბანდის — „თეთრი არწივის“ წევრი ბრძანდებოდა, და რომელმაც პირველმა გაისროლა იარაღი 1991 წლის 22 დეკემბრის გამთენიისას, კაცს, რომელსაც კისერზე საშვილიშვილო ცოდვა აწევს — შეიარაღებული გზით კანონიერი პრეზიდენტისა და ხელისუფლების დამხობის დროს შეიარაღებული ბრძოლების დაწყება: „...მე რომ ანგელოზი არა ვარ, ვიცი... ზარბაზნიდან პირველი „ბალვანკა“ სწორედ მე ვესროლე მთავრობის სახლს... მაშინ ვფიქრობდი, რომ სწორად ვიქცეოდი... არა, არც ახლა შემცვლია აზრი, მაგრამ... ერთ რამეს კი ვნანობ, შედეგი ვერ მომინელებია. თუ ამ ხელისუფლებას უნდა ესვა ჩვენი სისხლი, გამხმობოდა ის ხელი ნეტავი...“ (ტარიელ კაპანაძე — მხედრიონელი, „თეთრი არწივის“ წევრი).

ალბათ ბევრს ახსოვს (ყველას თუ არა) როგორ ეხვეწებოდა მთელი საქართველო მასონთა მაგისტერიუმის საპატიო წევრს — შევარდნაძეს, რომ სისხლი არ დაეღვარა! მაშინ, იმ ავბედით დღეებში, ბევრი გრძნობდა რაღაც საშინელების მოახლოებას, ყველა იხვეწებოდა, მათ შორის ცალფეხა, ხეიბარი კაცი, სახელად მეგონა გულუა, რომელიც ყავარჯნებით ჩამოვიდა ოჩამჩირიდან თბილისში, რათა ქართველებს ერთმანეთი არ დაეხოცათ, სამარცხვინო ბაზალეთი არ განმეორებულიყო! მაგრამ ვინ მოუსმინა საცოდავს, სამაგიეროდ მოუსმინეს ჩვენს „ნაღებ ინტელიგენციას“, რომელმაც საქართველოსთვის საბედისწერო უკლებლივ ყველა ეტაპზე კაენის მისია იტვირთა!..

უბედური სამშობლოს ბედნიერი შვილები



„დიდი ოთხეული“, „დემოკრატიული რევოლუციის“ შემოქმედნი: ედუარდ შევარდნაძე, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი.

საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი

22 დეკემბერი, ჯერაც ამოუხსნელი,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.
დანგრეული ჩვენი სული და გამზირი რუსთველის,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.
დანთხეული ძმების სისხლი და ტკივილი უთქმელი,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.
დაბინდული გონება და გაზეზილი მუცელი,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.
„ბრძენთა“ ჩვენთა დუმილი და დაკრეფილი გულს ხელი,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.
ბაღვაშის და შადიმანის სული, სული უცვლელი,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.
22 დეკემბერი, — დარდი ამოუთქმელი,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.

ნოდარ ჯალაღონია.
1992 წ.

1992 წლის 6 იანვრის დილა. ქართველები ქართველების დამარცხებას და საკუთარ გამარჯვებას ზეიმობენ.

„ზეიმი“ რუსთაველის პროსპექტზე

ორკვირიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ
ზეობს ბარაბა, ზეიმი აქვთ სეთურს და შეთეს.
ვითომდა დიდი სიყვარულით კოცნიან ერთურთს —
შეთე ბარაბას ეხვევა და ბარაბა — სეთურს.
ცნობილ მომღერალს პანტომიმის ულოცავს ბოსი,
მერე ერთმანეთს გულმხურვალე ავსებენ კოცნით.
ერთ ნაცნობ მწერალს სიხარულით დასხმია რეტი,
და, ჰა, უნაკლოდ შეასრულა მან პირუეტი.
რა დამავიწყებს მოზეიმე იმ მწერლის სახეს,
აქ, მართალია,არ ვახსენებ მე იმის სახელს.
მაგრამ იქ, როცა კვლავ შევხვდებით ასი წლის შემდეგ,
მასაც მოვკითხავ, ვით ბარაბას, სეთურს და შეთეს...
ან მე არა ვარ სრულ ჭკუაზე, ანდა — ისინი,
ამ თვალებდათხრილ პროსპექტზე რომ ვლიან სიცილით.
კი, „გაიმარჯვეს“, მათთვის არ წვიმს და არც ქარია
და მაინც ასე უსინდისოდ რა უხარიათ
თვალს ვერ ვუსწორებ ქაშუეთს და ვიწვი სირცხვილით...
ან მე არა ვარ სრულ ჭკუაზე, ანდა — ისინი.

მიხეილ ჩაჩუა
1992 წ.

აღა-მაჰმად-ხანის ამოძახილი საფლავიდან

ამას ველოდი ორასი წელი,
აღსრულდა ჩემი ოცნება ძველი,
ხომ მოუთავეს თვითონვე ხელი,
რაც იმ დღეს თბილისს მე დავაკელი.
ცოტა მოთმენაც თუკი შევძელი,
ქართველებისგან უფრო მეტს ველი.

ნოდარ ჯალაღონია
1992 წ.

ქაშუეთის ეკლესია

ძმათამკვლელ ომში აქ სამხედრო ბანაკი იყო,
სწორედ აქედან ამოჰქონდათ ნიშანში კაცი...
კი, გამარჯვების ერთმა მხარემ დასცხო ყიჟინა,
მაგრამ სამშობლომ განიცადა სასტიკი მარცხი...

ნომადი ბართაია
1993 წ.

დადეთ იარაღი, ბიჭებო!

თბილისს სინანულის ცრემლი მოერია...
ვაი, შინდისფერო სიზმრებო!
ეშმას არ ემონოთ, ტაძარს არ ესროლოთ,
თბილისს არ ესროლოთ, ბიჭებო!
უშბას გადმომდგარა ქალი, ლამარია,
უყვარს ლამარიას ლილეო!
უშბას არ ესროლოთ, შხარას არ ესროლოთ!
დადეთ იარაღი, ბიჭებო!
ტირის სამეგრელო, ბედი აერია...
გული დაუამეთ, ნისლებო!
კოლხებს არ ესროლოთ, ცოტნეს არ ესროლოთ,
წარსულს არ ესროლოთ, ბიჭებო!
ახლა ქუთაისში თეთრი აპრილია,
თეთრი იმერეთი იმერობს!
ღმერთი არ გაგიწყრეთ, ღმერთი არ გაგიწყრეთ,
დავითს არ ესროლოთ, ბიჭებო!
კახს რომ ეწურება გული საგულეში,
ვაზის ცრემლებია უენო!
მუხლზე დამხობილი გოდებს ალავერდი,
დადეთ იარაღი, ბიჭებო!
ლიახვს ჭირისუფლის თალხი ჩაუცვია,
ვაი, ახდენილო იჭვებო!
რა დროს ღალატია, რა დროს კამათია,
მუმლი გაგვიხარდა, ბიჭებო!
ძმისგან დახვრეტილო, ძმისგან დაჩეხილო,
ჩემო ამერო და იმერო!
ქართლის ცხოვრებიდან კვნესის ბაზალეთი,
ქართველს არ ესროლოთ, ბიჭებო!
ჩემო ლამაზებო, ჩემო მამაცებო,
ჩემო შეცდენილო ირმებო!
დადეთ იარაღი, დადეთ იარაღი,
დადეთ იარაღი, ბიჭებო!

თინათინ მღვდლიაშვილი
1992 წ.



20 წელი შემაზრზენი მკვლელობიდან

20 წლის წინ, 1992 წლის 25 თებერვალს ქალაქ ზუგდიდში, ლამაზი სახელწოდების კინოთეატრ „საქართველოსთან“ (ახლანდელი, არაფრისმთქმელი სახელწოდების „ატრიუმთან“) დედის — თამარ შერაზადიშვილის თვალწინ ტყვიით განგმირეს ნიჭიერი, ზუგდიდელი არქიტექტორი გოჩა ჭიჭიკოს ძე ჯიქია... ეს საშინელება ჩაიდინა ე. შევარდნაძის ხუნტის დაქირავებულმა „დემოკრატმა“ ჯალათმა, ტყიბულელმა ვახტანგ გიორგაძემ. „მამა-მარჩენალმა“ გიორგაძის „გმირობა“ დააფასა-გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით მკერდი დაუმშვენა და რაღაც ოთხიოდე წლის შემდეგ ვიცე-პოლკოვნიკობაც მიუბოძა...

...იმ შავ 25 თებერვალს, გოჩას მკვლელობის შემდეგ, „მამაცი“ გიორგაძე, „დინამოს“ სტადიონის მახლობლად, მილიციის განადგურებულ შენობასთან, ხელის აუკანკალებლად კლავს მორიგ უდანაშაულო ადამიანს — ენუქი შონიას, რომელიც „დემოკრატიულ“ ტყვიათა თქეშში ცდილობდა ბავშვების დაცვას, მოახერხა კიდეც — მილიციის შენობაში საჩქაროდ შეჰყარა და... სწორედ იქ მოხდა გიორგაძის ნასროლი ტყვია...

გალაღებული გიორგაძე მალე გამოეცხადა „აღებული“ ზუგდიდის „კომენდანტს“, გიორგი ყარყარაშვილს და სიხარულით განუცხადა: „დღეს მე-16 და მე-17 „სუნიანი“ მეგრელი მოვკალიო“ და პასუხად ყარყარაშვილისგან... პანღური მიიღო; „რატომ მეტი არ მოკალიო!..“ შენი დედაო...“ და ხუთსართულიანი გინებაც მოაყოლა...

2012 წლის 25 თებერვალია... 20 წელი გასულა ამ შემაზრზენი მკვლელობიდან.

გოჩა ჯიქიას ხსოვნას

ოდიშიდან ქარაშოტტებს ზარი
მოაქვს,
ფესვდაგლეჯილ იებს მაყრის
სურწყუნისი,
ნატყვიარზე დაგაფარეს ნანასქუა,
ენგურიდან აფლეთილი თეთრი
ნისლი.
დაგეკოცნა ნატყვიარი საფეთქელი
ნიავ-ქარით ფაზისიდან
მონაბერით,
ვოი, ნანა, გაგიცუდდა საჭრეთელი,
ვერ მოხატე რუხის მთაზე
მონასტერი.
საჭყონდიდო, ვოი, ზარმა გააყრუა,
გამოკვანძე სამარყუუედ შავი
ნისლი,
დამელოდე, მალე მოვალ,
ნანასქუა...
ფესვდაგლეჯილ იებს მაყრის
სურწყუნისი.

მზისადარ (ნაზი) ნავროზაშვილი

„ნოჯიხურის“ მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს, მწერალ თამაზ ფიფიას წიგნიდან „ცოდვის კალო სამეგრელოში.“

ავადსახსენებელი დღე

საქართველოში ავადსახსენებელი დღეა 25 თებერვალი. ამ დღეს, ბოლშევიკურმა რუსეთმა, ქართველებისვე მეშვეობით, ცრემლსა და სისხლში მოაშთო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა. იგივე გამეორდა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებისას, — დამოუკიდებლობის გზაზე მტკიცედ შემდგარ საქართველოს, კრემლის კარნახით, ხუნვეიბინებივით შეესივნენ რენეგატი ქართველები, ქვემეხებითა და ტანკებით მიიტანეს იერიში საქართველოს ისტორიაში პირველად არჩეული პრეზიდენტის რეზიდენციაზე — მთავრობის სახლზე. იმპერიულ-კომუნისტურმა რევანშისტულმა ძალებმა უთანასწორო ბრძოლაში კვლავ ცრემლსა და სისხლში ამოახრჩვეს საქართველოს თავისუფლება; კვლავ კრემლის დამქაშები მოვიდნენ ხელისუფლებაში და დაუნდობლად დევნიდნენ ქართველ პატრიოტებს. დაუჯერებელი სინამდვილით გულშეძრული ხალხი ათეულ და ასეულ ათასობით იკრიბებოდნენ სამიტინგოდ დედაქალაქსა თუ სხვა ქალაქ-დაბებში. ცხადია, ძირითადად ესენი იყვნენ დევნილი ეროვნული ხელისუფლების მომხრენი, საკუთარი არჩევანის დამცველი ალალმართალი ხალხი, რომელსაც ჯერაც ვერ გაეცნობიერებია ის ყოვლისმომცველი სისაძაგლე, რაც იმპერიის ერთგულ მათ თანამემამულეებს შეეძლოთ შემოეთავაზებინათ.

სხვებზე უმეტესად ბობოქრობდა ზუგდიდი, მოძალადე ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის ცენტრი,



მამა - ჭიჭიკო ჯიქია

სადაც იკრიბებოდნენ ვერაგულად არჩევანნართმეულნი, დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი, რათა ახალი მუხტი შეემატებიათ ხალხის რისხვისადმი, როგორმე ერთობლივად დაესახათ მდგომარეობის გამოსწორების გზები. მოძალადისათვის კი ყველაზე პოპულარული იყო სიტყვა სტაბილიზაცია, რაც მათდამი დაპირისპირებულთა უსიტყვო მორჩილებას სასტიკი დაუნდობლობით ითხოვდა.

იმ დღეებში, ზუგდიდში, კიტოვანის გვარდიის ტყიბულის ბატალიონის ნევრები, სულგაყიდულნი, ბოგანო ავკაცები ბატონობდნენ ყოველგვარ ადამიანურ მცნებაზე, მომავალში გასაგენერლებელი, გალაღებული „მარჯვე მსროლელი“ ყარყარაშვილი კი ტანკზე შემდგარი იძახდა ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე: სიძეები მოვედით, ზუგდიდელებო. „ზრდილობიანი“ პირდაპირობით ამკობდნენ ზუგდიდელებს მის გვერდით მდგომნიც: დედას... გიტირებთ, მეგრელებო!“ და თან ავტომატშემართულნი ავად იმზირებოდნენ — მცირეოდენ საბაბს ეძებდნენ უფლებამოსილების დასადასტურებლად.

შემზარავი უსამართლობით გაოგნებული ხალხი დაბორიალობდა მოედანზე. არ სჯეროდათ თანამემამულეთაგან ასეთი გამეტებისა და არც მათგან მომდინარე სასიკვდილო საფრთხისა. ერთმა მოხუცმა შოსანმა მანდილოსანმა შეკითხვები შეჰბედა ყარყარაშვილს. იმან კი პასუხად პანღური ამოჰკრა... სიკვდილი ინატრა ამის შემყურე ბევრმა მამაკაცმა — თვალებს არ უჯერებდნენ... ასეთი შეურაცხყოფა დიდთურქობის ჟამსაც არ მიუყენებიათ აქაურებისათვის, მაგრამ რა იცოდნენ, რომ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი ამაზრზენი დანაშაულობებისა, რასაც ეს ვითომ გვარდიელები მომდევნო უახლოეს დღეებში ჩაიდენდნენ.

და, აი, მოედო ქვეყნის „სტაბილიზაციისთვის მოღვაწე“ მოძალადე ფსევდოდემოკრატთა ლაშქრის ცალკეული ჯგუფები ქალაქებსა და სოფლებს, — მთელ სამეგრელოს, იყო მშვიდობიან მცხოვრებთა მკვლელობები, გაუპატიურებები, ძარცვა-გლეჯა, რასაც მაშინ მხოლოდ ერთმანეთთან საუბრით თუ იგებდა ხალხი. ბევრ რამეს ერთმანეთსაც უმალავდნენ, — ენა ვერ გამოხატავდა გულში ჩამარხული ჯავრის სიმძიმეს, შეგინებული ვაჟკაცობისა და თავლაფდასხმის სისატიკეს... ოჯახებში იარაღის ძებნის საბაბით შემოჭრილი გვარდიელები ჭიშკრიდანვე იწყებდნენ სროლას და საცხოვრებელ ოთახებშიც აგრძელებდნენ... ქალიშვილები თითქმის ყველას გახიზნულები ჰყავდათ და თუ ამას ვერ ასწრებდნენ, ასეთ დროს მათ ზოგჯერ საღორეებსა და საბძელებში მალავდნენ...

25 თებერვალს, ზუგდიდის მიტინგზე, იმპერიის ერთგულ თვისტომთაგან უფლებააყრილთ საერთო ჭირვარამის ურთიერთგაზიარებით უნდა მოეოხებინათ გული. შეიარაღებულ ბოროტებასთან უიარაღო ხალხის სხვა რაიმე წინააღმდეგობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მაშინ ითქვა, დაუმორჩილებლობის კომიტეტის წარმომადგენლებმა მიტინგისათვის სანქცია ითხოვესო, რათა საქართველოს ანექსიის დღე კრემლისადმი პროტესტის ნიშნად გლოვით აღენიშნათო. ზუგდიდელთა უმეტესობას მიტინგი სანქცირებული ეგონა იმიტომაც, რომ 25 თებერვალს ფსევდოდემოკრატებსაც, სიტყვით რომ ვითომც თავისუფლებისთვის იბრძოდნენ, ამგვარი პროტესტი მისაღებ ძალისხმევად უნდა მოსჩვენებოდათ. ხალხმა, აბა, რა იცოდა და არც შეიძლებოდა ცოდნოდა, რომ ქალაქის კომენდანტს კრემლის მარიონეტი თბილისელი უზურპატორებისაგან უფლება მიეცა მომიტინგეთა დასაშინებლად ყოველგვარი უკიდურესი ზომისათვის მიემართა, — ზუგდიდში მიტინგი არავითარ შემთხევევაში არ უნდა გამართულიყო!

დღის 12 საათიდან, საგუშაგოებზე მდგარ ავტომატმომარჯვებულ გვარდიელთა თვალწინ თითქოს მინიდან ნაკადებად ამოდიანო, უამრავმა ხალხმა იწყო შეგროვება ცენტრალური მოედნისა და მასთან მიმდებარე პარკის მიდამოებში, სწორედ იქ, სადაც იანვრის მიწურულამდე, სანამ ეს გვარდიელები აქ შემოაღწევდნენ, ასიათასობით ადამიანი ხმამაღლა გამოხატავდა გულისწყრომას ეროვნული ხელისუფლების დამხობის გამო. ეგონათ, რომ მათი ერთსულოვნება კეთილმყოფელ ზეგავლენას მოახდენდა მოვლენების შემდგომ მსვლელობაზე. იმედგაცრუებამაც ვერ დააცხრო უსამართლობით აბორგებული სული, ასე ერთიან ნებად გამოხატული რომ მუშტს უღერებდა ბოროტების იმპერიას და მათ ქართველ დამქაშებს. ხალხი თვალნათლივ დარწმუნდა თუ როგორი ფსევდოდემოკრატები მოდიოდნენ ხელისუფლებაში. უკვე ნიღაბჩამოგლეჯილ მოძალადეთა თარეშით შეძრწუნებულ, დღის უმეტეს პერიოდში შინ გამოკეტილ ზუგდიდელებს ერთი სული ჰქონდათ გაეგოთ რა ხდებოდა ირგვლივ, — საქართველოსა და მისდამი დაპირისპირებულ რუსეთში, მსოფლიოს დიდ ქვეყნებში, რომლებიც, როგორც 1921 ნელს, ისე, ახლაც ყრუნი და ბრმანი აღმოჩნდნენ ქართველი ხალხის უდიდესი გაჭირვებისადმი.

მიტინგი პირველ საათზე უნდა დაწყებულიყო.

თანდათან გახშირებულმა სროლებმა, სულ უფრო და უფრო ახლოს ჩაქროლებული ტყვიების წივილმა, რასაც გვარდიელთა მხეცური ღრიალი და უბილწესი გინებაც ერთვოდა, ხალხს დაანახვა, რომ მტაცებელი ნადირის ინსტინქტებით შეპყრობილი, საშოვარზე აშკარად გამოსული ეს ხროვა, მომიტინგეთ არავითარი პროტესტის გამოხატვის უფლებას არ მისცემდა და აღარც ადამიანთა მსხვერპლს დაერიდებოდა. ამიტომაც, ერთი ნაწილი დაპირისპირებას გაერიდა, უფრო შეუპოვარნი კი ფეხმოუცვლელად იდგნენ მოედანზე.

და მოულოდნელად მოხდა გასაოცარი რამ: 19 წლის ზუგდიდელმა ყმაწვილმა ერთ გვარდიელს თვალის დახამხამებაში ააცალა ავტომატი და მყისვე ხალხის ზღვაში გაუჩინარდა.

ახლა უკვე ავტომატებს ყველა ერთად ისროდა და თან წიხლებით სცემდნენ შეკრებილთ. დუმორეული, გაყეყეჩებული მათი სახეებისა და აღვირახსნილი საქციელის შემყურენი მაშინ კი დაფრთხნენ — სიცოცხლის გადარჩენის ინსტინქტმა თავისი გაატანა... უმეტესობა გაქცევით შველოდა თავს...

* * *

ზუგდიდი მუდამ თავისკენ უხმობდა გოჩას — კვლავ ახსენებდა ყმაწვილობის დროინდელი ჯადოსნური ფერებით შემკულ სამყაროს. 18 წლის იყო, როცა საკუთარ ლექსში გააცხადა რამდენად ძვირფასია ადამიანისათვის ის კუთხე და არემარე, სადაც იშვა და მისი დაბადებით სადაც გაიხარეს, სადაც მშობლიური გარემო, თითოეული მეზობელი, შემხვედრი ადამიანი და ასევე თითოეული ეზო, ქუჩა, ხე და ბუჩქი მოგონებას მოგგვრის თუ როდის რა იყავი, ვინ გყოლია და არა გყავს, რა გქონია და რა გაქვს. როცა ყოველივე ამას ერთად საკუთარ თავში მოუყრი და ერთი წუთითაც ასე დარჩები ოცნების ზღვაში, აი, მაშინ იგრძნობ, რომ ბედნიერი კაცი ხარ. ადრე თუ უბედურად მიგაჩნდა თავი, ახლა უკვე აზრებს შეიცვლი და ჩაიღიღინებ: „ეს ხე ჩემია, ეს მთა ჩემია...“ და ასე, ამგვარად „რაც სულს ჰკლებია, რაც მოჰკლებია, ოცნებაში მიუკვლევია...“ და ამიტომაც ადამიანს უნდა შეგეძლოს სიყვარული... რადგან „სიყვარული ჭორიც რომ იყოს, ამ ჭორის მომგონს კარგი რამე მოუგონია.“

ამ ლექსის დაწერიდან გასული 11 წლის მანძილზე იგი უმეტესად შორიდან ელაციცებოდა ზუგდიდს, სადაც ბავშვობა და ყრმობა გაატარა, საშუალო სკოლა დაამთავრა, საიდანაც უმაღლესი განათლების მისაღებად უკრაინაში გაემგზავრა, ხარკოვის სამშენებლო ინსტიტუტი დიდი წარმატებებით დაამთავრა — ჯერაც სტუდენტი იყო, როცა ხორცი შეისხა მისმა არქიტექტურულმა ჩანაფიქრებმა, ხოლო სადიპლომო ნამუშევარმა საკავშირო კონკურსზე გაიმარჯვა. გოჩამ ინსტიტუტში სწავლისას ბედი დაუკავშირა თანაკურსელ უკრაინელ ქალიშვილს სვეტლანა პლიუშკოს. სტუდენტობის პერიოდშივე შეეძინათ ქალიშვილები, მარგარიტა და სოფიკო. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გოჩამ ცოლ-შვილი ზუგდიდში წამოიყვანა, მშობლიურ ქალაქში სურდა საქმიანობა. მაგრამ მაშინდელი იქაური ბიუროკრატიული წრე ვეღარ გაარღვია... სამსახურში მიღებაზე უარი უთხრეს. ნიჭიერ არქიტექტორს ხარკოვის ინსტიტუტში გაცნობილი მეგობარი, იმჟამად ქუთაისის საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი დავით მელქაძე დაეხმარა და სულ 2 წელიწადიღა იმუშავა გოჩამ ქუთაისის საპროექტო ინსტიტუტში. ამ მოკლე დროის განმავლობაშიც მრავალმხრივ გამოიჩინა თავი... მის მიერ წარმოდგენილი პროექტები საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა. ჩინებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულ საქმეშიც თავისთავად აწინაურებდა — ზემო იმერეთში მიწისძვრა რომ მოხდა, გოჩა აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობდა და ხანმოკლე დროში მან ბევრი კარგი საქმე გააკეთა...

ამ დროს დაიწყო დიდი პოლიტიკური ძვრები. საქართველო თავისუფლებისაკენ მიიწევდა, მაგრამ მტრის დაქირავებული შინაური მტრები თანდათან ამღვრევდნენ წყალს, მერე კი დიდი თევზიც დაიჭირეს — ქართველ ხალხს შეპირებული შავი გოზინაყი აჭამეს, ახალი წლის დღეებში იარაღით დაამხეს ეროვნული ხელისუფლება. მაშინ გოჩა ცოლ-შვილიანად ზუგდიდში ატარებდა შვებულებას... ზუგდიდი კი პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში მოექცა, თუმცა უფრო სწორად, ფსევდოდემოკრატთა ბანდიტური ჯგუფების სათარეშო გახდა. ძნელი აღმოჩნდა ასეთ დროს მშობლებისა და ცოლ-შვილის დატოვება. ამიტომაც გაიგრძელა შვებულების ვადა. სწორედ იმ ავადსახსენებელ დღეს, 25 თებერვალს გადაწყვიტა გამგზავრებულიყო ქუთაისში, მაგრამ წასვლამდე სურდა დასწრებოდა მიტინგს, რომელიც სანქცირებულად მიაჩნდა. მთელი ოჯახით აპირებდნენ წასვლას, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა სვეტლანამ, რადგან თავი შეუძლოდ იგრძნო...

დედა და შვილი, ქალბატონი თამარი და გოჩა მდინარე ჩხოუშიას ხიდს რომ გადმოვიდნენ, მამა, ბატონი ჭიჭიკო ცოტათი ჩამორჩა, რადგან ნაცნობთან საუბარში გაერთო... ამ დროს გაისმა გასროლები და ხალხის ჩოჩქოლის ხმაც, რაც მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამიტომაც არ შეჩერებულან... სროლები თანდათან გახშირდა. ფოსტა-ტელეგრაფის შენობასთან რამდენიმე კაცმა მათ სირბილით აუარა გვერდი, თან გადმოსძახეს:

— ნუ მიდიხართ, საშიშია!

— დავბრუნდეთ, — შეშფოთდა ქალბატონი თამარი.

— ხალხს ხომ არ ესვრიან! — გაიოცა გოჩამ, მაგრამ სიფრთხილე რომ საჭირო იყო, გაიცნობიერა. მიმართულება შეიცვალეს, საკმაოდ განიერი ცენტრალური პარკი გადაიარეს და დედა-შვილმა თითქმის უკაცრიელი ტროტუარით განაგრძო გზა. მათი საფიქარლი უკვე ის იყო, რომ ქუთაისისკენ მიმავალი მანქანა ეპოვათ.

კინოთეატრთან სროლებით შეშინებული დაბნეული მოხუცი ქალი და გოგონა შემოხვდათ.

— ეს რა ამბავია! — იკითხა მოხუცმა.

— ნუ გეშინია, კაცს არ კლავენ, ჰაერში ისვრიან, — დაიმედა გოჩამ ის ქალი და გზა განაგრძეს. ცოტაც გაიარეს და საპირისპიროდ მომავალი, ოთხივე ფანჯრიდან ავტომატებგამოჩრილი ყვითელი „ჟიგული“ გამოჩნდა!“

მერე რაც მოხდა, გულდამწვარ დედას, ქალბატონ თამარ შერაზადიშვილს მოვუსმინოთ:

ნეგადართული მკვლელობები

„ფანჯრებიდან იარაღგამოჩრილი ყვითელი „ჟიგულის“ გამოჩენა ძალიან არ მომეწონა, მანქანა უცებ დამუხრუჭდა, ოთხივე კარი გაიღო და მყისვე ოთხი ავტომატმომარჯვებული ახალგაზრდა გადმოხტა. ერთმა დაიძახა: ეს არისო! (ცხადია, მიზეს ეძებდნენ, თორემ ავტომატის წამრთმევი ბიჭი უწვერული ყოფილა, გოჩა კი წვერს ატარებდა). ამის თქმა და დაეძგერნენ გოჩას, დაიწყეს ცემა და გინება.

მე მათ გადავუდექი.

დედა - თამარ შერაზადიშვილი

— რას ერჩით, შვილებო, ვინ ეს არის, რას ამბობთ!

მუშტები მეც მომხვდა. გოჩა გვერდზე გადახტა და ამ დროს ერთმა გვარდიელმა ავტომატი მოიმარჯვა.

— არ მომიკლათ, ერთადერთი ვაჟი მყავს, — ვიყვირე და დავიბენი. არ მჯეროდა თუ მოსაკლავად ესროდა, ავტომატის ლულას დავაკვირდი, გული გადამიქანდა და გავქანდი, მინდოდა შვილს გადავფარებოდი.

— არ ესროლო! არ ესროლო! — მომესმა ერთ-ერთი გვარდიელის შეძახილი, მაგრამ ამასობაში გასროლის ხმა გაისმა და გოჩა ჩაიკეცა. მივვარდი. მუხლებზე მდგარს სისხლი თქრიალით სდიოდა. გამოვბრუნდი და მკვლელებს გამოვეკიდე. მინდოდა რაღაც ძალზე მწარე სიტყვა მეთქვა, რომ ჩემთვისაც ესროლათ, მაგრამ სიტყვები არ მეყო, თქვე... თქვე... დავიწყე და თითქოს ენა ჩამივარდა, როგორც იქნა ამოვიკივლე:

— შვილი ხომ მომიკალით, ახლა მეც მომკალით!

ზედაც არ შემომხედეს, მე ამ დროს გოჩასკენ გამექცა თვალი.

— არა!, არა! დედა არ მომიკლათ! — ბოლო სიტყვები ძლივს ამოიხრიალა. თითქმის არ გამიგონია, მაგრამ სახის მიმიკით მივხვდი, რასაც ამბობდა. ჩავეხვიე ჩემს გოჩას, იღლიებში შევუდექი, უკვე გონებას ჰკარგავდა, მაგრამ არ დაცემულა, მივხვდი, არ უნდოდა ჯალათებს ძირს გართხმული ენახათ და უკანასკნელი ძალისხმევით თავს იკავებდა, ტყვია ზუსტად საძილე არტერიაში მოხვედროდა და სწრაფად იცლებოდა სისხლისგან. ამ დროს უბედური მამამისიც მოგვიახლოვდა. მე უკვე ხმა არ მქონდა, რაიმე რომ მეთქვა. როცა ჭიჭიკომ დაიყვირა გოჩაო, სულთმობრძავმა მამისკენ მიატრიალა თვალები და ვიგრძენი სული როგორ ამოუვიდა.

გონება დამებინდა, მაგრამ იმას კი ვხედავ ხალხი როგორ მორბის ჩვენსკენ და მერე უკანვე გარბის. ეს მიკვირს, მაგრამ არანაირი ანალიზის თავი არა მაქვს. თურმე ჩვენს უკან გვარდიელები ჩარაზმულან და ხალხის მოახლოებისთანავე ერთობლივად ისვრიან. ერთი ქალიშვილი ახლოს მდებარე ხემდე მოსულა, მიცვენილან და კინაღამ მოუკლავთ. თურმე ხალხს უნდა სასწრაფო დახმარების მანქანა გააჩეროს, მაგრამ გვარდიელებს მანქანისათვის უსვრიათ: ეგ აქ უნდა ჩაძაღლდესო!

მკვლელთა ის ყვითელი „ჟიგული“ წასულა სტადიონის მიმართულებით და შიგ მსხდომთ თვალი მოუკრავთ ენუქი შონიასათვის.

— ეს ძველი ბიჭი ვინ არის, აქ რომ დადისო! უთქვამთ და მაშინვე უსვრიათ. ენუქისაც ტყვია ზუსტად საძილე არტერიაში მოხვედრია და ისიც იქვე გარდაცვლილა. მკვლელებს მანქანა მოუბრუნებიათ, ხელი გამოუყვიათ და დაუძახნიათ: ეს რა არის, ამაზე უარესს გიზამთო.

→ 3

2 ←

უბედური დედ-მამა მკვდარ შვილთან მწუხარებისაგან შეშლილები მოვთქვამდით, მერე ვიღაც ღვთისნიერმა წაგვიყვანა საავადმყოფოში, მაგრამ რად გვინდოდა, გოჩამ სული უკვე მე ჩამაბარა.

დაჭრილიც ისეთი შესახედაობის ვაჟკაცი იყო, ქირურგს (ამბობენ იმასაც გოჩა ჰქვიაო) ცხარე ცრემლით უტირია.

მეუღლე — სვეტლანა პლიუშკო
პატარა მაკოსთან ერთად

შინ რომ მოვასვენეთ, მთელი ნათესაობა შეიკრიბა. ჩემი ძმებიც მოვიდნენ. გულზე გენია შემომთებოდა, მაგრამ ვცდილობდი გონივრულად მოვქცეულიყავი, არ მინდოდა ახლობლები წამექეზებინა, თვითონ კი გადავწყვიტე თავი გამეწირა.

იალონზე გამოვიპარე შინიდან და ფეხით გავუყევი ქუჩას. გვარდიის კომენდატურაში უნდა მივჭრილიყავი, კომენდანტი იყო ვინმე ბაჩუკი ბაზირაშვილი, თბილისელი ავკაცი, როგორც მერე გავიგე, მკვლელ გიორგაძეს ბაჩუკისათვის უთქვამს ორი კაცი მოვკალიო. რატომ მეტი არ მოკალიო, ასე უპასუხნია კომენდანტს. ასეთ ხალხთან მოვდიოდი შიშველი ხელებით და მინდოდა მკვლელებისათვის თვალები ამომეკაწრა, მათი წყევლითა და ლანძღვა-გინებით ამჯერად მაინც გული მეჯერებია, საბოლოო მიზანი კი ის იყო, როგორმე თავი შემეკლა, მაგრამ მეზობელმა თვალი მომკრა და უკან დამაბრუნა.

დავადგინეთ ვინც იყო მკვლელი. თურმე მისი ძმა გელა გიორგაძე 27 დეკემბერს მთავრობის სახლზე შტურმის დროს დაღუპულა. რადგან უმეტესობა მეგრელები იცავდნენ ზვიად გამსახურდიას, ამ ვახტანგ გიორგაძეს გადაუწყვეტია 20 მეგრელი შეეწირა ძმისთვის. გოჩა მე-17, ხოლო ენუქი შონია მე-18 იყოო, ასე თქვაო ყარყარაშვილმა, მოგვწვდა ჩვენ ხმა. არ გაგვკვირვებია ასეთი ნათქვამიც, რადგან რასაც ვხედავდით, მეგრელების ნამდვილი გენოციდი იყო. მსგავსი არ გამიგონია და არც წამიკითხავს. მეგრელების დასაჩოქებლად იყვნენ შემოყვანილნი, მაგრამ ვერ დააჩოქეს. მე თვითონ დავინახე — ყარყარაშვილმა მოხუცქალს საჯაროდ პანღური ამოკრა და ამან მის გვარდიელებში ხორხოცი გამოიწვია. ჩემი გაუბედურების წინა დღეებში მოედანზე ავტომატმომარჯვებულს ვკითხე:

— შვილო, ვის წინააღმდეგ მოდიხარ?

— მეგრელების წინააღმდეგ.

— შენ სადაური ხარ?

— იმერელი.

— მერე იმერელმა არ იცი, რომ მეგრელები ქართველები არიან?

— მეგრელები რა ქართველები არიან! — ბოროტად ჩაიხითხითა მან.

— თქვენ არა ხართ ქართველები!

აი, ასეთი განწყობით მოდიოდნენ ისინი სამეგრელოში და საქციელსაც შესაფერისს ჩადიოდნენ. ჩვენ კი, გამწარებულ დედ-მამას გვეუბნებიან ნუ გაბოროტდებითო. არც გავბოროტებულვართ, თორემ შურისძიება მაშინვე შეგვეძლო...

გოჩას სიკვდილიდან ორიოდე კვირაში, 9 მარტს, რუხის ციხესთან გაიმართა ბრძოლა დაუმორჩილებლობის ძალებსა და სამთავრობო ჯარის ნაწილებს შორის. მაშინ ყარყარაშვილი და ქუთათელაძე ტყვედ ჩაიგდეს და ჩვენს სახლში მოიყვანეს ვალტერ შურლაიას ჯარისკაცებმა. არც ერთ მხარეს არ უნდა სცოდნოდა ტყვეთა ადგილსამყოფელი.

მე მათ სუფრა გავუშალე. დასხდნენ და ივახშმეს, მერე კი უკითხავთ: — შაოსანი, რომ გვემსახურება ვინ არისო? — შვილი ყავს გარდაცვლილიო, მიუგო თურმე მცველმა. მე მაშინ ერთ ახალგაზრდა მცველს ვთხოვე ვახშმობის მერე ისინი ჩემთან შემოეყვანათ.

— ცუდი არაფერი უთხრათ! — საპასუხო თხოვნით მომმართა იმ ახალგაზრდამ. მათი ბოროტების სანაცვლოდ გულმოწყალენი ვიყავით რატომღაც ყველანი.

შმოიყვანეს ორივენი. დადგნენ და მიმზერდნენ ცნობისმოყვარედ.

— არ გეწყინოთ და ჩემი შვილის მკვლელები ხართ! — ასე დავიწყე სათქმელი და რა როგორ იყო, ყველაფერი მოვუყევი მათ. ყარყარაშვილს გავახსენე, მოხუც ქალს ისე უხეშად რომ მოექცა. თქვენ შეაგულიანეთ, თქვენ მიეცით პირადი მაგალითი და ამით იგივე თქვენ ესროლეთ ჩემს ვაჟს-მეთქი. ეს რომ ვუთხარი, არ ვიცი ასე როგორ შეიძლება მოიკეცოს ადამიანი, როგორც ყარყარაშვილი დაიგრიხა და ადგილზე ჩაიფუშა. ქუთათელაძეს ფერი წაუვიდა, ხელი სტაცეს რომ არ წაქცეულიყო. მაშინ ყარყარაშვილს უთქვამს, მე გოჩას დედის გაკეთებულ კერძს არ შევჭამო და არც უჭამია, თუმცა ამით მას საკვები არ დაკლებია, — დიდ პატივისცემაში ჰყავდათ ორივენი, მერე კი, როგორც ჩვენ გვითხრეს, ზვიადს დაურეკეს გროზნოში და იმან თურმე თქვა — აპატიეთ, გაუშვითო! მერე სხვებიც გაუშვეს!

დაოგლეგულნი:
მარგარიტა და სოფიო

უფლის ნებით საქართველო გაბრწყინდება!

გოჩა ჯიქიას ხსოვნას

შავ სურწყუნისს მოძმის ხელით
მოგხვდა ტყვია, —
შიგ, საძილე არტერიას...
სასიკვდილო...
გიორგაძე (ვინც გესროლა!)
პირუტყვია! —
იგი თავის გამართლებას ახლაც
ცდილობს.
.....
...მოიწევდა „თბილისელის“
შენაერთი,
სულით, მხდალნი ჩაეწერნენ
„მხედრიონში“,
ისინია! — დეკემბრის თვეს
პრეზიდენტის
დასამხობად რომ შეითქვნენ მაშინ
რკონში!..
ველურობამ მიაღწია რადგან
ზენიტს,
(ექნებოდათ მათ ვინმესთან
საბოდიშო?!)
„გაიძოვეს“ გურია და იმერეთი
„დემოკრატნი“ შემოიჭრნენ
საოდიშოს...
ოცდახუთში იქ ჩამოწვა შავი
ნისლი,
გიორგაძე შავბნელ საქმეს მაშინ
მორჩა...
ცრემლ-სისხლს თოვდა სისხლიანი
სურწყუნისი,
დედის თვალწინ სულს ღაფავდა
რადგან გოჩა...
„დემოკრატთა“ ზუზუნებდა
დიდხანს ტყვია,
გოჩა ისევ შეაწუხა იარებმა...
სულთმობრძავი ისმენს ლაჩართ
ხორხოც-ღრიალს,
მისი მკვლელი დღესაც ლაღად
იარება...
.....
გოჩა იყო ცოტნეს მოდგმის, ჯიშის,
გენის! —
საოდიშოს, ვაი, ვხედავ
თვალდანამულს...
„ოთუთუმეს“ სასაფლაოს როგორ
შვენის —
წამებული რომ ჩაეკრა მკერდში
მამულს!..
ნეტავ, მისებრ ვაჟკაცი არ
დაილიოს,
ნეტავ, ახდეს ჩვენი სულის
მისტერია,
ბოროტება საბოლოოდ დაიძლიოს,
პირუთვნელი სიტყვა გვითხრას
ისტორიამ!
აი, მაშინ შეიცვლება მძიმე დრონი,
ქართველთ შორის ძმობა ისევ
აყვავდება, —
დაიგმობა გოჩას მკვლელიც...
„მხედრიონიც...“
უფლის ნებით საქართველო
გაბრწყინდება!

ვალერი ძაძამია
25.XII. 1992წ.

გოჩა ჯიქია
ლექსები

მაინც გავიგებ...

ვწერ იმას, რაც მსურს და რაცა
მსურს,
არ ვუცდი მუზას, სადაც მე მინდა,
იმ ნაპირთა ჩავუშვებ ღუზას.
უნდა ავისხა მეც ზვიგენის
მკერდზე ეშვები,
ცხრა მთას გადავალ, ცხრა
მორევში გადავეშვები.
რკინის ქალამნებს და რკინის კეცს
გავიწრთობ, გავთლი,
მეც გავჭრი ბილიკს და მის სიგრძეს
გოჯით არ დავთვლი.
მგლის მუხლს მოვიბამ, ნაგაზივით
დავიგეშები,
თუნდაც არ ღირდეს, ვდევ
ცხოვრებას, არ მოვეშვები.
თუ ფეხს დავიცდენ, თუ
ხელთუქმნელ სვეტს ვერ ავიგებ,
მერცხლის მოფრენას
გაზაფხულზე მაინც გავიგებ.

ბარათი

მთვარიან ღამეს მოწმენდილ ცაზე
ვარსკვლავებს ვითვლი,
მათ შორის ვარჩევ ყველაზე ნათელს
და მისი პირით მოკითხვას გითვლი.
შენთვის უცხოა, რომ ჩემს გულზე
არის იარა,
ცეცხლმა და წარღვნამ ამ ჩემს
მკერდზე გადაიარა.
მივენდე გორგალს უდაბნოში
მგზავრი ეული,
დავეხეტები განწირული,
გზააბნეული.
ვერ ვტოვებ ღრმა კვალს ჩემს
ნავალზე, წაშლის დროება,
საუკუნენი ქვეყანაზე არ მედგომება.
სული ეშმაკებს, სხეული კი ყასაბს
მივყიდეთ...
ცოდვა ამგვარი (ვინ შეგვინდობს?)
სხვაც ავიკიდეთ.
არა ვწერ ანდერძს გარითმულს და
არც დიდს, არც მცირეს,
ჩემი სიმდიდრეც მტაცებლებმა
გაინაწილეს.

შეგახე ბაგე

შეგახე ბაგე, ღვთის წინაშე პასუხი
ვაგე,
შემყარე სევდა, შენზე ფიქრში
შემომათენდა.
მივყვები ფიქრებს, რა სენია,
სახელს რას ირქმევს
ეს გრნობა ჩემი დამღუპველი თუ
გადამრჩენი,
რა არის ნეტა, უეცრად რომ
შემომეფეთა?
შეგახე ბაგე ღვთის წინაშე პასუხი
ვაგე...

ხავსმოდებული ბილიკები

ხავსმოდებული ბილიკები,
საფეხურები,
მივიწყებული ჩემგან ჩემი წმინდა
ტაძარი,
მარტოობისგან დაბზარული მისი
თაღები,
ხატი ფერმკრთალი და სანთელი
ხატთან დამწვარი.
მიმობნეული, მიკარგული წმინდა
ფერები,
მიმობნეული ოცნებები — უკვე
ზღაპარი,
სდუმან ზარები, შრიალებენ
სარეველები,
იხრჩობა კვამლში შუქჩამქრალი
ჩემი ლამპარი.
გზააბნეულნი ღუღუნებენ თეთრი
მტრედები,
და... ოცნებები ფარფატებენ,
როგორც ფიქრები,
და... ღვინობისთვის მწუხრში ნიავს
მოაქვს ცრემლები,
და... ღვინობისთვის მწუხრში ქრება
ჩემი ფიქრები.

ღვინობისთვის 13, 1989წ.

სისხლიანი დეკემბერ-იანვარი

თბილისი, 1992 წელი, იანვარი

ღამეა, მკვდარი ღამე წევს
მკვდარი ქალაქის მკერდზედა,
ცას შეჰყინვია მთვარე და
მტკვრის გულისცემაც ჩერდება,
სისხლში და ცრემლში იხრჩობა
ჩემი ტანჯული ბერდედა.
წევს ჩემი დედაქალაქი
სისხლით გაჟღენთილ ჭილობზე,
ნაცემი, ძეძვზე ნათრევი
წევს და ილოკავს ჭრილობებს
და კაცისმკვლელი ლაჩრები
თავის მართლებას ცდილობენ.
ხმალი ქარქაშში ჩამხრჩვალა,
მაჯა მიმკვდარა ვადაზე,
ხელს იწვდის მთვარე, სისხლიან
ღრუბლებს ცახცახით გადასწევს,
არც სპარსთ, არც არაბთ... თბილისი
თბილისელებმა გადასწვეს,
ფურთხს ლოკვენ მაცილისასა,
მუხლს მაცილის წინ იყრიან,
ისევ ატკივდა გორგასალს
ისრით გაჭრილი იღლია,
მთვარე გაფითრდა; — ეს სისხლი
ძმისგან მოკლულის სისხლია!
ეს მეცამეტედ დასცეს და
ეს მეცამეტედ გადასწვეს
და მთვარე — ჟამთაღმწერელი
საუკუნეებს გადასცემს:
არც თურქთ, არც მონღოლთ, —
ამჯერად თბილისელებმა გადასწვეს.

მამუკა წიკლაური

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა! —
მრავალს უწია ცოდვამ:
ვინ რა ყოფილა, — გამოჩნდა!
კაცი აღმოჩნდა ცოტა!
ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!
ცოდვის კითხვაა... ჰოდა! —
ყველა ისეთი აღმოჩნდა, —
რა წარმოდგენაც მქონდა!
ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა! —
მივხვდით, — ბრძანდება ვინ ვინ!
ღმერთი! თვით ღმერთი გაოცდა! —
ამდენი დამპლის ხილვით!

მუხრან მაჭავარიანი
1992 წ.

ნაწყვეტი პოემიდან „გველისტყაოსანი“

თენგიზებისა და ჯაბასგან ნადირობა

დილასა ადრე მოვიდა თენგიზ ჰაუბიცოსანი,
მხარს უმშვენებდა სიგუა იზოსან — ლუიზოსანი,
მოვარდა ჯაბაც — „რამკიან“ ქურდთა ნაზარდი სოსანი,
გარს „მხედრიონი“ ეხვია, შვენოდა ქარქაშოსანი.
მოუხმეს რუსის სალდათებს: „ერთნი ვართ გულით ფლიდითა,
ჩვენიანთ დასახოცავად იარაღს მოგვართმიდითა,
იარეთ, როგორც ცხრა აპრილს ქართველთ გვამებზე ვლიდითა,
ღმერთი არ დაგსჯით უწმინდეს — უნეტარესის რიდითა.“
მოვიდა ჯოგი ნადირთა, სავარძლებისა მდომელი,
მაფია, კარიერისტი, ყველაი — მაღლა მხტომელი,
ინტელიგენტთა „ბნელიტა“, დავასახელო რომელი —
რევაზი, ზურაბ, ჯანსუღი, ირინა დაუდგრომელი.
პასუხად მიტევებისა, პასუხად ვარდთა, იათა,
იყო უწყალო ზუზუნი „დემოკრატიულ“ ტყვიათა,
სამშობლოს გულ-მკერდს უფლეთდა „კალაშნიკოვის“ სიათა,
ჭირმან, ტკივილმან, თითომან კი არ იორა, იათა...

შ. რუსთგალელი

* * *

ჩემო ქვეყანავ, მწარედ იმკი შეცდომის შედეგს,
ლაშარის გორზე გსურდა, მაგრამ ვერაფრით შედექ.
დაგშორდა ღმერთი, ნასაყდრალი დარჩათ ეშმაკებს
და მახრჩობს ბოღმა, ვით ერეკლეს კრწანისის შემდეგ!..

ლადო მრელაშვილი

მზია აკობია-ძაძამია

„მწერალი და პუბლიცისტი, პოეტი და აფხაზეთში ქართული მწერლობის მეგზური, საზოგადო მოღვაწე შოთა აკობია ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ფონზე ერთობის ხიდივით აკავშირებდა ორი მოძმე ხალხის შვილებს“ — წერს მწერალი ევგენი აქუბარდია შოთა აკობიასადმი მიძღვნილი მონოგრაფიის წინასიტყვაობაში და იქვე დასძენს: „შოთა აკობიას შემოქმედება მართლაც რომ ჭეშმარიტებიდან ამომავალი საგანძურია, რომელიც თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში.“

ორივენი წალენჯიხის რაიონიდან იყვნენ, — ღირსეული შვილები თავიანთი ეპოქისა, აფხაზეთში მოღვაწე მწერლებში კეთილშობილებით გამორჩეულნი, რომელთა მიმართ დიდ ვალშია მშობლიური წალენჯიხა და იმედია, სამომავლოდ, მათ ხსოვნას სათანადო პატივი მიეგება.

ახლა კი გვსურს მკითხველს გავაცნოთ შოთა აკობიას ქალიშვილის, ცნობილი პოეტის, ქალბატონ მზიას შემოქმედება. მზია ბავშვობიდანვე მამის გზის ღირსეულად გამგრძელებელია. მან ბედი დაუკავშირა ასევე მუზის ერთგულ თაყვანისმცემელს, შესანიშნავი ლექსების ავტორს მამუკა ძაძამიას. სოხუმში შექმნილი ეს ბედნიერი ოჯახი დღეს ლტოლვილობაში ცხოვრობს თბილისში.

მზია აკობია-ძაძამია შიო მღვიმელის პრემიაზეა წარდგენილი.

თამაზ შოთაძე

* * *

დავიბადე ქ. სოხუმში 1954 წლის 15 მაისს. დავამთავრე სოხუმის V საშუალო სკოლა, — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტი. დაბადებიდან სოხუმში ვიზრდებოდი, მაგრამ ჩემი ფესვები, მაინც სამეგრელოსთან არის დაკავშირებული, ჩემი ლამაზი, საუკეთესო ბავშვური წლები, ყველაზე საინტერესო პერიოდი სამოციანი — სამოცდაათიანი წლები იყო.

ჩემი პირველი, პოეტური შთაგონების მხარე იყო დედულ-მამული, — წალენჯიხის რაიონი დაბა ჯვარი, — სადაც არდადეგებს ხშირად ვატარებდი. იქაური ყოველი ბალახის ცვარი, ჩემს სულში მარგალიტებივითაა შემოსული, ხისა და ბუჩქის ყოველი ნაფოტი, ჩემთვის მშობლიური და ძალიან საყვარელია დღემდე.

ლექსებს ბავშვობიდან ვწერ. სამწერლო ასპარეზზე სამოცდაათიან წლებში გამოვედი. ჩემი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა რეს-პუბლიკურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში, შუქდებოდა ტელე-რადიო გადაცემებში სიუჟეტებად. პირველი პოეტური კრებული — „ჯინსიანი ფისო“ დაისტამბა 1982 წელს გამომცემლობა „ალაშარაში“. ამჟამად ვარ 8 წიგნის ავტორი. მკითხველი საზოგადოება ქ. სოხუმში, წყალტუბოში, ქუთაისში და თბილისშიც მიწყობდა შემოქმედებით საღამოებს. ჩემს ლექსებზე შეიქმნა სიმღერები, დაიწერა მონოგრაფია. ვარ საბავშვო პიესებისა და პროზაული ნაწარმოების ავტორიც. ვეწევი მთარგმნელობით მუშაობასაც, ვარ საქართველოს მწერალთა შემოქმედების კავშირის წევრი, საყმაწვილო ჟურნალ „იალქანის“ კოლეგიის წევრი, საქართველოს ავტორთა საზოგადოების წევრი, 60-მდე მუსიკალურ ნაწარმოებთა ავტორიც, — საბავშვო, კლასიკური და საესტრადო.

მყავს მეუღლე, ორი ვაჟიშვილი და ორი ქალ-ვაჟი, შვილიშვილი.

ბავშვებო!

ჩემო პატარა ცუგრუმელებო! მოზარდებო, ქვეყნის ნერგებო და ყვავილებო! ჩვენი ქვეყნის მომავალნო, რომელთაც საქართველო, დიდი იმედით შეგხარით! მეც ვიმედოვნებ, რომ ყოველმა თქვენგანმა კარგად იცის რომ ჩვენი საქართველოს ნაწილი ხართ. დიდ-პატარა უნდა ვზრუნავდეთ სამშობლოსთვის, რათა ჩვენმა ქვეყანამაც, გულის კარები ფართოდ გაგვიღოს, შეგვიყვაროს ჩვენი საქმისამებრ და ღირსებისამებრ. მე თუ რაიმე დამიწერია, ძირითადად, თქვენთვის დამიწერია. ჩემი პოეზია და პროზაც გამსჭვალულია თქვენდამი სითბოთი და სიყვარულით. ამიტომაც ვგონებ, ჩემგან მიღებული რჩევა-დარიგება, არც ერთისთვის იქნება, — როგორც მხოლოდ საუბარი საქმეზე, შრომისა და მოქმედების გარეშე, ყოველი თქვენგანისადმი მიძღვნილი, ყოველი ჩემი სტრიქონი სავსეა გულწრფელობით, რადგან მართლაც, ძალიან მიყვარხართ და მინდა ყველანი ჭკვიანები, ბეჯითები და ბედნიერები იყოთ!

გიყვარდეთ ერთმანეთი, პატივი ეცით ჩვენს ქართულ, ძირძველ ტრადიციებს, — რაც ძირითადად, ჩვენს უფროს-უმცროსობას ეხება. დღევანდელ ეპოქაში, აუცილებელი გახდა უცხო ენის შესწავლა. თქვენც შეგიძლიათ ისწავლოთ უცხო ენა, მაგრამ ჩემი თხოვნაა, თქვენს დედა-ენაზე უფრო არ შეიყვაროთ. არ განეშოროთ მშობლიურ ენაზე დაწერილ წიგნს, — ეს ძალზე მნიშვნელოვანია!

სიყვარულით და იმედით
მზია აკობია

საბავშვო ლექსები და იგავ-არაკები

რა სჯობია

თუმც... დღეს უჭირს საქართველოს,
ჩემს სანუკვარ მხარეს.
სხვაგან შორად, ლაღად ყოფნა,
მაინც არ მახარებს.
რა სჯობია დედულ-მამულს!
როცა ისმენ ქართულს!
შენი მზე რომ გეფერება,
შრომით, გარჯით გართულს!
რა სჯობია წვეთებს წვიმის,
თუნდაც სეტყვას ცივ-ცივს!
ჟივჟივს, ჭიკჭიკს...
მინდვრად ნამის,
მარგალიტად ციმციმს!
რა სჯობია, პატარების
ყიჟინსა და კისკისს!
როცა მათი ლაღი ხმები,
კიდით-კიდე ისმის!

ლაპარაკობს დედა-ენა

მე ვარ შენი დედა-ენა,
ჩემო გოგო, ბარბარე.
გესალმებით ყველა ბეჯით
და გონიერ პატარებს;
იმედს, ქვეყნის მომავლისა,
ვინც ღრმად, გულში ატარებს.
დააკვირდით, ფერთა ხვავებს
და სიბრძნეთა ნაკადებს;
ჩემს ფურცლებზე, უხვად ნახავთ
ზღაპრებსა და ანდაზებს.
გადამშალეთ, აბა, მნახეთ
თქვენი ლაღი გონებით;
სიმამაცე სიბრძნის იბრძვის,
ფლიდი, — კვდება გოდებით.
და ასეა, ბოროტს მუდამ
სძლევს სიკეთე, სიწრფელე!
მართლის მთქმელი, მადლის მქმნელი,
ჯანსაც უცებ იმრთელებს.
მოგიწოდებთ თქვენ, ბავშვებო!
ვინც კი დამეწაფებით;
ცხოვრებაში სულ იქროლებთ,
სიხარულის აფრებით!

მშიერი ბაჭია

ყურცქვიტა ვარ პატარა,
ნაცარა და ცანცარა.
გადამღალა, მინდვრებში
უსაქმურად წანწალმა.
ვერ წავაწყდი სტაფილოს,
ვერც კომბოსტოს, — საკბილოს!
ბალახით ვერ ვნაყრდები
თუმც ის, ხშირად მმასპინძლობს.
წინათ ჩვენი ჯილაგი,
მუდამ იყო მაძღარი!
ქორფა ბოსტნეულები
გქვონდა ახალ-ახალი.
დღეს, მგონია... სოფელი
გაზარმაცდა ძალიან.
აბა, ჩემი შიმშილი,
მეტი რისი ბრალია?!

წეღან სად იყავ, ჩიტო

— წეღან სად იყავ, ჩიტო?
— ღრუბლების გვერდით გახლდით.
ამ ხეობებს და ჭალებს,
გადმოვყურებდი მაღლით.
— რა მოგენონა უფრო,
ესეც გვითხარი ბარემ?
— ჩემი პატარა ბუდე,
ჩემი მშობელი მხარე!

მაშინ, როცა არა ჩანს

აი, წვიმა მინელდა,
უცებ გამოიდარა...
ცისარტყელამ მომხიბლა,
ფერთა ხვავით მდიდარმა!
სულ მახარებს, ლაჟვარდზე
მისი აციალება...
მაშინ, როცა არა ჩანს,
ნეტავ სად იმალება?

ყვავილი და ირინე

— რამ დაგაღონა, ყვავილო?
— ნამი დამაკლდა წუხელის.
ცვარ-ნამი ჩემი ფრთებია,
გვალვა კი, მძიმე უღელი.
— გეთქვა, აქამდე მოგრწყავდი, —
ლამის ატირდა ირინე.
— თქმა მომერიდა, გოგონავ,
მიშველე, შენი ჭირიმე!

მომავალი გუშაგი

აი, ლეკვი იღრინება,
თითქოს ითხოვს, კბენის ნებას.
ეცინებათ ხბოს და თიკანს;
— ლეკვო, კბილი მარცვალს გიგავს!
ეცინებათ თხას და გიგოს;
— ლეკვო, მახე არ დაგვიგო!
ეცინებათ გოჭებს, იხვებს;
— აი, შიშით უკან ვიხევთ!
— ნუ დასცინით! — ბრაზობს მურა,
— ის იზრდება ყარაულად.
ის აჯობებს, მიანიჭოთ
ერთ ყეფაზე, — თითო ქულა.

ჩვენ ქართველი მოზარდები

უცხო ენის, ნებისმიერ,
ვარ ნამდვილი მსწავლელი.
მაგრამ მაინც, ამ ჩვენს ძირძველ
ქართულს, ვენაცვალები!
რუსთველმა ხომ ამ ენაზე
შექმნა დიდი პოემა!
სიბრძნით სავსე, რაც ამშვენებს
ნებისმიერ დროებას.
ჩვენ ქართველი მოზარდები,
ქვეყნის მომავალნი ვართ!
დედა-ენის დაცვა ჩვენთვის,
უმთავრესი ვალია.

მზე და კახა

— მზევ, ჩადიხარ?
— ჰო, ჩავდივარ!
— რად ჩადიხარ, —
ნაღვლობს კახა.
— აბა, მე რომ არ ჩავიდე,
შენ ვარსკვლავებს,
როგორ ნახავ?!

სტუმრად არქიტექტორთან

შეხეთ კედელს, ზედ რამდენი
ნახატი და ნახაზია!
აი სკოლა, აი ბაღი,
აი სოფლის მაღაზიაც!
მასპინძელი ასე გვირჩევს:
— თქვენაც ხატეთ,
თქვენაც ხაზეთ!
თქვენც იშრომეთ,
რომ ქვეყანას,
არ მოაკლდეს სილამაზე!

ჩემი ხუნდი

ჩემი ხუნდი, სხვა ხუნდია,
წიწილებთან გაიზარდა.
ჩვენს ეზოში მოსეირნეს
არვინ უნდა, კრუხის გარდა.
ხბოს გაურბის, ფინიასაც,
კრუხის გარდა, არვის ენდო!
— ყოჩაღ ხუნდო, გაიზარდე
დედინაცვლის საიმედოდ!

იალაღთან

ბღავის ბუსკა... იქვე ჩელა,
ცვრიან ბალახს, ჩლიქით თელავს.
წვერცანცარა თეთრი ვაცი,
იალაღზე მიიჩქარის.
ბალახების ზღვაში მდგარნი,
კიკინებენ თხა და ცხვარნი.
თითქოს, განგებ იძახიან,
— სად არისო საძოვარი.

მხეცების სამართალი
(იგავ-არაკი)

მგელმა სიტყვა აიღო:
— როგორც მოგეხსენებათ,
ააოხრეს ქვეყანა
თხებმა, ცხვრებმა, ცხენებმა!
ეს ლამაზი ქვეყანა
შეაწუხეს ძალიან.
დასჯა დამნაშავეთა,
ჩვენი წმინდა ვალია!
მელა ადგა პირველი,
კამათი რომ გაჩაღდა;
— იხვი, ბატი, ქათამი
აი, სია ყაჩაღთა.
დათვი ძლიერ გაბრაზდა;
— მიკვირს თქვენი ნათქვამი!
განა ნაკლებს აშავებს,
თიკანი და ბატკანი?!
ტურა კივის; — რა მესმის,
ლამის გადავირიო!
ძაღლი რად არ ახსენეთ,
ქვეყნის ჭირთაჭირიო!
სხვა საშველი არ არის,
სხვა მიზანი არ არის.
პირველ რიგში, ძაღლების
გაწყვეტაა მთავარი!
ლომი ადგა; — არ მესმის,
თქვენი იწლბიწილო!
ამიტომაც არ ვიცი
ვიტირო თუ ვიცინო!
მე ვარ კანონმდებელი! —
თქვა და... ტორი შემართა.
— ყველა უნდა შეგსანსლოთ,
არ მჭირდება ნებართვა! —
ვინც იხელთა, დაფლითა,
ტყეში ლხინი გამართა.
ვინც გაიქცა, დარბის და,
დღემდე ეძებს სამართალს.

დაჩაგრული ცხოველები
(იგავ-არაკი)

შორეული ჯუნგლებიდან,
ტყეში ნობათს ელოდნენ.
ხალისობდნენ ცხოველები,
„სალტოებით“ ხტებოდნენ.
— ჰა, მივიღებთ ამანათებს, —
ნადირები ილხენდნენ,
არ ტოვებდნენ ახალ ამბებს,
ყურადღებით ისმენდნენ.
ნობათმაც არ დააყოვნა,
ერგო ლომთა ხაზინებს!
ფასეული რაც კი იყო,
ახლობლებთან გაზიდეს.
პატივი და ყურადღება
ერგოთ ვეფხვებს, აფთარებს.
შემდეგ, მგლებს და მელაკუდებს,
დათვს, გორილებს, — მასხარებს.
მაჩვი, ზღარბი ვის ახსოვდა,
ან შველს ვინღა ჩიოდა.
ტურაც, — მწარედ რომ მოტყუვდა,
შეშლილივით კიოდა.
— თითო ლუკმაც ვეღარ გვერგო, —
წუხდნენ ციყვნი, კურდღლები.
— ამ ტყეში არ გვეცხოვრება,
ავიკრათო გუდები! —
და ნაიღეს, რაც გააჩნდათ,
ყველა დაჩაგრულებმა.
ზოგნი გზაში დაიხოცნენ,
ვერ გაუძლეს გულებმა.
ვინც გადარჩნენ, განვლეს ღრენი,
ფორთხვითა და წვალებით.
დღესაც სევდით, ცხარე ცრემლით,
მათ ევსებათ თვალები.
.....
უსაშველოდ არ არსებობს,
ქვეყნად, — ამერ-იმერში.
ოღონდ კაცი გაძლიერდეს,
რწმენასა და იმედში.

ამბავი მეგობრობისა
(იგავ-არაკი)

ქვითინებდნენ ბარტყები,
ცრემლით რწყავდნენ საბუდარს;
— დედა, დილით გაფრინდა,
შემდეგ აღარ დაბრუნდა!
მზეო, მზეო, ნუ ჩახვალ,
დედას მოსვლა აცალე!
ახლა არ დაუბერო,
ქარო, შენ გენაცვალე!
დედას გზა არ დაებნას,
ნისლო, ნისლო, მოიცა!
და მიჰქონდა ნიავქარს
შოშიების გლოვის ხმა.
ერთმა ბარტყმა, პანიამ
ფრთები მაღლა ასწია;
— ნისკარტიც მაქვს, კლანჭებიც,
ტანზე ღინღლი მაცვია;
წავალ დედის საძებნად.
თქვენ ნუ შეგეშინდებათ!
ისევ გამოვბრუნდები,
როცა ჩამობინდდება.
— სად მიდიხარ პაწია? —
შეაგებეს ნაძვებმა.
— დედაჩემის საძებნად!
ეს რა გვესმის?! რომელ ბარტყს
მოუვლია ქვეყნები?
არ გაბედო, თუ არა
ხიფათს გადაეყრები!
— არ გაბედო, — შესძახეს
კელაპტრებმა, ჭადრებმა.
უფროსებს რომ არ უსმენ,
შვილო, არ გეკადრება!
მაგრამ ბარტყმა, მათ სიტყვებს
არ ათხოვა ყური და
არაფერი ესმოდა
ხეთა საყვედურიდან.
ამ დროს, დედა დაჭრილი
მოფრინავდა შინისკენ.
— რა შეგემთხვა, საბრალოვ? —
შეეკითხა ხშირი ტყე.
— მონადირემ მესროლა,
დავიღუპე კინაღამ!..
— შენი ბარტყი გეძებდა,
ნუთუ აღარ გინახავს?
ეს რა გავიგონეო,
დაიკვნესა ხმამაღლა.
მანამ არ დაიჯერა,
სანამ ბუდე არ ნახა.
როცა ბუდეს დახედა,
აკლდა ერთი ბარტყი და
დაქანცული, დაჭრილი,
ცხარე ცრემლით ატირდა.
ამ დროს ბალღი, დაღლილი
კითხულობდა ქარდაქარ;
— დედაჩემო, სადა ხარ,
დედაჩემო, სადა ხარ?
აი, უკვე მზე ჩადის,
ახლა სადღა წავიდეს?
შავი ღამე ჩამოწვა
თუ ესაა შავი დღე!
გზა აებნა ულრანში,
გაიკაწრა ბარდითა!..
ბუჩქის ძირას ჩამოჯდა,
ცხარე ცრემლით ატირდა.
თურმე ბარტყის ქვითინი,
გაიგონა ცუგრიამ.
თავზე ისე დაადგა,
მტირალს არც გაუგია.
— მითხარ, რამ აგატირა,
ტკივილმა, თუ ამინდმა?
შველა გინდა? — გიშველი,
გასამრჯელოც არ მინდა.
ბარტყმა მოსულს ახედა;
— სანდოდ არ მეჩვენები.
შენ მიწაზე დადიხარ,
დაფრინავენ ჩვენები!
მოტყუებას მიპირებ?
— არა, დედას ვფიცავარ!
როგორც „დედა“ ახსენეს,
ბარტყმა სიტყვა იწამა.
მოყვა თავის გასაჭირს,
არ გამორჩა წვრილმანიც...
ლეკვმა უსაყვედურა:
— იქნებ დედა შინ არის!
შენ აქ ეძებ, დედა კი
შეიძლება დაბრუნდა.
რას მორბოდი აქეთეკენ,
რად ტოვებდი საბუდარს?!
ფრენა თუ შეგიძლია?
— არა, ჩემო ბიძია!
— შინისაკენ გზა იცი?
— ქეც ვიცი და... არც ვიცი.
— ეს ვის გადავეყარე? —
გაუკვირდა ცუგრიას.
— ალალბედზე შინისკენ,
შარა ვის გაუგნია!
აბა, მაინც ვიაროთ!
ჭირიც გავიზიაროთ,
ლხინიც გავიზიაროთ!
აი, უკვე მიდიან,
მიჰყვებიან აღმართებს.
ასი ციცინათელა,
მათ შარაგზას ანათებს.
ერთმანეთის იმედმა,
თითქოს დაავაჟკაცათ...
უცებ მელა გამოხტა
და ბარტს პირი დასტაცა.
დაიყეფა ცუგრიამ:
— ჩემს ძმას ხელი გაუშვი!
გზისპირ გამოჩენასაც
გითვლი დანაშაულში!
არ გაუშვებ? — ახლავე
დავუძახებ მამაჩემს.
საქმეს ხელათ გაარჩევს,
გამოიტანს განაჩენს!
— მამა სადმე ახლოა?
— „ჰამს“ ვიტყვი და აქ მოვა.
დაიფრინეს მელია,
მიდიან და მიდიან...
წინ მდინარე გამოჩნდა,
ზედ კი ბონდის ხიდია!
ხიდის თავზე შენიშნეს
ზღარბი იდგა დარაჯად!
ეკლის ქუდი ეხურა,
ეცვა ეკლის ფარაჯა.
ზღარბმა მგზავრებს შესძახა:
— ჩემი არის ეს ხიდი.
ზედ ვერავინ გაივლის
ვერც პატარა, ვერც დიდი,
ქირად თუ არ მომართვა
ხილი, — ერთი ტომარა.
ვეღარც ხვეწნამ გაჭრა და
ვეღარც ცხარე კამათმა;
— აბა, — ლეკვმა შესძახა,
— დავუძახებ მამაჩემს,
საქმეს ხელათ გაარჩევს,
გამოიტანს განაჩენს!
— მამა სადმე ახლოა?
— „ჰამს“ ვიტყვი და აქ მოვა!
ზღარბს, ძაღლი რომ ახსენეს,
ტანში გააჟრჟოლა და
მოკუნტული, შიშისგან,
იქცა მუშტის ტოლადა.
ხიდი გამოიარეს,
მიჰყვებიან აღმართებს.
ასი ციცინათელა,
მათ შარაგზას ანათებს.
უკანასკნელ აღმართზე
ამოვიდნენ თუ არა,
ერთმა შაშვმა, ჭახჭახით,
თავზე გადაუარათ.
და ამ შაშვმა შესძახა;
— ბარტყი აგერ, აქ არის! —
აგუგუნდა ხშირი ტყე;
— შაშვო, შენს პირს შაქარი!
შოშიები, გვრიტები,
აიშალნენ გუნდებად.
მიახარეს დედა-ჩიტს,
— შენი შვილი ბრუნდება!
ბარტყმა იღრძო ცალი ფრთა,
სისხლიც აჩნდა ლაქებად.
— უფრთოდ როგორ მოფრინდი? —
ჰკითხეს ამხანაგებმა.
ბარტყი ასე პასუხობს:
— მეგობარი ფრთა არის!
აი, რაა მთავარი.
გვერდით მოძმე თუ გახლავს,
ფრთები სულაც არ გინდა.
მეგობარი გიშველის,
მეგობარი გაგიტანს.
მეგობარი გულღია,
უტყუარი ფრთებია,
უტყუარი მუხლია!
... ტყე სიმღერას მოსძახის;
ცოცხალია ოჯახი,
შოშიების ოჯახი!

ტრადიცია გრძელდება

Სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული საგანმანათლებლო განყოფილება აგრძელებს ტრადიციულ ღონისძიებათა ციკლს — „შეხვედრა საინტერესო ადამიანებთან“. მას არაერთი საინტერესო ადამიანი სტუმრობდა: პოეტი *რინოს კვარაცხელია,* პოეტი *ლია ანთია,* მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი *თინათინ მღვდლიაშვილი,* მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი *ვახტანგ ხარჩილავა,* მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი *გურამ ოდიშარია.*

ამჯერად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს სტუმრობდა წალენჯიხელი პოეტი, პუბლიცისტი, მწერალი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ბატონი თამაზ ფიფია. შეხვედრა თბილ და საინტერესო ვითარებაში მიმდინარეობდა.

საგანმანათლებლო განყოფილების აღსაზრდელები ყვავილებით შეეგებნენ სტუმარს, წაიკითხეს პოეტის ლექსები, შეასრულეს ქართული სიმღერები, განსაკუთრებული მონონება დაიმსახურა ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილმა ლექსების ციკლმა.

ეს იყო საინტერესო და ემოციური საღამო, სულის პოეტურ სამყაროში განავარდება და მეფობდა სიყვარული ლექსებთან ერთად...

შეხვედრას ესწრებოდნენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები, პედაგოგები, საზოგადოების წარმომადგენლები, პოეტის მეგობრები და ახლობლები. პოეზიის საღამო თავიანთი გამოსვლებითა და მოგონებებით გააღამაზეს: ***ვალერი ჭანტურიამ, ზაურ გვასალიამ, როინ კალანდიამ,*** პოეტმა ***რინოს კვარაცხელიამ, ლია ანთიამ, გონერ ჭანიამ.*** ღონისიების დასასრულს სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორმა ***თამარ კვარაცხელიამ*** მადლობა გადაუხადა ბატონ ***თამაზ ფიფიას*** მობრძანებისთვის და უსურვა შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები, ამ დღის აღსანიშნავად კი სტუმარს ღვთისმშობლის ხატი გადასცა.

ეს სასიამოვნო და მოკრძალებული საღამო ალბათ დიდხანს დაამახსოვრდება დამსწრე საზოგადოებას.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ქართული ლექსის საღამოები.

მანანა შანავა
საგანმანათლებლო განყოფილების გამგე

„ნოჯიხურის“ მკითხველებს ვთავაზობთ პოეტ თამაზ ფიფიას ლექსებს

ჩემი სამშობლო

ჩემი სამშობლო ზოგან მთა არის,
ზოგან ზღვა-ველი, მდელო ბიბინა,
მაგრამ ხალხია უფრო მთავარი,
ქართველ ერს გულში აქვს დიდი ბინა!
კრედოა მოყმის მტკიცე მეობის,
მიელტვის აზრი, გრძნობა და სიტყვა,
ყველა კუთხით და ყველა ხეობით,
უწინარესად თვისტომი მიყვარს!
უკვდავ სიყვარულს ეს მიწა-წყალი
ახლავს მარადი სამოთხის დარი,
ძვირფასობს ჩვენში კლდეებიც სალი,
მაგრამ მოძმით ვარ უფრო მდიდარი!
წარსულის ბინდში ნათდება სახე
მამულის ზვრების გმირი დამცველის,
აწმყოშიც ზოგი ქართველი ვნახე
მტრის ურდოების ბრძოლით
დამშლელი!
— დედაშვილობის მზიანი ფიცით,
წინაპრის სულთან გრძნებით
შეკრული,
მაღალი ცის და ღალიან მიწის
თევდორე მღვდლისებრ მტკიცედ
ერთგული!
ცრუ და ჯაბანიც გვყოლია ბევრი,
— მოღალატე და მოძმის გამცემი
დღეს ყელყელაობს მხნედ შინამტერი,
ულმობლად რვალის კვერთხით
საცემი!
გამარჯვებულა მაინც სიკეთე,
აწიც იმარჯვებს, — ასე მგონია,
ცხოვრება აჩენს ფხათა სიმკვეთრეს,
ახლაც კეთილთან ბოროტთ ომია!
სხვაც ვიცი, რაც მცემს ლახვარს და
მტკივა —
ხოდაბუნები არ ჰყვავის ჯერაც,
ხშირი კითხვები ქვებად მაცვივა...
მაინც დიდებულ ქართველთა მჯერა
და იმედიანს მივაპყრობ მზერას!

როცა ქართველი მტრობს საქართველოს

როცა ქართველი მტრობს
საქართველოს
ყველაზე დიდი მტრობა ეგ არი,
სასურველია და სასახელოც
ასეთ ვერაგთან ბრძოლა მედგარი!
ბოროტი გეზით გველებრ აწვდილის
საქმე შხამიან ბილწ ნაყოფს ისხამს,
ერის მართალი სიტყვით, მახვილით,
უნდა დაატყდეს სამშობლოს რისხვა!
თუნდაც შეიძლოს თვალის ახელა,
დუშმანს სიცოცხლე ვით უხაროდეს?!
მოღალატე რომ ჰქვია სახელად,
ყოველ წუთს და წამს უნდა
ახსოვდეს!
უნდა ემწაროს ყოფნა ძალიან,
„ვისი გორის არს“ ვინც დაივიწყა,
ჩვენი საქვეყნო წმინდა ვალია
ფეხქვეშ უქრობად ეწვოდეს მიწა!

არ დავივიწყოთ მარად მთავარი

შემართულ მხარზე აზის არწივი,
სივრცე ეშლება მზიურ ვარდობად,
მაგრამ ყმაწვილმა ჯერაც არ იცის
რა განძიც არის ახალგაზრდობა...
კაცი ცხოვრებას როდესაც არწყავს,
გულს თბილ სალბუნად ყრმობა
ედება!
მაშინდელ განსჯილს, განცდილს და
ნასწავლს,
ჰოი, რაოდენ ფასი ედება!
არ დავივიწყოთ მარად მთავარი,
შევძლოთ სხვისადმიც წრფელად
განდობა,
ბედის წყალობის დვრიტა რაც არის -
ბრძნულად განვლილი
ახალგარზდობა!

ავტროპორტრეტებიდან:

როგორც ღრუბლებში, ვწევარ
ფიქრთა უვრცეს ჰამაკში,
მშფოთვარე განცდის ელვა-ჭექით
სული ენთება,
ამხედრებულა ბედისწერის მტრული
ბანაკი,
მაინც მოწყალე ანგელოზთა
ვასრულებ ნებას.
ზეცისკენ ლტოლვა მიწიერი
სნებისგან მკურნავს,
ვერწყმი კოსმიურ გადანისლულ
იდუმალებას,
გზადაგზა ვარკვევ სიცოცხლისგან
რაც გულით მინდა:
ოდესმე ჩავწვდე ლაჟვარდოვან ცის
მდუმარებას!

კოლხური ქუდი

წარსულის თუ არ გახლავს აურა,
ყოფნისთვის მუდამ ყოფილა ცუდი,
წინაპართ ნდობის უკვდავ დასტურად
მახურავს ჩემი კოლხური ქუდი.
მსურს დავრჩე მოძმის ერთგულ
მსახურად,
მტრისადმი მტრობით მამულს
ვფერობდე,
კოლხური ქუდი რადგან მახურავს
მარადისობის უნდა მჯეროდეს!
რადგან ცხოვრების გუგუნი მესმის,
შევხარი სხივით შემკულ დაფიონს,
გულში მიწყვია მადანი ლექსის,
მინდა ეს განძი მზეზე გავფინო!
— სააამქვეყნო უბრწყინდეს სახე,
მიწიერს მადლი უკურთხოს ზენამ
და სამომავლო ნიათი ახლდეს
ჩემს უძვირფასეს ამ გამოფენას!

გულში მიწყვია მადანი ლექსის

საკართანო
(ციკლიდან „ქართული სადღეგრძელონი“)

ჰე, მასპინძელო, დარბაზიდან გადგი
ჭიშკართან
ტრადიციული ლხინის სუფრა,
ხორაგით სავსე,
შეზარხოშებულთ გაგვიბრწყინე
დილის ცისკარი,
ღვინო დაგვისხი მოწყურებულთ და
გეტყვი ასე:
ეგ საკართანო თიხის თასი
გამილიცლიცე,
გჯეროდეს აღარ დამექცევა არც
ერთი წვეთი,
ფრჩხილზე დავიმცვრევ
სადღეგრძელოს და დავიფიცებ:
არ ამერევა ფეხი, თავგზა,
ადათი-წესი.
ეს გაუმარჯოს ჩვენს ერთობას...
მამულში ლხინი,
ქორწილ-ნიშნობა და დღეობა
გვიმრავლოს ღმერთმა,
მონადიმეებს როს სიამის ეშხი
გვიღიმის,
მადლი ვუდიდოთ, ვინც რომ წყალობს
ჩვენს ყოფნას ერთად.
ვინც შვებისმგვრელი,
ერთურთნდობის გვაჩუქა ღამე,
კაცობის ხიბლით სიხარული
მოგვგვარა დიდი,
რა შეედრება გულის მზეში განფენილ
წამებს,
მზიურ სასმელით, რიტორიკით,
ცეკვა-სიმღერით,
ერთხელაც ვნახეთ ქართულ სუფრის
სიკეთის ძალა,
ვადიდეთ ისემც დიდებული
ამერ-იმერი,
ჭირსა თუ ლხინში თანადგომა
დავიდეთ ვალად.
მივეალერსეთ გმირთ სახელებს, —
ნინაპართ ხსოვნას,
თაყვანი ვეცით დიდ ხელოვანთ
სიტყვას და საქმეს,
უსაზღვრო ზიზღი დავუმკვიდრეთ
დამპყრობელთ მონას,
ქვეყნის ერთგული მოღვაწენი
გულწრფელად ვაქეთ.
დღევანდელობის სანუხართან
დავხარეთ თავი,
მამულის ბედი შევავედრეთ მოწყალე
უფალს,
ავხსენით რატომც არ გვშორდება
ყისმათი ავი,
ხალხის მხნე ნება შინამტრობით
როცა ძლეულა.
წარმოვაჩინეთ ღირსეული ერის
უფლება,
— მამულს ზვარაკად შესაწირი
ვაჟკაცის ვალი,
გული ავუნთეთ ქვეყნის დიად
თავისუფლებას,
გამოვაბრწყინეთ თავდადებულთ
ნაქები კვალი.
ერის და ქვეყნის სიყვარულით
ავმაღლდით ცამდე,
მამულიშვილთა განვადიდეთ შნო და
ღირსება,
მიწა-წყლის დაცვა რათა შევძლოთ,
ისე, ვით გვწადდეს,
მოვუხმეთ მოყმის შემართების
გმირულ თვისებას.
მაშ, გაუმარჯოს რიბირაბოს
შემონათებას,
დილის იმედს და მზის ნათელით
დატკბობას გულის,
ყოველი ასე ერთად ყოფნით სულიც
გათბება,
უფრო ძვირფასი გაგვიხდება
აწმყო-წარსული.
ახლა ეს თასი სამომავლო სურვილთ
ჯამია
და საიმედო ხვალინდელ დღეს უყრის
ბალავერს,
ჰა, ვიცი მისმენ, გაიხარე, ჩემო ძმია,
ვსვამ და შენთან კვლავ
გადმოვდივარ
ძმობის ალავერდს!

პოეტი

განა მეხოტბე, ან კარის მგოსანი,
მამულის მცველი, სიტყვებით
ფრთოსანით,
ბოროტთან ბრძოლაში
გულსალკლდოსანი!
შუქშუბოსანი! თეთრტაიჭოსანი!
ცისკენ აპყრობილი ღია სარკმელი,
საკურთხეველზე დამდნარი საკმელი,
გულაგზნებული ვით წმინდა
სანთელი,
ღამეც ნაკვეთი მის სხივთა ნათელით.
ზოგჯერ ტალღაა ზავთობით საზარი,
ზოგჯერ პაწია ღელეთა წკანწკარი,
ქვეყნის სატკივრის მალამოდ
მზად არი,
გრძნეული რიტმის რითმებით,
მწყაზარით.
ფიქრში ნაღვივებ ხსოვნათა ღადარი,
წრფელ სიყვარულში ფენიქსებრ
აღმდგარი,
სიკეთის სამწყსოს ჯადოსნურ
მთა-ბარის
შემამკობელი რაინდულ ჯავარით.
ერის საწუხარ მიზეზთა მხილველი,
თავისუფლების მედროშე პირველი,
ხმა — ვით სინდისის ნასროლი ისარი,
აი, ნამდვილი პოეტი ვინც არის!
ბოროტთან ბრძოლაში
გულსალკლდოსანი!
შუქშუბოსანი! თეთრტაიჭოსანი!
თავისუფალი სამშობლოს მგოსანი,
დავლად მოუდის ბწკარები
ფრთოსანი!
ხმა — ვით სინდისის ნასროლი ისარი,
აი, ნამდვილი პოეტი ვინც არის!
2001წ.

თაობათა კავშირს დრო აგვარებს
ვუძღვნი ჩემს თეკლეს

მხარზე მადევს შვილიშვილის ხელი,
ხშირად ასე გვძინავს ერთად ღამე,
თანაგრძნობა ჩვენი არის წრფელი,
თაობათა კავშირს დრო აგვარებს.
მინდა ყოველ გათენების მნამდეს,
დღეც დამეყრდნოს, — საიმედოდ
ვახლდე,
ერთად ყოფნის უძვირფასეს წამის
წარმოსახვის სიდიადე ახდეს.
მომირჩინა ახლაც ღრმა იარა
და გამათბო მზიურ სიყვარულით,
თურმე: „შვილმა გულში გაიარა,
შვილიშვილმა უფრო გულის გულში!“
2011წ.

ჩვენი ვარსკვლავი შენა ხარ, მერაბ!
მერაბ კოსტავას ხსოვნას

რა ძალა გქონდა, რა შემართება
იმპერიასთან უშიშრად ბრძოლის,
სამშობლოს ერთგულ ჯომარდ
ქართველთა
მარადიული ხარ წინამძღოლი!
შემოალეწე ჯავშანი ვერაგს,
მერეც ვერ ჰპოვა მან სამალავი,
ჩვენი ვარსკვლავი შენა ხარ, მერაბ,
მრუმე ღამეში გზის გამკვალავი.
შენს ფერხთით ბედი უკვე დაება,
ყველა ქართველის გახდი ძმობილი,
გმირული სულის ხარ უკვდავება —
ჩვენს წარსულიდან გამომხმობილი.
ამ სამოთხისდარ ტურფა მთა-ველში
თავდადებულთა ხსოვნა სათუთობს,
ვალდებულია ყველა ქართველი
ერთხელ მაინც შენ გაგესაუბროს...
რათა შესმენილს აღეძრას რიდი
მხნე გოლიათის, მტერთა მზარავის,
შეიცნოს ერის ლომგულ რაინდის
ხიბლი და რწმენა გაუბზარავი.
1993წ.

მიწა-წყალს გვართმევს გადამთიელი

ქართულ მიწაზე მოუნდა ყველას
გაშლა უმგვანო, ბილწი აზრების,
ჯერ შეგვეფარნენ, შეგვთხოვდნენ
შველას,
ხიზნებმა საწყლად წერეს არზები.
მერე ბურუსეთს მიაყრდნეს ზურგი,
ამაყი, ყინჩი გაუხდათ მზერა,
სწორი გზა-შარა აგვივსეს ხურგით,
იალმასებდნენ გულისთქმას ვერაგს.
ორგულთა შორის სხვებზე ცბიერი,
მიწა-წყალს გვართმევს გადამთიელი,
ჰგონია რომ აქვს მართლის იერი,
წყალობას რაკი რუსისგან ელის,
მაგრამ მამულში მოდის თაობა —
გონიერი და სულით ძლიერი,
ცნობს შინამტრების ქვებუდანობას
და პასუხს გასცემს სახელით ერის!
2006წ.

არ ეშინია მართალ პოეტს უკან მოხედვის
რინოს კვარაცხელიას

მე სხვა პოეტი ქვეყანაზე არ
მეგულება —
ერქვას რინოსი, გვარად იყოს
კვარაცხელია,
მოედინება მისგან ლექსი ისევ
ულევად,
მისი ტანჯული, დიდი გული კვლავაც
ცხელია!
საჩინო კაცის მუდამ უნდა ვიჩქარო
ქება
და ვთქვა: ყოველთვის ამართლებდა
მოძმის მოლოდინს,
საწუთრომ ბევრჯერ მოუნდომა
წამოჩოქება,
მაგრამ მშვილდივით შემართული
დარჩა ბოლომდის.
უყვარდა — უყვარს ქართულ ლექსის
ღვინის ჭაშნიკი,
სევდით თავდახრილს ბევრჯერ
უთქვამს შესანდობარი,
მაინც სიცოცხლის მგზნებარების
არის აშიკი,
მისებრ მისანდო არც არავინ მყავს
მეგობარი.
ჩასჭიდებია მშობელ მიწას მძლავრი
ფესვებით,
ზეცას შეჰყურებს ასაფრენად მუდამ
მზად მყოფი,
შვილთა საფლავთან მწუხარებით
მუხლზე ეშვება,
შავბედთან ნაბრძოლს მოსდის
სიტყვა — სიბრძნის ნაყოფი!
სამშობლოს საზარ ტრაგედიით
გულშეძრულია,
ახლაც ამხედრებს სავაგლახო
ხვედრი კოლხეთის,
ტკივილის მწვავე პოეზია უკვე
სრულია,
არ ეშინია მართალ პოეტს უკან
მოხედვის!
2002წ.

აქ ვპოვე პური სულის არსობის

ნატერფალები ჩემი ბავშვობის
წალენჯიხის ცას, მიწას ატყვია,
აქ ვპოვე პური სულის არსობის,
ვეფერე კალთებს მტრისგან
ნატყვიარს.
სადაც წავედი, თან მსდევდა მუდამ
ჭანისწყლის ჩქერის შხუილი ამო,
ლაკადის ღვიძლი შვილობა მსურდა,
ვუბრუნდებოდი ტრფიალის გამო.
მაცხოვრის წმინდა თეთრი ტაძარის
ხიბლი ერწყმოდა სამცაცხვის გორას,
გულში ისეთი გრძნობა დავძარი,
განუწყვეტელი გზნებით შიგ გორავს.
ცეცხლად ედება სულის კედლებსაც
და მახსოვს შვილის მშობლის
წინ ვალი,
ასე ვერავინ შემიკედლებდა,
აქ ჩნდება რწმენა, — იმედი ხვალის.
აქ ყოველივე სიცოცხლედ ღვივის
და — სიყვარულის დიად კოკრებად,
წალენჯხაა გულის მზის სხივის
ძარღვებში სისხლად აბობოქრება!
1996წ.

სკოლის გახსენება

გახსენებაც კი რა საამოა,
როცა გასწდება ფიქრი ბავშვობას,
სხვა დრო, სხვა ხანა მასთან რას
მოვა —
გამიცისკროვნა ქვეყნად არსობა.
თვალწინ მეხატვის სკოლა და კლასი,
— მასწავლებელი, კალამი, წიგნი,
მთელი სამყარო — ვრცელი ატლასი
გაშლილი იყო ოთახებს შიგნით.
ეზოს ავსებდა ის ჟრიამული,
ხალისიან გულს რაც რომ ეწადა,
გრძნებით გვალხენდა ტკბილი
მამული,
ზურმუხტი მიწა, ლაჟვარდი ცა და
შევციცინებდით ერთმანეთს თვალში,
დამრიგებელთან დაგვქონდა ვარდი,
მწე სიყვარულის მგზნებარე ალში
ვეძებდით მზერას ტურფა
გულვარდის...
და წალენჯიხის იმ სკოლის ბაღში
გქვონდა სიმღერის გაკვეთილები,
თავს იწონებდნენ იქ ნაძვნი მაშინ,
გვფარავდნენ მზისგან სქელი
ჩრდილებით;
თვით მზე კი გულში ისერიგ გვენთო,
სახეს გვიმკობდა ღიმილი მუდამ,
რა სიხარული გვარგუნე, ღმერთო,
ახლაც იმ წლების ფერება მსურდა.
III. 2007 წ.

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲮᲘᲒᲚᲘᲗ!..

2011 წლის 9 დეკემბერს წალენჯიხის ცენტრალური ბიბლიოთეკის (ხელმძღვანელი ქ-ნი ნუნუ შანავა) სამკითხველო დარბაზში გაიმართა პოეზიისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო წალენჯიხის შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაწილმა... ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ შემოქმედთა რამოდენიმე ლექსსა და ჩანახატს.

რინოს კვარაცხელია



სიკვდილში ლაღობს

„შენ დამრჩები პოეზიავ
ჩემ შემდეგ...“ წარწერად
დათა გულუას წიგნისა, —
„დავბრუნდი თქვენთან.“

პოეტი ბიჭი სიკვდილში ცოცხლობს,
არყოფნას ციმციმ აუღო ალღო;
როს ამქვეყნიურ განუდგა ხორხოცს, -
სიცოცხლის ნაცვლად სიკვდილში
ლაღობს...
ფარ-ხმლის მაგიერ ლექსი იფარა,
ღამეებს ებრძვის და უმკლავდება;
თვრამეტი წლისა შეეზიარა
გზას სიცოცხლის და გზას
უკვდავების...
აჩრდილებს ხშირად ფიქრს
უზიარებს,
ცრემლით ლოთობს და ცრემლს
აღვარღვარებს,
გულისგულამდე გრძნობს
მგრძნობიარე
მზეს ჩამოხრჩობა რომ არ აკმარეს...
მისი ფიქრია ყველაფრის მწვდომი,
გაშლილი ქარში ტკივილად, გლოვად
და გულში უგრძნობს ვარდების ომი
გადაიქცევა ეკლების ომად...
ზეცა უხმობდა გენიოს ყმაწვილს,
სამრეკლოებზე გოდება ზართა;
ამ წუთისოფლის ტანჯავდა ღვარძლი
და წინათგრძნობებს ლექსებად
თხზავდა...
ლექსებად თხზავდა ყველაფერს
ერთად, —
უსახურ ქაოსს, მეხსა და მერხეს,
ლექსად ნავარდი უბოძა ღმერთმა,
ლექსით სიცოცხლე სიკვდილის
მერეც...

2012წ.

ერთგულება

გავჩნდი ძაღლის წელიწადს,
ერთგული ვარ ძაღლივით, —
ოდაბადეს ტრფიალში
მაშვრალივით დაღლილი,
ხან ოცნებად გაჭრილი,
ხან ცრემლებად დაღვრილი...
ციმციმებენ ვარსკვლავნი
ჯადოსნური ნათებით,
ვყეფ მამულის ნუგეშად,
მისთვის ღამენათევი,
რომ არ გაქრეს იმედი
მყარი და სხივნათელი...
დღემდე არ მიშუშდება
მკერდზე მოძმის ნახმლევი,
მემუქრება ზამთარიც, —
ყინვით, თოვლის ნამქერით,
სული კბილით მიჭირავს
ლამის ცისკენ გამფრენი...
არ დაკარგავს თავის გზას
ლოცვა, სანთელ-საკმელი,
ესეც უფლის ნებაა, —
კვლავ ბევრი მაქვს სათქმელი.
მიწა ჩემი ტანია,
ზეცა, — სულის სარკმელი..

2012წ.

ჯოჯოხეთის ცეცხლი

რა უშრეტი ცეცხლი მტანჯავს,
ჯოჯოხეთის ცეცხლი;
ასეთია ჩემი ბედი, —
ბედს ვერავინ შეცვლის.
ბევრს ქონება დაუგროვდა, -
უხვად ოქრო-ვერცხლი;
მე კი ბედმა რად მომკერძა
ჯოჯოხეთის ცეცხლი?
ამ საწუთრომ არ დამაკლო
ჯოჯოხეთის ცრემლიც, —
გული ბევრჯერ დაიშანთა
გულმრუდეთა გესლით...
ისევ ზეობს ბოროტება,
იკბინება გველი, —
გადარჩება ქართველობა,
თუ გაქრობა ელის, —
მასზე დარდიც მეკიდება
ჯოჯოხეთის ცეცხლად;
ო, რამდენი იყიდება
კვლავ ოცდაათ ვერცხლად...
ჩემში ვის სურს ამოძირკვოს
ეროვნული ფესვი,
მამა-პაპის ტრადიცია,
ადათი და წესი?
ვინც მტრობს მამულს, დედაენას,
ყველაფერს მტრობს ერთად;
ეს ხომ ცეცხლთან თამაშია, —
თვით იქცევა ფერფლად.

2012წ.

ასმათ გახარია

გალაკტიონს!

სულს რომ ასე ეფერება,
ლექსის „თეთრი ქარებია“,
გალაკტიონს ხომ ლექსები
მათთვის მიუბარებია.
ვიწრო ქუჩებს დავუყვები,
იქით, სადაც სიონია,
საკმევლის სუნს რომ შევიგრძნობ,
ვიტყვი, გალაკტიონია.
ხიდზე როცა შევესწრები,
„იისფერი თოვლის“ ფენას,
ვიტყვი, თურმე გალაკტიონს,
დაუწყია ფიფქად ფრენა.
ქარი ფოთლებს შემომაყრის,
ვიტყვი, „ლურჯა ცხენებია,“
გალაკტიონს, მკერდგაღეღილს,
საით გაუჭენებია?
სავსე თასს თუ თვალი მოვკარ,
ვიცი ღვინოდ ვინც ასხია,
უსამშობლოდ ღვინო შხამად
რომ აქცია, ის კაცია.
„ცვრიან ბალახს“ რომ ატყვია
ვისი ნაფეხურებია?
გალაკტიონს გაუვლია,
ცრემლიც დაუპკურებია.
როცა მთა-ბარს შეუდგება
გაზაფხულის აგონია
დააკვირდით ატმის რტოებს,
ეს ხომ გალაკტიონია,
სამშობლოზე უფრო წმინდა
სხვა ხატი რომ არ ჰქონია,
საქართველო რასაც ჰქვია,
ყველგან გალაკტიონია!

ხობისწყალი

მოკენწლაობს ხობისწყალი,
მთებში ტოვებს ნაფეხურებს,
გაუხედნავს მუხურს „ნაცხა“
გადაუჭერს აპეურებს.
გაზაფხულმა ნაპირებზე
ენძელებად დაათოვა,
წყლის შხუილი ფიქრებს ფანტავს,
ფიქრებს ზამთრის დანატოვარს.
მახსოვს პატარაობისას
გამიყვანდა მამა „მერჩხას“
ის წუთები ბედნიერი
სამახსოვროდ ტალღებს შერჩა.
ზოგჯერ ისე მომინდები,
წყლის შაშვივით ფსკერს გიკოცნი,
თითქოს ბოლო დღეა ჩვენი
შეყრისა და ერთად ყოფნის.
.....
ტალღებს ფურცლავს ხობისწყალი,
დარდს და ნაღველს ზღვისკენ ვატან,
ხელთუქმნელი სილამაზე
მის შემყურეს ძვალში მატანს.

ლაშას და ტერენტის!

(მეგრულად)

„მასქური“ ირქენს აკნაზადა
ბეჭილია გვალეფიში,
მელე-მოლე ხმა მუკოლ
ხვარჩალი წკონდა წყარეფიში...
ხოპწყარს დო წენწყარს მეგ
ლერსეფ ღვარო მოლაფირი,
ვაგოხოლნა ნაწვალებუ,
რე თოფცალო გოლაფირი
(ნამთინე რე გურიჭუა,
ნამთინ ნანა გოლვაფირი...)
შუშელონს თირიში ღვარღვალი
მის გიჩქ, ეგებ ლაშა რდას,
ყვინთელნინძგამი ზესკვიში
ჭურჭული,
ტერენტიში ხვამა რდას.
„ნაცხას“ „ბერწულიშ კარკაცი“
ეგებ ლაშაში შური რდას,
ტობავარჩხილიში ვარვალი
ტერენტიში გური რდას...
ნაშკაგურა მარგალურსუ
ლაშა ჭაჭნს ძიაცალო,
ტერენტიშ ლერსი შურს დო გურსუ
ჭვენს ეკონიაცალო...
ჩილამურქუ გეშასოფუ
ლაშაში კერიას ხოპწყარცალო,
ტერენტი დარდიქ ქაწიჯუმუ
გინოლასირ წენწყარცალო.
საქორთუოს უფერეს
საქმეთ დო ლერსითია,
დროებას გუწულეს
მის უჩქ, მუსხე ვერსითია,
თეს ვაგობხვადითდა
ებჭყვადეთ დო მეფცითია...
„მასქური“ ირქენს აკნაზადა,
ბეჭილია გვალეფიში,
მელე-მოლე ხმა მუკოლ
ხვარჩალი წკონდა წყარეფიში.

10.XI.10

ლიანა ანთია

კვლავ მიგეთვალოს წლები მრავალი

გაზეთი „ეგრისი“ 80 წლისაა

ხარ ჭარმაგი და დარბაისელი,
ახალი ამბის ცნობის ფურცელი,
ცოდნის და სიბრძნის დიდი ლამპარი
სინათლის სხივი ასე უშრეტი.
შენი კალმის ქვეშ ლამაზ სვეტებად
ჩამწკრივებულან წლები ლამაზი,
არ გეშინია უკან მიხედვის,
ხარ ისტორია ჩვენი წარსულის
იყავი მუდამ მხნე და მართალი.
დიდ წინაპართა ჩვევის, ადათის,
გიმშვენებს გვერდებს ჩვენი ქალაქის
ყველა თაობის ნამოღვაწარი.
კვლავ გეზეიმოს მრავალჟამიერ
გამარჯვებები ახალ-ახალი
და ღირსეულად კვლავაც ამაყად
კვლავ მიგეთვალოს წლები მრავალი.

2012წ.

თქვენი ლამაზი ნაფეხურები

ა. ბერიშვილს
15.10.2010

აქ გაზაფხულზე ისევ ყვავიან
ყოჩივარდები, ლურჯი იები,
აქ ჭანისწყალი ისევ მოელავს
მთიდან მომსკდარი ნაკადულებით.
ზამთარში ისევ გადათეთრდება
ცელქი ფიფქებით ჩვენი ქუჩები,
წარუშლელია ქვაფენილებზე
თქვენი ლამაზი ნაფეხურები.
თქვენი აწმყოთი, თქვენი წარსულით
თაყვანისცემას იმსახურებდით,
მეც სხვებთან ერთად მოგესალმებით,
მოგეფერებით, ჩაგეხუტებით.
არ დაღლილიყოს თქვენი კალამი,
სიბრძნის და ცოდნის წყარო უშრეტი
და ნათელ სხივად გადმოღვრილიყოს
ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში.

ლეილა სიჭინავა

ჩემი ბავშვობის მდინარე

ჭანთა წყალო, ლეგენდების და
მითების საუფლოვ,
მომენატრა შენი სუნთქვა და კვლავ
შენთან ვსაუბრობ.
შეგვერცხლია ბგერებზე ჟამის
მელანქოლია,
ჩემო თეთრო დობილო, ჩემო თეთრო
თოლია.
საით დაგირწევია სიყმაწვილის
ზღაპრები
და ოცნების ხომალდის ალისფერი
აფრები.
დამაბრუნე ბავშვობის საოცნებო
ნაპირთან,
სადაც შენი შუადღე პოეტის ფრთებს
დამპირდა.
სად გაიქცა სიმწვანე, ის მზე საით
წავიდა,
შორით კრთება წარსული
გარდაცვლილი წამიდან.
პეშვით მასვი იმედი, რწმენას ნუღარ
წამართმევ,
ნისლები გამიფანტე, მზე მოსტაცე
წარმართებს.
დამერწიე აკვნად და, თბილი ნანა
მიმღერე,
თორემ ცივი საწუთრო დამოკლეს
ხმალს მიღერებს
მოდი, ხელი მომხვიე, სხვაზე ნუღარ
გამცვალე,
ცოტაც კიდევ მადროვე, ერთი
ლექსიც მაცალე.
გაუნათე დაისი ჩემი სულის სანახებს,
მერე ცისკენ წამიღე და ქრისტე
დამანახე!

ერთი პეშვი ლექსით

ჩამოიმწუხრა, ცის ფარდით
სული მტკივანი ვფარე,
რა უსამანოდ მიყვარდით
სიზმრებხატება მთვარევ.
რა გულსათუთად მენათვი
ფიქრებშრიალა ხეო,
ჩემი მარტვილი, ველათი
შენ გამინათე მზეო!
შენ ამაცილე სიშორე
სისხლდაწინწკლულო გზაო,
და მამულს ნუ დამიშორე
ოშკი, ზარზმა და ტაო!
ჩემს სამაჩაბლოს, აფხაზეთს
ნუ მომიცრემლებ შორით,
და ნუ გაბასრავ შავ ხაზებს
ერთფესვ და და-ძმას შორის.
მზემსხმოიარე ვენახო
ცრემლმნათჭრილობაკვნესით,
შენზე მლოცველად გენახვი
ამ ერთი პეშვი ლექსით.

ასმათ კვარაცხელია

ყველა მოსწავლეს, რომელთათვის ეს ლექსები დამიწერია... ანუ როგორ იქცა კერძო ზოგადად...

მე გარინდების ბილიკზე გავალ,
და მიწას ბელტებს ვიმხობ სხეულად,
თუმც სულიერი სიმაღლე მიპყრობს,
მაინც დავდივარ გზებზე ეულად.
ეს მერამდენედ მესმის ხარხარი,
და ჩუმი ოხვრა მესმის ხეების,
უკვე დამდგარა ჩემი სამკალი,
ვფიქრობ, რომ მძიმე უღელს შევები.
დავდივარ ასე, ავსილი ლექსით,
მომწონს, არ მომწონს, არაფერს
ვიმჩნევ.
თქვენი სინათლის და ნიჭის მედლებს,
მეც ფოთლებივით ჩემს გულზე
ვიბნევ!

* * *

დრო წავა და ბევრ რამესაც წაშლის,
წარსულს რჩება ამ წუთების სევდა.
ჩვენი ერთად, ერთად ყოფნის წამებს,
სიხარული განა ცოტა სდევდა?!
დრო წავა და ბევრ რამესაც წაშლის,
არ გვექნება ერთად ყოფნის ნება;
ბუნებრივად, უფლის გზებით
ვივლით,
ცალ-ცალკე და სულ ვიქნებით
ერთად!

* * *

სიტყვის მდინარეში შევცურდი და
მთლიანად ტალღებს მივენდე მისას,
მე დავიკარგე მის სიმრუმეში
და ახლა ისევ აზრები მიცავს!
უსამანოა ეს ჩემი ტევრი
და მე ძალუმად ვიქნევ საწალდავს,
უსიერების მრუმე ქაოსი,
ვშიშობ, უმზეოს სადღაც
დამკარგავს.
ამ სიჩუმეში ისევ თუ ისმის
ჩუმი ხივილი ჩემი სულისა,
მზეო, ამოდი და გამობრწყინდი,
უმზეო ყოფნით ცა დაინისლა.
და ვარსკვლავები აღარსად ჩანან,
მე კი, მე მინდა მეტი სინათლე,
ბევრს არ მოვითხოვ, მზეო, ის სხივი
მაჩუქე ერთი, სინათლე ჩემთვის
გამოიმეტე...
მზეო ამოდი!!!

* * *

მე აღარ ვიცი, სად წამიყვანს
სიტყვის მდინარე
სულ უბრალოდ დავინთქმები
მის სილურჯეში
და ხელსაც აღარ გავანძრევ.
იმ უბადლო სილაჟვარდეში
მოვძებნი ფერებს, რომ მოგიტანო
და ზამთრის დღის სიმრუმე
გაგილამაზო
(ჩაშვებული ტოტების გროვა...)

* * *

ზეცა გუმბათად გვადგას ზევიდან,
მლოცველებს გვანან ნაძვის ხეები,
ააცოცდება გამხმარ ხეს სურო,
ფანტელებივით დადნენ დღეები.
გაივლის წლები ერთად ყოფნისა,
ეს შეხუმრების ჟამიც გაივლის;
მერე იქნება კი მოგენატრო,
მაგრამ ქუჩაში ჩუმად ჩაივლი...

15.02.2012

ნანი შამუგია

წალენჯიხა

წალენჯიხავ, ჩემი ფუძის დედა ხარ,
შენი მზე და შენი მთვარე ვიწამე,
ორივ თვალით გასროლილი მზერა
ხარ,
ეშხით მთვრალი დავალ მე შენს
მიწაზე!
შენ აკვანი დაურწიე ტერენტის
ჭანისწყალის ხმატკბილ იავნანაზე
და მაცხოვრის წმინდა ტაძრის
ფრესკებით,
ღმერთთან მისვლის გზები
გაულამაზე.
გარს ბუნების სილამაზე გარტყია,
ოცნებები ირწევიან ღრუბლებზე,
მუზის მეფის ნატერფალი გატყვია
პაწაწინა, ციდის ხელა გულმკერდზე.
ჩემს გრძნობებში ეჭვი ნუ გეპარება,
მთელი გულით მოგენდე და გიწამე!
მე ვით შევძლო შენი არშეყვარება,
ფეხი მიდგას შენს დალოცვილ
მიწაზე.

მზია უბილავა

წალენჯიხის ორ დიდ ხელოვანს: ბ-ნ რინოს კვარაცხელიას და ლავროს კონჯარიას!

ლაკადელებს გვაქვს სათქმელი:
მორაკრაკე ჭანისწყალი, ინწრას
გაეჯიბრება,
ბოგაშიდან დაუბერავს მასქური
აღარ დატკბე, არ იწამო, ვით
გაუძლებს მას გული!!!

→ 7

ნატო ქეცბაია

ჩანახატი

„ზღვის და ცის შორის არის
მსგავსება,
ისევ ქარია და დღე მზიანი...“

1993 წლის სექტემბერი, შიში და ცრემლები, მიტოვებული სახლები,

უპატრონოდ დარჩენილი ძაღლების ყმუილი, უაზრო ფიქრები და ბოლოს ყველასთვის ერთადერთი კითხვა: დავტოვოთ სახლები წავიდეთ აქედან? სად მივდივართ? და ჩუმად ყურში ტერენტის სიტყვებით ზარის რეკვა:

„სკრიპკის ხმა გვიან შეწყდა
გოდებით,
შუაღამეა ვკეტავ ამ კარებს.
შუაღამეა მტერს ველოდები
და ჩემს ოთახში შიშით
ვკანკალებ.“

თითქოსდა ვიღაცის კარნახით ჩავიხუტე ტერენტის წიგნი და წამოვედით წალენჯიხისკენ.

მე კი ჩუმად ვაგრძელებდი:

„მგონი გარშემო მტრები
დადიან,
ტკივილს ყოველთვის შველის
წამალი...“

მართლაცდა ღამე გათენდა, მე მელანდება, ეზოს კარებთან როგორ იყივლებს ჩემი მამალი, თუმცა შემდგომში წარმოსადგენი გამიხდა, თუ როგორ იწვოდა ჩემი სახლ-კარი.

ცეცხლი ეკიდა და მე კი ცრემლმორეულს კალმით შევძელი მეპოვნა ტკბილი წამალი.

მე ცრემლების სიუხვემ და
სინანულმა დამათრო,
სიყვარულით აღელვებულს
გული ისევ რას არ მთხოვს.
ოცნებები შემოლეულს, კვლავ
ოცნებით გაგართობ,
გულო, ჩემო სიხარულო, გთხოვ,
სიცოცხლით ამავსო.
სიყვარულით ულევ სიტყვებს
დედა — მეტი რაღა სჯობს,
ნუ ტირიხარ, დაიხსომე იმ შენს
ცრემლებს გარჯა სჯობს.
სიყვარული, სიყვარული,
სიყვარული დაგატკბობს,
ამ გარჯაში შენს თბილ ცრემლებს
დავიწყება დარაჯობს.
სახლი... სახლი... სახლი...
ნაცარი და ტუტა

ოხ, რა ძნელია გიყვარდეს სამშობლო და მისთვის ბევრი ვერაფერი შეძლო,

რა მწარეა გტკიოდეს მისთვის გული და ტკივილი ვერ დაიყუჩო. გეშინოდეს და გრცხვენოდეს იმ შიშისა, გენატრებოდეს, გსურდეს ამბორი და აღარ შეგეძლოს არათუ ამბორი, უბრალო მზერით ტკბობაც კი?

„ვინ იცოდა ან წუხილი,
ან ცრემლის ღვრა ვინ იცოდა...
ვაი შური საყვარელი,
ვაი, ნანა ჩქიმი ცოდა?“

...ყვავილებით მოჩითული დიდი მინდორი, აქა-იქ ქვების გროვა, ირგვლივ პირველყოფილი სილამაზეა და კაცი, რომელიც საოცარი შუქჩამდგარი თვალებით და გაბადრული სახით ათვალიერებს ირგვლივ ყოველს, ასე ეფერება, ეჩურჩულება ნაზ ყვავილებს: ვიცი თქვენ აქ ბედნიერნი ხართ, მაგრამ მეც მინდა ბედნიერი ვიყო. მერე ქვის გროვასთან ჩაიმუხლავს და ახლა თითქოს მათ ესაუბრება: მე აქ უნდა დავსახლდე, თქვენი სილამაზით ლამაზი სახლი უნდა ავაგო, მერე იმ სახლს ოცნებების სახლს დავარქმევ და ყველანი ერთად ვიქნებით — თქვენ, მე, ეს ყვავილები...

...იცის კაცმა რა დიდი შრომა მოუწყვეს ნატვრა რომ აიხდინოს, მას სჯერა, რომ სასურველს მიაღწევს, გაიმარჯვებს და ეს გამარჯვება იქნება ისეთი გამარჯვება, სადაც არავინ არ იქნება დამარცხებული, ყველა ბედნიერი იქნება!

...და დგას ყვავილებით მოჩითული დიდ მინდორზე კაცი და სიყვარულით ათვალიერებს ოცნებაში დახატულ, შეუდარებელ მშვენიერ ოცნების სამყაროს. თან ძალიან, ძალიან უნდა მისი კეთილი გულისა და გონების კარნახით დახატული სურათები სინამდვილედ იქცეს და უხარია, ფიქრობს: „არაფერია ფუფუნებაზე უფრო მონური და შრომაზე უფრო მეფურიო.“ ლოცვითა და ტკბილი სიმღერებით იფუძნება საძირკველი სახლისა. ქვას ქვა ედება, შრომას შრომა ემატება, ღებულობს ლამაზ სახეს და გულს ის უხარია, რომ მშვენიერება შრომის შედეგია. შენდება სახლი, ხარობს ყველა. მღერის ძველებურ სიმღერებს და დაღლილობა ავიწყდება. მშენებელმა იცის მისი უკვდავების ისტორია და გულს ის უხარის, რომ ძლიერ საძირკველს კედლებიც ძლიერი, ჭერიც მაღალი ექნება. ფიქრობს, შეძლებს ზევიდან გადახედოს ლამაზ ბუნებას. ღიმილნარევი სახით მიესალმოს დილის რიჟრაჟს და მადლობა გადაუხადოს ბუნების დედას, ხოლო ღმერთს სთხოვს მის ოჯახში წევრთა გამრავლებას. რათა ასწავლოს საკუთარ შვილთ — „რომ აბიჯებ, ბალახს სტკივა.“ დიახ, გაივლის დრო და იმედია „მრავალჟამიერის“, „კუჩხიბედნიერის“ შეძახილები არ დააკლდება ოჯახს? სჯერა გააგრძელებს ტრადიციულ წესებს: ურთიერთ სიყვარულს, ურთიერთ დაფასებას და ზომიერებას ყველაფერში.

„ოჯახი პატარა სამშობლოაო“ — ფიქრობს ამაზეც ადამიანი. ხარობს იგი, ბიბინებს ჯეჯილი, ბუჩქის ძირას თავმომწონე ნაზ იასაც უხარია და მისი შემყურე ბოროტი ადამიანი შურიანი თვალით ათვალიერებს მის გვერდით მდებარე მშვენიერებას, ათვალიერებს და გულში ბოროტების განმამტკიცებელი აზრების ჩათხრობით ტოვებს დროებით ამ სილამაზეს და მიდის, სადღაც იმალება, ცდილობს თვალით ნანახი მშვენიერება როგორ აქციოს, როგორ შეუცვალოს ფერი მას, მის და გასახარად. ფიქრობს, საბაბს ეძებს, მაგრამ არ იცის საიდან დაიწყოს... ყოველთვის ის ლამაზი წუთები უდგება თვალწინ და ეშმაკს გული სტკივა...

ოხ, ბოროტებავ! კეთილის გვერდით საზიზღარო, მაგრამ მაინც მიზანს მიღწეულო, ბევრი დაბრკოლების გადამლახველო, მაგრამ მაინც „გამარჯვებულო“, ბოროტებავ! არ გაპატიებს განგების ძალა იმას, რაც შენ ჩაგიდენია შენი აზრით და გონებითა: აშენებულის დანგრევა, დამშვენებულის ნაცარ-ტუტად ქცევა ეს ვითომ გამარჯვებად მიგაჩნია, ეშმაკო? შემცდარხარ! რადგან აშენებაა ძნელი, თორემ აშენებულის დანგრევა რა ძნელი საქმეა, შენ ცხოვრებას დაუმარცხებიხარ, რადგან მან სახელად ბოროტი გიწოდა, ხოლო ის ხელოვანი, ვისაც მშენებლობის საქმეში ღამეც უთენებია — კეთილად დარჩება ცხოვრებაში. შენ კი ნამდვილი ცრემლიც არ გეღირსება.

კეთილო! ოდითგან მომავლის იმედით გულგახარებულო ადამიანო, ნუ დაგწყდება გული, როცა დაინახავ შენი ხელით აგებულ შენს ტაძარს ნაცარტუტად ქცეულს, გული ნუ დაგწყდება, ადექი და თქვი: ბედნიერი ვარ, რომ მქვია კეთილი და გამოიყენე იგი მომავალი კედლების აშენებაში, ყველას სჯერა, რომ შენ მარტო გადარჩენისთვის იბრძვი, რათა არ დაიღუპო, რადგან შეგიძლია ისევ ააშენო ახალი და უკეთესი.

„ჭირსა შიგან გამაგრება, ისრე უნდა ვით ქვითკირსა,“ დიახ, გულდამწყდარო, სევდიანო და ჩაფიქრებულო, იარე ისევ ჯეჯილ ჯეჯილ, ყვავილ ყვავილ და ქარგე ახალი აზრები, ინატრე ლამაზი ნატვრები და ნატვრა დიდი სიხარულის მომგვრელი აიხდინე ისევ ცხოვრებაში.

...დიახ, ცხოვრება ბრძოლაა! იცის ყველამ, ვისაც მართლა ნამდვილი ადამიანური ცხოვრებით უცხოვრია ამქვეყნად! იცის კეთილმა და ბოროტმაც, კარგმა და ავმაც, დიდმა და პატარამაც, რომ შენ მართალი ხარ ჭეშმარიტო ადამიანო! იციან და შენ კი მეტად გულნატკენს ეს ყველაფერი უნდა გიხაროდეს. გჯეროდეს, ბოროტებას მარადიული საფლავი არსად მიუჩნევია, იგი ყველგან გამოჩენილია, საბოლოოდ დარჩენილა მიწის ზედა მიუსაფარად. შენ კი გჯეროდეს შენი მომავლისა, აშენე, ხატე, იფიქრე, ინატრე და ყველაფერს ამას მიაღწევ ისევ შენი ლამაზი ხელებითა.

კეთილო შემომქმედო, გჯეროდეს მხოლოდ: „არწივი ისე არ დაეცემა, რომ ყვავის გახდეს დასაცინი.“ შეიძლება ვინმემ დაჭრილი არწივი გიწოდოს და შენი აფრენის იმედიც კი დაკარგოს. შენ კი არ შედრკე, არ შეუშინდე ყოველ განსაცდელს და იფრინე მაღლა, სულ მაღლა, საიმედო დედაბოძად და ბურჯად ედექი ერსა და ქვეყანას ბოლომდე ზიდე სიყვარულის, სიხარულისა და ერთგულების უღელი, ადამიანო! არ დაემორჩილო უსამართლობას. დაე, თავს დაგადგეს ყველა განსაცდელი, არ შედრკე, არ გაიტეხო გული. ნუ შეშინდები, სანამ გულში ცოცხალია რწმენა, კიდევ ერთხელ შეიძლება გამონახო შენ, ნამდვილად სავალი გზა!

სიყვარული მშვენიერი ცის ცვარია, რომელმაც უნდა გაათბოს გაყინული მიწა, უნდა აამწვანოს ცეცხლისაგან დამჭკნარი მდელო, გამოაღვიძოს იგი და გულ-მკერდი ია-ვარდებით ააყვავოს, გული ნუ დაგწყდება, ხელში ნაცარი რომ გიჭირავს ეს ნიმუშია შენი ბედნიერი წარსულისა-ვიყოთ იმედიანები, ვებრძოლოთ მტერს, გაუკვალავ გზებს, დაუხატავ მთებს, აუხდენელ ნატვრებსა და ოცნებებს.

ადამიანი შეხედულებით კი არ ფასდება, თუ იგი არის სულით ლამაზი, სიცოცხლე მხოლოდ მას უფასდება.“ მაშ, გულნატკენნო, გჯეროდეთ თქვენი ბედნიერი მომავლისა. მართალია, ჩაფიქრებულხარ, მარტოობით მოწყენილხარ, განიცდი ყოველივე ამას, მაგრამ მაინც შეგიძლია თქვა: „მე ჩემს ოცნებებს შემოვრჩები ყველაზე დიდხანს და არასოდეს, არასოდეს ვიქნები მარტო.“

გჯეროდეს, გწამდეს!
„ვდგავარ ქვეყნის წინ, როგორც
მლოცველი,
ვითმენ წამებას, სხვაგვარ დროს
ველი.“
ფიქრებში დაღლილს
გეძინებოდეს,
გაგონდებოდეს დღე
გუშინდელი,
მოგონებებით დაღლილ
დაქანცულს,
გესიზმრებოდეს ტკბილი
სიზმრები.
გჯეროდეს მაინც იმ იმედების,
მოწყენილს ასე რომ არ
გშორდება,
და გწამდეს ისევ იმ შენი ბედის
რაც სამომავლოდ გადაგეშლება!

წალენჯიხავ, ოდითგანვე სილამაზითა და მშვენიერებით აღსავსე კუთხევ, მე ვრჩები შენთან-და გეტყვი კიდეც: „სამეგრელოო ჩემო...“ გფარავდეს დავითისა და თამარის დროინდელი მაცხოვრის ეკლესია, რომლის მშვენებაა უბერებელი და უსაყვარლესი სამცაცხვი, რომელსაც ელფერი შეცვლია, ტირის და განიცდის ყოველივეს, ღმერთს შესთხოვს ერისა და ქვეყნის გადარჩენას, მე კი ასე მგონია, რომ შეწუხებული ტერენტი ისევ ამ ცაცხვის ძირას ტრიალებს და იმეორებს დღესაც „მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.“ ვრჩები შენთან წალენჯიხავ!.. და მაფიქრებს აფხაზეთის ბედი, მე განვიცდი ჩემი ხალხის ტკივილს!..

21-ე საუკუნევ, გვაჩუქე სიხარული, მხოლოდ სიხარული.

6 ←

მაინც სხვაა ხელოვანის დანახული;
სხვაფრივ გართობს აგამაღლებს,
გაგალაღებს, გაგაფრენს...
ღმერთო, რად შეუკვეცე ფრთები,
ზეცად ასაფრენს?!
ჩვენი კუთხის სიამაყეს, გულს
უღრნიდეს სახრალი,
მკითხველს აღაფრთოვანებდეს —
თვით დაჰქონდეს გული მკვდარი,
გული დაუმარხავი.
ორი რაშის დამღუპველი, მარტო
იდგეს, ვით მაგნოლია,
ყველა წალენჯიხელს, თქვენი
დარდის გვწვავს აგონია,
ასე უღვთო, უსამართლო მწარე
ტკივილი, ჩვენი გვგონია.
თქვენს განწყობას თითქოს პასუხობს
ლავროსი,
მასზე მეტყველებს გარეგნულად
მისი პათოსი.
სიტყვაძუნწი, გაუხსნელი, თავის
დამალვას ლამობს,
მისი ნახატი, ნამოღვაწარი,
უმონყალოდ ყველაფერს ამბობს...
კვლავაც აყვავდეს ტალანტთ ჯიში,
ნიჭი და გენი,
უბადრუკობა, რეგვენობა, მარად
მორჩილია თქვენი.
ღმერთო, შეივედრე წამებული,
ქართული გენი,
შენ ააშორე ყველა სახის მტანჯველი
სენი.

15.IX.1990.

თეა ქარჩავა

* * *

სვეტიცხოველი, წმინდა ალაგი...
ქვეყნიერების განძი და სითბო,
ღმერთო, ალაგმე...
ყველა ვნება და მარად გაგვათბე!..
ყველა კურნება, ყველა სიკეთე,
უფალო, ეს რა მარადი, რა
გაგვიკეთე!
ბედნიერების წმინდა ალაგი,
უწმინდურება, ღმერთო, ალაგმე!
სვეტი ცხოველი, სვეტიცხოველი
და სიყვარული დიდი, ცხოველი...
კურთხეულია აქ რამ ყოველი,
ყველა ხსნას აქ და ამით მოველი!
ქვეყნიერების განძი და სითბო,
ღმერთო, გაგვათბე!

* * *

ვიღაცა სადღაც რაღაცას ყიდდა,
ვიღაცა სადღაც ნაგავში ყრიდა,
რაღაცას ერთ დროს, რაღაც რომ
ღირდა...
მერე ნაგავში ვიღაცა ეძებს,
ერთ დროს გადაყრილ კაცობის
რეცეპტს,
ან თუნდაც თავის ნიშნობის ბეჭედს.
იქნება ერთ დღეს მოვიდეს ყიდვა,
ოღონდ ნაყიდი, მერე ვთქვათ
ღირდა...
და იყოს რაღაც, მარადის წმინდა!
მერე ნაგავში ვიღაცა ეძებს,
ერთ დროს გადაყრილ კაცობის
რეცეპტს,
ან თუნდაც თავის ნიშნობის ბეჭედს...
ეძებს?!

მადონა პოლეტაევა
ტერენტი გრანელს

მშფოთვარე სულის ტანჯვა-გოდება,
წუთისოფელში ზეცისკენ ლტოლვა,
ფიქრების ლექსად აბობოქრება,
ქარში მოწყვეტილ ფოთლებთან
ქროლვა.
შეუცნობელის ნათლად შეცნობა,
უკვდავებისკენ გზების ძიება,
შეცდომებისთვის ყველას შენდობა,
ტკივილებისთვის კი პატიება.
დღის სინათლეშიც ბინდი წყეული,
ირგვლივ მყოფთათვის ხმის ვერ
მიწვდენა,
წუთისოფელში ბედი ეულის
ცად ატყორცნა და მაინც ძირს
ფრენა.
და წალენჯიხის ლამაზ მიწაზე
ტანჯვით გადგმული მძლავრი
ფესვები,
დიადი სულის უკვდავებაზე
დღეს მეტყველებენ მისი ლექსები.

ასმათ ციმინტია
ტერენტი გრანელს

წავიკითხე მისი ბიოგრაფია და საოცარმა სინანულმა შემიპყრო. მაშინ მე-8 კლასის მოსწავლე ვიყავი. ბავშვური ენით გადმოვეცი ის მღელვარება ტერენტი გრანელის პოეზიის ზიარებისას რომ განვიცადე. ლექსის ქვეშ მინაწერი — 1987 წელი — დღეს რომ წავიკითხე, გამეღიმა — თითქმის 22 წელი გასულა. იყოს, ბავშვურია, მაგრამ წრფელი გულით გადმოცემული სიმართლე. ამიტომ არაფერი შემილამაზებია და უცვლელად დავტოვე).

გლეხის აკვანს თავზე ადგა
მესაფლავე,
ღიღინებდა მგლოვიარე იავნანას,
აკვნიდანვე სიღატაკე დაგანათლეს,
უღვთო ბედი გიმღეროდა ვაინანას.
რას გერჩოდა, რა უნდოდა, რას
ითხოვდა,
რად მოგტაცა ბევრჯერ ცრემლის
ნიაღვარი?
პოეზიის მგლოვიარე მგოსანი ხარ,
ელოდი დ ავერ იხილე მომავალი.
მშიერს ბევრჯერ მიგილულავს
ცოდვით თვალი,
(და სიზმარში ოცნებები ლურჯ
ფრთებს ისხამს).
შენს გათოშილ, გაცივებულ ძვლებს
და ლექსებს
პეტრე-პავლეს სასაფლაო გულში
იკრავს.
გზააბნეულს, ცხოვრებაში გერს და
უფრთოს,
თვით ცხოვრების სინანული წერად
გრჯიდა,
სიამაყით გიხსენებს და არ გივიწყებს
მშობლიური, სანუკვარი წალენჯიხა!

მანანა კაკაჩია

მე შემოდგომის სისავსე მიყვარს...

გაზაფხულია კისკისა, ცელქი,
ზაფხული შლეგი და ვნებით სავსე,
მე შემოდგომის ფერები მიყვარს,
რადგან სითბოთი, სიმშვიდით
მავსებს.
ლამაზ ოცნებებს, ნატვრებს
მაგონებს
ფერხთ დაფენილი ჭრელი ხალიჩა,
ბაღში სიყვარულს დაუდგამს ტახტი,
მზემ ბროწეული კოცნით გახლიჩა.
ტრფობამ აავსო ბადაგით ქვევრი,
დააწყებინა მაჭარს შუშხუნი...
თუმც საოცარი სიტკბოა ირგვლივ
მაინც მოისმის ზამთრის ბუზღუნი...
მე შემოდგომის სისავსე მიყვარს...

ოგუჯს

სქვამი რე დო საკოროფო
ჩქინ ქიანაში არძო კუნთხუ,
ობუჯიში გიშაგორუა,
ღორონთიშა ქიაჩს უთხუ.
ართიანიში უჯგუში რე
ჭალე, გვალა, ტყა დო ღალი,
გამართებული სკუალეფი,
მითინც ვაცუნც ჩქინიცალი.
არძო მუჭო მაკოროცხე,
ბრელი რენა ღორონთიშით,
ირიათო დოხვამას
ქიაჩგქ, ობუჯი გვარ დო ჯიშით.

ვალერი ძაძამია

ტაო-კლარჯეთი — ტკივილი ჩვენი!

კლარჯეთი — მტრებთან უდრეკი
ქედი! —
კლარჯეთი — გმირთა დიდი საძვალე!
ჭეშმარიტ ქართველს ამ კუთხის ბედი
ვით უწინ, დღესაც ისევ აწვალებს!
ქვაც კი კლარჯეთზე აი რას ამბობს:
მხარე ჯვარცმული,
ტანჯულ-ვნებული, —
ვით აფხაზეთი და სამაჩაბლო
გაყიდული და გასხვისებული!
მცირე ლაშქარი ურიცხვ მტერს
იმწამს
თავგამეტებით მუდამ შებმია,
სისხლით გაჟღენთილ ამ ქართულ
მიწას
მშვიდობის დღენი ცოტა რგებია...
ამ ისტორიულ სამხრეთის კალთას
კვლავ საქართველოს ცრემლები
ავსებს,
ჰბანს სახელოვან დიდ წინაპართა
სისხლით და ოფლით აგებულ
ტაძრებს!
დგანან ამაყად, ვით უწინ, მაშინ, —
რაც გადაურჩა ნგრევას და ხანძარს,
ვუმზერ თორთუმის დიდ ხეობაში
აღმართულ ოშკის ბრწყინვალე
ტაძარს!
მძიმედ დაჭრილნი, სისხლმორეულნი,
მშვენება მაინც შემორჩენიათ, —
თუმც დგანან
გუმბათჩამორღვეულნი,
მაგრამ ბედს ჩვენებრ არ ნებდებიან!
ახსოვს თითეულ ჭარმაგს, ამაგდარს,
ქვეყნის შენების ლოდი აქ იდო,
კლარჯეთი არის წმინდა მამათა
გაცისკროვნებულ სულთა
სამკვიდრო!
ვით ავიტანო ამდენი განცდა,
წინაპართ სისხლის მესმის ყივილი...
ოთხთა ტაძარი, პარხალი, ხანძა —
ჩვენი წყლული და ჩვენი ტკივილი!
ეს რა ხანია ჩამოჰკრა ზარმა,
შეერთებისკენ სისხლიც იჩქარის, —
დაღვრემილია შატბერდი, ხანძთა,
ტირის ლამაზი ძეგლი იშხანი!..
ეს მხარე სხვასაც სჯობია ბევრად,
რა დაგავიწყებს აქ თვალით ნახულს,
აქ აღიკვეცა გიორგი ბერად,
მისი ხატება ამშვენებს ხახულს!
ზნეობა, სვეტად აჭრილი ცაში,
აცისკროვნებდა ტაოს ალიონს,
ხანძთა ძალუმად ფეთქავდა მაშინ,
როს მაწყვერელი ხარშავდა მირონს!
ოთხთა ტაძარში წმინდა სავანეს
ჰქმნიდნენ წმინდანნი წმინდა
ხელებით,
და აქ, ათონის მთაზე წასვლამდე
მოღვაწეობდნენ მთაწმინდელები!
როგორ გავუძლოთ ჩვენ ამდენ
განცდას,
წინაპართ სისხლის გვესმის ყივილი...
ოპიზა, ტბეთი, ხახული, ხანძთა, —
მოურჩენელი ჩვენი ტკივილი!..
თვით ლოდიც თურმე ტაოზე ამბობს:
რომ მტრისგან არის ტანჯულ-
გვემული,
ვით აფხაზეთი და სამაჩაბლო
გაყიდული და გასხვისებული!
ვერ მოვიცილებთ დარდსა და
ურვებს,
ვღვარეთ რამდენჯერ სისხლი და
ოფლი, —
ეს მიწა-წყალი დავკარგეთ თურმე
გულგრილობით და უგერგილობით...
კლარჯეთი — მტრებთან უხრელი
ქედი!
კლარჯეთი — გმირთა დიდი
საძვალე!
ჭეშმარიტ ქართველს ამ კუთხის ბედი
ვით უწინ, დღესაც ისევ აწვალებს!..

2003წ.

ვახტანგ ხარჩილავა — გალაკტიონის პრემიის ლაურეატი

გალაკტიონ ტაბიძის 120 წელთან დაკავშირებით, საქართველოს მწერალთა კავშირმა მწერლობაში განსაკუთრებული წვლილისათვის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია მიანიჭა ჩვენს თანამემამულეს სახელგანთქმულ პოეტს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს ბატონ ვახტანგ ხარჩილავას.

წალენჯიხის ლიტერატურული გაზეთი „ნოჯიხური“ თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად გულმხურვალედ ულოცავს ბატონ ვახტანგ ხარჩილავას დიდი პოეტის სახელობის პრემიის ლაურეატობას და უსურვებს მომავალ შემოქმედებით წარმატებებს, მრავალჟამიერ ბედნიერ სიცოცხლეს მშობლიური ქვეყნისა და ქართველი ერის საბედნიეროდ.

სქანი გოლუაფირო

ექსპრომტად ვახტანგ ხარჩილავასადმი

მახსოვს სკოლის მოსწავლე
დგამდი პირველ ნაბიჯებს, —
ვგრძნობდი, რომ შეაღებდი
პოეზიის კარიბჭეს.
ახდა ჩემი გუმანი,
მოგვევლინე პოეტად,
მოგიჭრია შემოქმედს
საკუთარი მონეტა.
ორპირობა, სიცრუე
მეზიზღება ჭირივით, —
როცა ჩვენში პიკს აღწევს
უზნეობის ჯირითი...
ცხვრები სჩანან ნაკლებად,
დღეს იმდენი მგლებია, —
მგელკაცები მგლობაში
ერთურთს შეჯიბრებიან...
გულმართალი პოეტი
არ მიჰყვებით დინებას,
დაგილოცავ ბასრ კალამს
ორგულთ რომ ერკინება.
მართალ სიტყვას დარაჯობ,
როგორც ბაღებს მეველე,
გეფერება თბილისი. —
ვახტანგ შენ შემოგევლე!
ვაგიყორა ბორდიში,
ირკოჩი ორწყე ნათელო,
გეგებება ოდიში, —
ვახტანგ სქანი სანთელო!
თქვენგან ისმენს სიმართლეს
ეს ქვეყანა ვერანი, —
თუმცა გვერდით არ გიდგას
შეკაზმული მერანი.
ხეს სიცოცხლის ამშვენებ,
ცად ატყორცნილს რტოებად,
სიყვარული მამულის
გიქცევია ტომებად.
თქვანდა ვაურკ თოლ-ცუჯი,
უწონებუქ ცქვაფილო,
რხვამანც დიდა-ობუჯი, —
სქანი გოლუაფირო!

რინოს კვარაცხელია

ვახტანგ ხარჩილავა

„მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები. მათ ნაცვლად თათრულ-სომხურ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყენს...

მეგრულ ენაში კი შემონახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები... ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრეფილი სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ლექსიკონი“.

ეს სიტყვები აკაკი წერეთელს ეკუთვნის...

ამ სიტყვების წარმოთქმიდან თითქმის საუკუნენახევარი გავიდა, მაგრამ მეგრულ ენასთან მიმართებაში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა — არც „ობოლი მარგალიტების“ ამოკრეფაზე უზრუნია ვინმეს, არც — „შელახული ლექსიკონის“ გამდიდრება-გამრავალფეროვნებაზე.

უკან — ქუჯის, ფარნავაზისა და აღმაშენებლისაკენ

რა ვუყოთ ამ მეგრულ და სვანურ ენებს? ანუ ფიქრები ახალი, სახელმწიფოებრივი აზროვნების აუცილებლობის შესახებ.

ქართულ სახელმწიფოში ოფიციალურად ჯერ არც ის თქმულა, რომ დედაქართულთან ერთად სახელმწიფოებრივი ზრუნვა, მოვლა და გაფრთხილება სჭირდება ქართული კულტურისა და სულიერების ორ ისეთ უმშვენიერს და უბრწყინვალეს ძეგლს, როგორებიც მეგრული და სვანური ენებია.

ზრუნვასა და მოვლა-პატრონობაზე ვინ ჩივის, ლამის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვასთან გავაიგივეთ ჭკვიანი მტრისგან შემოგდებული ის დამლუპველი დემაგოგია, რომლის მიხედვითაც სამეგრელოს კუთხის შვილების ნებისმიერი გააქტიურება, გნებავთ, მეგრული ენისადმი ხაზგასმული პატივისცემის გამოხატვა, მყისვე სეპარატიზმად ინათლებოდა, რითაც მოხერხებულად ხდებოდა სამეგრელოს რეგიონში ოდითგანვე ჭარბად არსებული საერთო სახელმწიფოებრივი ენერგიის ჩახშობა და დათრგუნვა.

ამ დემაგოგიური კომპლექსის დამნერგავებს უნდა შევახსენოთ, რომ სამეგრელო ქართული სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და აკვნის დამრწევია!

შემთხვევით კი არ გააკეთა არჩევანი მეგრელმა კაცმა ბერძნული და ქართული ენებიდან ქართულის სასარგებლოდ და შეთხვევით კი არ აირჩია ის ღვთისმსახურების ენად, რის შემდეგაც ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი ქართული სახელმწიფოს შექმნის და ამ სივრცეში ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების იდეამდე.

საკუთარი მეგრული ენის ზოგადქართული იდეალებისთვის მსხვერპლად შეწირვა ის ნებაყოფლობითი აქტი იყო, რომელზეც დაფუძნდა შემდგომში ქართული სახელმწიფოს შენობა.

მაგრამ მსხვერპლშეწირვა სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ მეგრელ კაცს საკუთარ მეობაზე, საკუთარ სახეზე, საკუთარ ენაზე ეთქვა უარი, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ითხოვენ მისგან ისინი, ვისაც ქართული სახელმწიფოს არსებობის ფორმა, არსი ამ არსებობისა არასწორად ესმის.

„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, სხვადასხვა კუთხის შვილები, ოდელა, დელა, დელაო“ — ამბობს „სეპარატისტი“ აკაკი წერეთელი და მას მეორე „სეპარატისტი“ დუტუ მეგრელი ეხმიანება: „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩვენი სამშობლოა საყვარელი საქართველო.“

ამ სტრიქონების მიხედვით ეროვნული ქართული სახელმწიფო მოიაზრება არა როგორც უსახო, ერთფეროვნები სივრცე, არამედ როგორც სხვადასხვა კუთხის ერთიანობა, როგორც ჩონგური, რომელსაც რადგან ჩონგურია, სხვადასხვა სიმი უნდა ჰქონდეს თავისი განსხვავებული ჟღერადობით. ეს განსხვავებული ჟღერადობაა, რომ იძლევა იმ ერთიან ქართულ პოლიფონიას. ჩვენი სამშობლოები — ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, ერთ საერთო დიდ სამშობლოს, რომელსაც საყვარელი საქართველო ჰქვია.

.....

ქართველი, რომელმაც ქართულთან ერთად მეგრულიც იცის, უეჭველია, იმ კაცზე კარგად ფლობს ქართულს, ვინაც ქართული კი იცის, მაგრამ მეგრული — არა.

ასე მაგალითად, მეგრული ენის ცოდნის წყალობით, მან იცის, რომ სიტყვა საყდარი, ანუ საყუდარი სიტყვა ცუდედან მოდის, რაც სახლს ნიშნავს მეგრულად. საყდარი — საყუდარი — ცუდე.

როგორ ფიქრობთ, ძვირფასო მკითხველო, ამის ცოდნა გვაახლოებს თუ გვაშორებს ერთმანეთისგან?

რა თქმა უნდა, გვაახლოებს!

ჩვენ ახლა ახალ, დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს ვაშენებთ და პირველი, რითაც უნდა დავიწყოთ, ალბათ, ისაა, რომ სრულიად ახლებურად უნდა დადგეს ქართული ენის სწავლების საკითხი ჩვენს სკოლებში და ქართული ენის გვერდით აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს მეგრული და სვანური ენების ზოგადი კურსი, რომ ქართველ ბავშვებს ბავშვობიდანვე ჰქონდეს გარკვეული ინფორმაცია ამ ორი ქართველური ენის შესახებ.

რომელ ქართულ ცნობიერებაზეა ლაპარაკი, როცა ქართული ცნობიერებიდან ვმიჯნავთ მეგრულსა და სვანურს. როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული ვიცით, როცა არ ვიცით ის ძირები, ის ფესვები, არ ვიცით ის შენაკადები, რითაც მდიდრდებოდა და ივსებოდა ქართული ენა.

კარგია, როცა ჩვენს ბავშვებს ინგლისურ და გერმანულ ლექსებს ვასწავლით, მაგრამ რით იქნებოდა ცუდი, მათთვის მეგრული თუ სვანური ლექსებიც გვესწავლებინა, რომ ყური ყრმობიდანვე ქართულად გახედნოდათ და მომავალში მეგრულისა და სვანურის გაგონებისას უსიამოვნოდ არ გაჟრჟოლებოდათ ტანში.

რა იცის დღეს ქართველმა ბავშვმა მეგრული თუ სვანური მითოლოგიის, ფოლკლორის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების შესახებ — თითქმის არაფერი და როცა ის სამეგრელოში თუ სვანეთში პირველად ხვდება, იქიდან სასიამოვნოდ გაოგნებული და განცვიფრებული ჩამოდის, ამ ორ კუთხეზე და იქაურ მკვიდრ ადამიანებზე სამუდამოდ შეყვარებული. თითქოს უცხოეთში იყო, სადაც უცებ სამშობლო აღმოაჩინა.

მე ენათმეცნიერი არა ვარ და ვერ გეტყვით, როგორ უნდა დაიწეროს მომავალი ქართული ენის გრამატიკა, ვერც იმას გეტყვით, როგორ უნდა შედგეს მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოები დაწყებითი კლასებისათვის, მაგრამ ყველაფერი ეს სულ სხვანაირად რომ უნდა გაკეთდეს, სულ სხვა ხერხემალზე, სულ სხვა საძირკველზე რომ უნდა დაშენდეს, ეს ჩემთვის უდავოა.

დარწმუნებული ვარ, ეს აუცილებლად მოხდება და ამ დასკვნამდე აუცილებლად მივალთ, მაგრამ კარგი იქნება, თუ ეს მოხდება არა შორეულ მომავალში, არამედ დღეს.

მე მეჩვენება, რომ ეს „დღეს“ უკვე დადგა...

რატომღაც მჯერა, რომ ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩვეული გულგრილობით მიფუჩეჩებული ეს იდეა არ შეიძლება საინტერესო და ყურადსაღები არ აღმოჩნდეს ახალი ხელისუფლებისათვის.

ამ იდეის განხორციელება კიდევ ერთი რევოლუცია იქნება და ისტორიული თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე „ვარდების რევოლუცია...“

საქართველოს სახელმწიფო ენებია ქართული და აფხაზური — ასე გვიწერია კონსტიტუციაში, მაგრამ არსად გვიწერია, რომ საქართველოში არის მეგრული ენაც და სვანური ენაც კი. მაგრამ, რატომ ვმალავთ და რატომ ვჩქმალავთ ამას, მეგრული და სვანური ხომ ზოგადქართული კულტურის ორი უმნიშვნელოვანესი და უდიდესი ძეგლია, რომელთა შენარჩუნებასა და მოვლა-პატრონობაზე სახელმწიფო ისევე უნდა ზრუნავდეს, როგორც უძვირფასეს კულტურულ ფასეულობებზე?

იმ წალენჯიხაში, საიდანაც „ვარდების რევოლუციის“ ტრიუმფალური მსვლელობა დაიწყო, ცხოვრობს ერთი მწიგნობარი კაცი მამანტი ძაძამია, რომელმაც მეგრული ენის ლექსიკონი გამოსცა. ეს არის რამდენიმე ტომისაგან შემდგარი ნაშრომი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა უნიკალური საგანძურის მფლობელები ვართ ჩვენ, ქართველები.

როდესაც მეგრულ ენაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს მილიონობით ლაზი, რომელთა სალაპარაკო ენა ლაზური იმდენად ახლოს არის მეგრულთან, რომ მეგრელი და ლაზი თავისუფლად უგებენ ერთმანეთს. ჩვენ არა გვაქვს უფლება, დავივიწყოთ ისტორიის ბედუკუღმართობის გამო საქართველოს გარეთ დარჩენილი მეორე საქართველო და შეძლებისდაგვარად არ შევინარჩუნოთ ის საერთო ფესვები, რომლებიც ერთმანეთთან გვაკავშირებს და გვაახლოებს.

მეგრულსა და სვანურ ენებთან მიმართებაში იქნებ ის გამოცდილებაც გამოგვადგეს, რაც უკვე აქვთ ევროპულ სახელმწიფოებს, რომლებიც თვალისჩინივითუფრთხილდებიან დიალექტებს, როგორც მათი კულტურის განუყოფელ ნაწილს და ყოველმხრივ ხელს უწყობენ მათ შენარჩუნებასა და განვითარებას, გამომდინარე, თუნდაც, იმ საფრთხიდან, რასაც გლობალიზაციის ეპოქა უქადის ერებსა და ენებს.

საქართველო იქნება ერთიანი! — ეს დღევანდელი ხელისუფლების დევიზია და ეს დევიზი მხოლოდ ტერიტორიულ ერთიანობას არ გულისხმობს, ვინც სწორ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კონცეფციას ჩამოაყალიბებს, რომელიც საფუძველს დაუდებს ახალი სტილის სახელმწიფოებრივ აზროვნებას და რომელიც ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შექმნის ახალ ქართულ სახელმწიფოს.

ჩვენ, როგორც ჩანს, უკან უნდა დავიხიოთ, უკან — ილიასკენ, აკაკისკენ, ვაჟასკენ, გოგებაშვილისკენ, ნიკოლაძისკენ და კიდევ უფრო უკან — ქუჯისა და ფარნავაზისკენ, აღმაშენებლისკენ, ჭყონდიდელისკენ... უკან უნდა დავიხიოთ, ანუ იმ სივრციდან დავიწყოთ, სადაც არ არის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა, სამაგიეროდ, არის ნამდვილი საქართველო.

ოთარ ბელქანია

(წალენჯიხა)



წალენჯიხის ზარები

ჩემი კუთხის ცა და მიწავ,
ანთებულო მთა-ბარო,
შენ რომ არ მეგულებოდე,
დარდი ვით გავიქარვო.
გაზაფხულზე გაშლილ ველებს,
რომ ედება ქორფა მდელო,
შენთან მოვალ, დაღარული,
გული უნდა გავიმრთელო.
იქ მაცხოვრის ეკლესიას
შემოუკრავს ხმობის ზარი,
დროში ნაწრთობ შთაგონებას,
არ ეტყობა დღესაც ბზარი.
ჩემი სოფლის იდილია,
სიყმაწვილის ლაღი წლები,
მოგონება ულევია,
ოცნებები უფრო მეტი.
სქურჩას ხევში მოფენილო,
ღრუბლიანო წაბლის ტყეო,
ფიქრთა გორად აშოლტილო,
ნაღვლიანო ცაცხვის ხეო.
წისქვილარას ხეობაში,
დაღიანო კალმახებო,
ამ ბუნების მოტრფიალე,
კაცის თვალით სანახებო.
ჭანისწყალში გაფანტულო,
ტანქოჩორა ღორჯოებო,
სიმორცხვისგან შემკობილო,
თვალცქრიალა გოგოებო.
თითქოს ტკბილი სიზმარია
და თავიდან არ იწყება,
შფოთის ქარში გავხვეულვარ,
მაინც არ დამავიწყდება.
ჩემთვის შენი ფესვებია,
ბიბლიური ათი მცნება,
რადგან შენით დამიწყია,
მშობლიური შემეცნება.

სამშობლოს

გაუხუნარო მთა-ბარო,
ჯილაგო მამა-პაპურო,
სამოთხის ბაღში ჯეჯილმა
ვაი რომ ვერ დაგვაპუროს.
დაუცხრომელო გენებო
ჭირთა მრავალთა დასტურნო,
მზის მოტრფიალე მტევნებო,
და ღვინოვ ალადასტურო!
მოყვრისთვის ზვარად გაშლილო,
მტრისათვის არ დასანახო,
მადლით აღვსილო ნობათო
მანავო და კარდანახო!
სამშობლოს მოწყურებულნო,
ბზიფო, კოდორო, ლიახვო,
ქართული მიწის ცრემლები,
თქვენა ხართ! დიახ, დიახო!
სხვა მხარეს შემორჩენილნო,
ოშკო, ილორო, ხახულო!
მარად ივერთა ელჩებად,
ზეცაში გამოსახულნო!
აქ სანუგეშოც ბევრია,
და ასჯერ მეტი ტკივილი,
ბარათაშვილს და რუსთაველს
ესმით ილიას „ყივილი“.
შენ გევედრები უფალო,
ერთია ჩემი სათქმელი:
მინდა მშობლიურ მამულში
მუდამ ხარობდეს ქართველი!
მოდით, შევძახოთ „ლილეო“,
„აბა ულა“ და „ჩაკრულო“,
რომ დახავსებულ გარემოს
ახალი ცვარი ვაპკუროთ.

2011წ.

რამ შეგქმნა ამისთანაო

დღევანდესა და გარდასულს
მუდამ ვატარებ თანაო,
ვინც კი სამშობლოს უღელი
აქამდე მოგვიტანაო.
ჯერაც არ დამწიფებულა
საქვეყნო პურის ყანაო,
რომ წარსულისგან ვისწავლოთ
მომავლის ანა-ბანაო.
განა ყოფილა მამულში
ნანატრი ოქროს ხანაო?
საკუთარს მოშორებულნი
სადღაც ღრუბლებში ვბანაობთ.
ბევრჯერ შეირყა იმედი
პირს არ მიხსნიდა დანაო,
მწარე ფიქრებმა დამღალა,
სხვა მხარეს გამაქანაო.
ქართულო გენის ყივილო!
დედის ნამღერო ნანაო!
შენ ჩემო გულის ტკივილო,
რამ შეგქმნა ამისთანაო?!

თემურ ჭანიას (დაბ. 17 მარტს)

(მოგონება)

ჩვენ მეგობრობამ დაგვაფრთიანა,
შენი კვალია გარს მოფენილი,
სიყრმის ოცნება გვაერთიანებს,
სკოლის მერხიდან წამოფრენილი.
ბევრი პირველი ხარბად ვიგემეთ,
ცოდნის წყარო თუ ვარდის სურნელი,
მაისის ეშხთან ერთად გვათრობდა,
მიზნისკენ სწრაფვა განუკურნელი.
ჩვენ არ გვჩვეოდა გარდასულ დღეთა
მოსაგონებლად სანთლის ანთება,
ვიდრე არ ჩაქრა ელვარე სულის,
ოცდამეერთე გამონათება.
უცხო ნაპირზე გაქრა ეულად
მიუწვდომელი ფიქრთა ზღვაობა,
და შეგვახსენა მწარე სიმართლემ
სიკვდილთან ჩვენი ნათესაობა.
მობნეული ვართ ცოდვის ყანაში,
როგორც სიცოცხლის ურჩი
მდგმურები,
თუ შენთან მოსვლა შეგვაგვიანდა,
ამისთვის ნუღარ დაგვემდურები.
სიკვდილის ლანდი შემოგვეპარა,
უმთვარო ღამით, ვითარცა ქურდი,
შენ იმ სამყაროს მკვიდრი შვილი ხარ,
კარგა ხანია გაშინაურდი.

ლავროს კონჯარია
ავტოპორტრეტი

ტო ვათვალიერებდი, კვლავ შემძრა ლავროსის შემოქმედებამ, კვლავ ვიგრძენი მის ნახატებში როგორ ჩქეფს სიცოცხლე, — ინტერესთა მრავალფეროვნება, თვალსაზრისთა მრავალწახნაგობა...

გამოფენაზე ლავროსის სახე იკვეთება ორ „ავტოპორტრეტში:“ პირველში ჩანს გულუბრყვილო, მეოცნებე ყმაწვილი, მეორეში — უკვე დაბრძენებული, დინჯი პიროვნება. აქ არ აღმოჩნდა მისი უფრო ცნობილი მესამე „ავტოპორტრეტი“, საიდანაც უკვე ცხოვრების სიმწარე-ნაგემები, ფიქრებაშლილი მხატვარია გამოსახული. მახსენდება სხვაც და ამ ავტოპორტრეტებით თვალწინ წარმოჩინდა მთელი მისი ცხოვრება, დაწყებული ცეროდენა ბიჭის დუღილი, ვაჟკაცური გულოვანება და შემართებაა წამოწეული. არც ესაა შემთხვევითი: მამულიშვილური სულისკვეთების მხატვარი გმირული წარსულის სინამდვილეშია სულიერად განფენილი...

მხატვრის თვალი, ყოფიერების ყველა სფეროში, რომ გამჭრიახი აზრითა და მზერით იჭრება, კარგად ჩანს სხვა ნახატებშიც. რელიეფურად იკვეთება ადამიანთა ხასიათები: გარდასახვის შესაძლებლობათა მრავალფეროვნებაა ნახატში „მსახიობი გრიმით,“ ცალკეულ პიროვნებათა მკვეთრი თავისებურებანია ასახული „სამი მამაკაცის პორტრეტში“, ღრმა აზრით არის დატვირთული მისი დიდი ფერწერული ტილო „სიზმარი,“ სადაც იდუმალება უცნაურად აპოკა-

ცეკვა „მთიულური“

დიდმნიშვნელოვანი სიახლე — სამხატვრო გალერა წალენჯიხაში

„მოისარი“

2011 წლის 28 ოქტომბერს წალენჯიხაში სამხატვრო გალერეა გაიხსნა! პატარა ქალაქის სინამდვილეში ეს დიდმნიშვნელოვანი სიახლეა! ენთუზიასტთა გულმოდგინეობით მოეწყო დიდებული საგამოფენო დარბაზი, შეირჩა და გამოიფინა ადგილობრივ მხატვართა ღირსშესანიშნავი ფერწერული ნამუშევრები, ნაწილობრივ აისახა ნორჩ წალენჯიხელთა შემოქმედებაც, ძირითადად კი თავდაპირველ გამოფენას საფუძვლად დაედო ახლახან გარდაცვლილი სანაქებო მხატვრის ლავროს კონჯარიას ფერწერული, გრაფიკული და ჭედური ხელოვნების ნიმუშები.

თუმცა, ყოველივე ამისა და გამომდინარე დასკვნების შესახებ სჯობს თანმიმდევრულად მოვუთხროთ მკითხველს.

გალერეაში მისვლისთანავე შევუერთდი იმ ჯგუფს, რომელსაც დარბაზში გამოფენილ ნამუშევრებს აცნობდა მხატვარი ანზორ კვარაცხელია.

პერიფრაზი: „ლავროს კონჯარია ძლიერია ყველა ჟანრში... ეს არის გრაფიკა, ფერადი გრაფიკა, ფერწერა თუ ჭედურობა. აი, მივყვეთ და ვნახოთ: ცეკვა „ყაზბეგური“ შესრულებულია აკვარელითა და ტუშით, ლაქათი. ასე ხატვა უძნელესია, მხატვარი კი რა გამომსახველობით ოსტატობას ამჟღავნებს. საოცარი ნამუშევარია. ან თუნდაც ეს ფერწერული სურათი „ვუნდერკინდი“, სადაც ბავშვის ფანტაზია ზღაპრულ გარემოს იქმნის და წარმოსახვა საოცარ არსებებს უკავშირდება. „კორიდა“ კაცისა და ხარის უმძაფრეს შერკინებას რა ლაკონიურად იტევს... ეს „ნიღბები“ კი ლავროსის სტიქიაა, მასში ხომ მთელი ცხოვრება ჩანს, უმეტესობა ხომ სწორედ ნიღბით ცხოვრობს... ცბიერს კეთილის ნიღაბი აქვს, ბოროტს — ქველმოქმედის და ა.შ. ნიღბები აქ სხვა სურათებითაც არის წარმოდგენილი... ესენი შედევრებია! — ისევე როგორც მის მიერ გამოსახულ ცეკვათა უმრავლესობა. ახლა ჭედურობას შევხედოთ: „ვეფხი და მოყმე“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ძალმიხდილ მხეცსა და ყრმას გვიჩვენებს. ჭედურობაში ამის გამოხატვა ფანტასტიკურია! ჭედური ხელოვნების ასეთი ბრწყინვალე ნიმუშები ნაკლებად თუ მოიპოვება. აქ ბევრია დაუმთავრებელი სურათები, რადგან ლავროსს მუდამ ეჩქარებოდა, უნდოდა ბევრი მოესწრო... მისი ოსტატობა დაუმთავრებელ ნამუშევრებშიც იგრძნობა.“

ჯგუფს ჩამოვრჩი და ნახატებს მარცერულითა და ქართული ცეკვის ჟრუანტელისმგვრელ როკვაში განსხეულებული სულიერი ენერგიის ამოფრქვევისადმი სწრაფვით. არც იყო გასაკვირი, რომ იქვე გამოფენილ ნახატებში ქართული ცეკვის პლასტიკა და გრაციოზულობა განსაკუთრებული ხიბლით არის გადმოცემული. მან, ჯერაც უწვერულმა ყრმამ, ვირტუოზმა მოცეკვავემ პირველი წარმატებები მხატვრობაში სწორედ ცეკვის გამოსახვის სრულყოფილებით მოიპოვა. რესპუბლიკურ პრესაშიც აქებდნენ და იქვე დაბეჭდილი იყო მისი ნახატების მთელი ციკლი. მაშინ ვინც ლავროსის ცეცხლოვან ცეკვასა და ნიშანდობლივი, ლაკონიური შტრიხებით გადმოცემულ ქართულ ტემპერამენტს უხამებდა ერთმანეთს, მას უთუოდ დიდი იმედის მომცემ მხატვრად აღიქვამდა. დებიუტშივე შეიმჩნეოდა ჭეშმარიტი ნიჭიერება. ახლა ძნელი სათქმელია რა შერჩა მხატვრის არქივს იმ პირველი ნახატებიდან, მაგრამ ქართული ცეკვების ციკლი იყო ერთ-ერთი უმთავრესი მის შემდგომდროინდელ შემოქმედებაშიც, — ადრინდელ სამ გამოფენაში: პირველი — კინოთეატრის ფოიეში, მეორე — წიგნის სახლში და მესამე — დაკრძალვის დღეს, მამისეული სახლის კედლებზე განფენილ, სამძიმარზე მოსულთათვის გასათვალსაჩინოებელ უჩვეულო ვერნისაჟზე.

და ახლაც, გალერეაში გამოფენილ ნახატებში ცეკვები დომინირებდა: „ყაზბეგური“, „მოხევური“, მთიულური“, „სვანური“, „ფარიკაობა“, უწინარესად ის ცეკვები, მთილეთა ვაჟკაცურ შემართებასა და დაუდგრომელ ბუნებას რომ გვიჩვენებს. თვითონაც ხომ ლაკადის ლაღი შვილი იყო!

მხატვარს ოსტატობა არც სხვა ცეკვების ნიუანსების გადმოცემისას ღალატობს: „სიმდი“, და „აჭარული“ სახასიათო პეწსა და გრაციოზულობაში ღრმად წვდომით გვხიბლავს.

ქართული ცეკვის გამოსახვის ხელოვნება უმაღლეს დონეს აღწევს ლავროსის შემოქმედებაში და არა გვგონია ანალოგი მოიპოვებოდეს.

„მოისარი“ მონადირის მიერ განგმირულ ავსულს გვიჩვენებს, — ეტყობა ნადირი და ფრინველი არ იკმარა ჩანაფიქრის სიმძაფრის გადმოსაცემად. „სრბოლა“ კი — მარულაში ბედაურებზე ამხედრებულთა შეჯიბრს ასახავს; „ორთაბრძოლა“ — მეომართა სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილს. ამ ნახატებშიც ცხოვრების ლიფსური ქაოსის საშინელებასთან შერწყმულა და კბილებდახრჭენილი სიკვდილი განადგურებით ემუქრება ყოველივეს. ნახატი „სინათლისაკენ“ კი ასახავს გამოქვაბულის ველურ ადამიანთა დაუოკებელ, უსაზღვრო სულიერ ლტოლვას მზისკენ, შემეცნებისკენ და ამას მხატვარი ძალზე შთამბეჭდავად გვისურათხატებს. „ფანტასტიკური ცხოველები“, მხატვრის ფანტაზიის ეს შესანიშნავი ნაყოფი, გვიჩვენებს ცხოვრება რარიგ სავსეა მოულოდნელობებით, სირთულეებით. ასეთი არსებები იდუმალი სულის ადამიანებს წარმოგვიდგენენ, — სახიფათონს ამოუცნობი ბუნების გამო.

დონ კიხოტი ლავროსისათვის შთამაგონებელი გმირია და ამ გამოფენაზეც რამდენიმე შტრიხით თვალსაჩინოვდება სიკეთის დასამკვიდრებლად, თუნდაც სანახევროდ შეშლილის, მაგრამ მებრძოლი უბადლო რაინდისადმი მხატვრის დიდი თანაგრძნობა. ეს პერსონაჟი ბევრგან ჰქონია ასახული და აქ ერთ-ერთი ნიმუშია წარმოდგენილი.

„პეიზაჟი“, „მუზა“, „ნატურმორტი“ (რამდენიმე), მახვილი რაკურსითა და გამომსახველობითი მრავალფეროვნებით მხატვრის ამომწურავ სულიერ ენერგიას გვიჩვენებს, თითოეული ნახატი განსაკუთრებული აზრით არის დახუნძლული, ხედვისეული სხივით შემკული.

და მაინც ამ გამოფენაზე არ ჩანდა ბევრი ადრე გამონაფენი, საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი ნახატი, — ლავროსის ნამუშევრების ამსახველ კატალოგში დაბეჭდილი სურათები. ვიცით, მხატვარმა ბევრი გაასაჩუქრა, ბევრიც მხატვრობის მოყვარულებმა შეისყიდეს — ზოგიერთმა ნამუშევარმა საზღვარგარეთაც გააღწია, მაგრამ გაირკვა სხვა სამწუხარო რეალობაც: მოუვლელობით განადგურდა და ახლაც ნადგურდება ბევრი ღირსშესანიშნავი ნახატი. ამიტომაც, ამ საგამოფენო გალერეიის ერთ-ერთი მთავარი მისია ლავროსის ნახატების გადარჩენაც არის!

ცხადია, საპატრონოა წალენჯიხელი სხვა შესანიშნავი მხატვრების შემოქმედებაც, რის წინაპირობასაც ქმნის სამხატვრო გალერეას არსებობა.

* * *

ამჯერად, ანზორს პირადად ვთხოვე კომენტარი აქ გამოფენილ სხვა მხატვართა ნამუშევრებზე.

— ბოლო წლებში წარმოჩინდნენ წალენჯიხელი ისეთი მხატვრები, რომელთა შემოქმედება საჭიროა აქ, საგამოფენო კედლებზე აისახოს. ცხადია, თავიდანვე ყველას ვერ გავწვდით, მაგრამ ამჟამად გვქონდა საშუალება გამოგვეფინა წალენჯიხელებისთვის კარგად ცნობილი მათი თანამემამულის ვალერი მიქავას (ტოტოს) 5 სურათი — პეიზაჟები და ნატურმორტები, შესრულებული აკვარელით. ისინი გემოვნებით, სიმსუბუქით, ჰაეროვნებით იქცევს ყურადღებას. აქვეა კავალი შანავას „პეიზაჟი“, ერთ-ერთი მისი ადრინდელი კარგი ნამუშევარი. დღეს ორივენი თბილისში ცხოვრობენ, პროფესიაში დიდად დაოსტატებულნი, იმედია, მომავალშიც მოისურვებენ მშობლიურ წალენჯიხასთან ნაყოფიერ კავშირს.

აი, ეს შესანიშნავი „წვიმიანი ამინდი“ ამ დღეებში გარდაცვლილ წალენჯიხელ კოტე გიგიბერიას ეკუთვნის, მომაკვდავის სარეცელზეც მან უდიდესი თავმდაბლობა გამოიჩინა, გვითხრა, საგამოფენოდ შესაფერისი ნამუშევარი არა მაქვსო, სინამდვილეში კი ნახატი მრავალმხრივ სრულყოფილია.

აქ არის ჩემი სამი ნახატი და ორი ჭედურობის ნიმუში. ახალგაზრდობის პერიოდის ნამუშევრებია და თავის დროზე კარგი შეფასებები ახლდა. ვფიქრობ, მნახველს ახლაც დაეინტერესებს.

აი, ეს ტიხრულ მინანქარში შესრულებული „წმინდა გიორგი“ წალენჯიხაში არსებული ასოციაცია „მუსეიონისადმი“ მხატვარ პაატა მაღრაძის ძვირფასი საჩუქარია და ამშვენებს გამოფენას.

მოსაწონია და გამოფენას ამშვენებს პოეტ ლია ანთიას აპლიკაციური ყვავილებისაგან შესრულებული ნამუშევრები.

განსაკუთრებული გულისხმიერებით მსურს შევეხო ბავშვების მიერ წარმოდგენილ აქ გამოფენილ ნახატებს. გამოვყოფ ნინო ჟვანიას „გზას“. ნახატი გასაოცარი სინათლით არის გასხივოსნებული და მართლაც ოცნების სამყაროში აღმასვლას გამოხატავს.

შესანიშნავია, მოსაწონია თეონა შანავას „ნატურმორტი“, ბარბარე ლუკავას „მთვარიანი ღამე“, დათო ჭანტურიას „ტყის სიმფონია “, დათო ჯანჯღავას „მამაკაცის პორტრეტი“, ნინი ლატარიას „აკვარიუმი“, რვა წლის ანი თოლორდავას „ჩემი სახლი“.

* * *

შეკრებილთა მიერ გამოფენილ ნამუშევართა დათვალიერების შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა გალერეა და დიდი მადლიერება გამოითქვა ქველმოქმედ რამინ გოგოხიას მიმართ, რომელმაც უანგაროდ აჩუქა ქალაქს კერძო საკუთარი დარბაზი, ასევე გამოითქვა მადლიერება გალერეის დაარსების თაოსანთა და ორგანიზატორთა გონერი სალიას, ანზორ კვარაცხელიას და ყველა იმ ხელისშემწყობის მიმართ, რომელთა ერთობლივი ქმედებით შესრულდა ძნელი, შრომატევადი სამუშაოები და ამ კეთილშობილმა ჩანაფიქრმა ფრთა შეისხა: წალენჯიხა ჭეშმარიტად დიდებული სამხატვრო გალერეათი დამშვენდა!

თამაზ ფიფია

ღმერთო, გვიძლიერე სულიერების ნავსაყუდელი!..

სურათზე: სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. 18 სექტემბერი, 1989 წელი.

(რედაქცია მადლობას უხდის, ქ-ნ მარინე შანავას ფოტოსურათის მოწოდებისთვის.)

ევროკავშირის შექმნის ისტორია და საქართველოს პოლიტიკური მიზნები

„აზიამ თვალდათვალ დაინახა უპირატესობა ევროპისა, იგრძნო, რომ ევროპა წინ წასულა, უფრო მდიდარია, უფრო ბედნიერია, უფრო ბევრი სიკეთისა და მადლის მპყრობელია, უფრო ძალოვანი და ღონიერია და აქამომდე დაკეტილი კარი თავისი ქვეყნებისა ცოტად თუ ბევრად გაუღო ევროპას, რომ იქაურმა მზემ თავისი შუქი ცოტად თუ ბევრად აქაც მოაწვდინოს...“

ილია ჭავჭავაძე

გაზეთი „დროება“ (269)

ჯამთავრდა მეოცე საუკუნე — კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ომების, ადამიანების მასობრივი განადგურების იარაღების გამოგონების, სასტიკი პოლიტიკური რეჟიმების (ფაშიზმი და ბოლშევიზმი), რასისტული პოლიტიკის და ა.შ. ასწლეული.

მკითხველს თავს არ შევაწყენთ მეოცე საუკუნეში პოლიტიკოსების მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულობათა შეხსენებით. ყველაფერი ეს პოლიტიკური ავანტიურისტების და ვოლუნტარისტების მიერ ადამიანთა სიძულვილით და პირადი ეგოისტური გრძნობების დაკმაყოფილების მიზნით ხდებოდა. ეს საუკუნე ხასიათდება განსაკუთრებული უღმერთობით: არასოდეს არ ყოფილა ამდენი ურწმუნო, ანტიქრისტიანი პოლიტიკური მოღვაწე, არც ერთ ეპოქაში არ შესრულებულა ამდენი ფართო მასშტაბიანი სატანისტური რიტუალები. სისხლი, იარაღი, კაცის კვლა — აი მთავარი მიზანი უღმერთო პოლიტიკოსებისა. ჰეროსტრატეს კომპლექსით დაავადებულებს არარად მიაჩნდათ სხვისი სიცოცხლე.

ამ წერილის ავტორს საკმაოდ აქვს ომი ნანახი (ბოლოს ჩეჩნეთში). დამერწმუნებით, პოლიტიკოსმაც და უბრალო ჯარისკაცმაც რომ დაინახოს მის მიერ მოკლულს როგორ დასტირის პატარა, უმწეო შვილი ანდა ომში დაღუპული შვილის უსულო ცხედარს როგორ დაჰქვითინებს დედა, ანდა როგორ უყურებენ ადამიანები სხივჩამქრალი უაზრო თვალებით მტრის მიერ ცოცხლად დამწვარ თავიანთ ცოლ-შვილს, ყველა შეიძულებს (თუ ნორმალურია) ომს და იარაღს. გაიხსენეთ „ბალადა მოყმისა და ვეფხისა,“ მხოლოდ მისი შემქმნელის მენტალიტეტის მქონე ადამიანმა შეიძლება გაიაზროს სხვისთვის თავდატეხილი უბედურება.

საბედნიეროდ, არსებობდნენ პოლიტოლოგები, რომელთაც შესანიშნავად იცოდნენ, რომ მარტო ომით ვერ გადაწყდება ვერავითარი პრობლემა საზღვრებისა, ტერიტორიებისა და ა.შ. კაცობრიობის ეს დიდი ჰუმანისტები თავიანთ პოლიტიკურ ნაშრომებში, ფილოსოფიურ მსჯელობებში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უნდა შეიქმნას ახალი მსოფლიო პოლიტიკური სისტემა, რომელიც მშვიდობიანად გადაწყვეტს ერებს შორის დაპირისპირების პრობლემებს. თავიდან დასაშვებია მცირე (ქირურგიული) ჩარევებიც, რათა აღიკვეთოს ანტიქრისტეს პარპაში — საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტების მოშორებით (მილოშევიჩის მაგალითი), შემდგომი ცივილიზაციების (აზიური, ევროპული, კავკასიური, ლათინურ-ამერიკული) განვითარებითა და შერწყმით უნდა მოისპოს დაპირისპირებების მიზეზები, რასაც ომებამდე მივყავართ.

მიზანი ერთია — მშვიდობიანი დედამიწა, რათა ერთობლივად გადაწყდეს ისეთი გლობალური პრობლემები, როგორიცაა მაგალითად, ეკოლოგიური კატაკლიზმები, რომლებიც ძირითადად, ჩვენს მიერ, ადამიანის მიერ დედაბუნების მიმართ პრაგმატულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია.

ჩვენ ვერ ვხედავთ, ან არ გვინდა დავინახოთ საშიშროება, რომლის წინაშეც ვდგავართ. ღმერთმა ნუ ქნას დედამიწის განადგურება, თორემ დიდი მიწისძვრების, ცუნამების, ატომური აფეთქების დროს ცოტა ვინმეს ემახსოვრება საზღვრები, განსხვავებული რელიგიები, პოლიტიკური სისტემები და ა.შ. მე მთელი არსებით ვიზიარებ ვაჟა-ფშაველას, მიხაკო წერეთლის, არჩილ ჯორჯაძის მიერ გამოთქმულ აზრებს, რაც მათ ბრწყინვალე, კაცმოყვარეობით აღვსილ ნაშრომებში მოგვცეს. მათ შორის დავასახელებ რამდენიმეს — „ერი და კაცობრიობა“, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, „სამშობლო და მამულიშვილობა“. გავიხსენოთ XX საუკუნის მიწურულის ერთ-ერთი უდიდესი ნაციონალისტი. საქართველოს პირველი პრეზიდენტი როგორ წერდა ევროპულ კულტურაზე, ტოლსტოისა და დოსტოევსკიზე და ა.შ. აღარაფერს ვამბობ ქართველი ხალხის სულიერ მამაზე — ილია ჭავჭავაძეზე. მათზე მეტად საქართველოზე შეყვარებულ ადამიანებს ბევრს ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ როგორ დიდ სიყვარულს გამოხატავენ ისინი სხვა ერის კულტურის წარმომადგენლების მიმართ!

ჩემთვისაც, მკითხველო, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, საინგილოსა და ა.შ. მიწა, უბრალოდ საქართველოს მიწა კი არ არის, ეს ჩემი სხეულის ნაწილია, ჩემი სისხლიც და ხორციც. კარგად მესმის ვის სისხლსაც, ვის გენსაც ვატარებ (ალბათ, რომელიმეს გარეგნობითაც ვგავარ). ის ახლა ქართული მიწის ნაწილადაა ქცეული, ამიტომაც ვეძახით საქართველოს მამულს, სამშობლოს.

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ფრანგ განმანათლებლებთან: მონტესკიესთან, ვოლტერთან და სხვებთან ვხვდებით ერთიან მსოფლიოს პოლიტიკურ სისტემებზე საუბრებს (რეჟიმს, წესრიგს შეგნებულად არ ვხმარობ). შემდეგ ამ თემაზე მუშაობდნენ მე-19 საუკუნეში ცნობილი ნაციონალისტი, სოციოლოგ-პოლიტოლოგი, გეოპოლიტიკის ფუძემდებელი ფრიდრიხ რატცელი, მე-20 საუკუნეში — რუდოლფ ჩელდენი კარლ ჰაუსჰოფენი, თუმცა, ამ უკანასკნელს დიდი წვლილი მიუძღვის ჰიტლერის გეოპოლიტიკის იდეოლოგიური ბაზის შექმნაშიც. მან ევროპული გაერთიანება გერმანული რასის მეთაურობით წარმოიდგინა, რაც შეცდომა იყო, რადგან ომი არ არის ის საშუალება, რომლითაც მსოფლიო მშვიდობიანობას მიაღწევს.

უფრო უარესნი მარქსი და ლენინი იყვნენ, რომლებიც კომუნისტური ევროპის შეერთებულ შტატებზე მსჯელობდნენ. საშუალება — მსოფლიო რევოლუცია, ე.ი. არა მშვიდობიანი ევოლუციის შედეგად შერწყმა, არამედ — იარაღით პროლეტარიატის დიქტატურით, ადამიანში ღმერთისა და სიყვარულის ჩაკვლით, არა ერების, არამედ მასების, პლებეების აჯანყებით სისხლით, რაც, ასევე, აბსურდული იყო (სიკეთეს ბოროტებით ვერ შექმნი).

ორმა საშინელმა მსოფლიო ომმა, მისმა მიზეზებმა დაანახა მსოფლიოს გზა მშვიდობისაკენ. მშვიდობიანი თანაარსებობის საუკეთესო ფორმა უსაზღვრებო, ეკონომიკურად ინტეგრირებულ ევროკავშირში გამოჩნდა. ამ იდეების ავტორები არიან იტალიელი ფედერალისტ ალტიერო სპინელი, ჟან მონე-ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ევროპის პირველი საპატიო მოქალაქე. თუმცა, 1946 წლის 19 სექტემბერს უინსტონ ჩერჩილმაც წამოაყენა ევროპის გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის იდეა, მაგრამ სრულყოფილი პოლიტიკური დოქტრინის სახით მაინც სპინელმა და მონემ გააღღობინა პოლიტიკოსებს უნდობლობის ყინული.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შუმანმა პირველმა მონახა ფორმა მშვიდობიანი გადაწყვეტისა გერმანიასა და საფრანგეთს შორის, საუკუნოვანი პრობლემისა ელზასისა და ლოტარინგიის მადნეულით მდიდარი ტერიტორიების გადანაწილების შესახებ. მან შესთავაზა დამარცხებულ გერმანიას და სხვა ქვეყნებსაც ევროპაში (ხაზს ვუსვამ — პირველ რიგში რევანშისტულად განწყობილ გერმანიას) გაეერთიანებინათ თავიანთი ქვანახშირისა და ფოლადის რესურსები, თანაც ეს მოხდა 1950 წლის 9 მაისს. ჩემი აზრით, ეს ბრწყინვალე გამარჯვება იყო არა მხოლოდ საფრანგეთის დიპლომატიისა, არამედ ევროპისა და ალბათ, მსოფლიოსიც.

ეკონომიკურმა ინტეგრაციამ (ორივე ქვეყნისთვის წარმატებულმა სწრაფმა მაღალმა ეკონომიკურმა შედეგებმა) საფუძველი დაუდო პოლიტიკური გაერთიანების წინაპირობების შექმნას, — დაინახეს, რა ვეებერთელა ფინანსური მოგება (რომლითაც, პირველ რიგში, დამარცხებული გერმანიის მთავრობა იყო დაინტერესებული) გამოესწორებინათ გერმანელი ხალხის ცხოვრების დონე, რათა მიეევიწყებინათ რევანშისტების სწრაფვა დაპყრობითი ომების შედეგად გამდიდრებისა; ე.ი. ომის მიზეზი მოსპეს. ამიტომ, შემდეგი ნაბიჯი სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვის ინტეგრაციისკენ იყო მიმართული. 1952 წლის 27 მაისს პარიზში დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის თავდაცვითი გაერთიანება — ეთგ.

რა არის ინტეგრაციის უმთავრესი მიზანი და რა მიზნებით შეიძლება დაუკავშირდეს საქართველოს, აშენდეს ევროპა ხალხისთვის თუ ევროპა ბიზნესმენთათვის? ევროპის თანამეგობრობის დამაარსებლებს ამოძრავებდათ სურვილი, შეექმნათ ისეთი სტრუქტურა, რომელიც შეუძლებელს გახდიდა ევროპის გახლეჩას ახალი ძმათამკვლელი ომით. მათ ძლიერი, ეფექტიანი ინსტიტუციური სტრუქტურის დაარსება უნდოდათ და ამიტომ უფრო პრაგმატული მიდგომა აირჩიეს, მიდგომა, რომელიც კონცენტრირებული იყო ქვანახშირსა და ფოლადზე, საერთო ბაზარზე, სოფლის მეურნეობასა და კონკურენციაზე. შედეგად, მივიღეთ თანამეგობრობა, რომელიც ზოგიერთებს ტექნოკრატიული ეჩვენებათ იმ მხრივ, რომ მას მართავენ სახელმწიფო მოხელეები, ეკონომისტები, იურისტები და მათი მსგავსნი, მაგრამ სიმართლე ის არის, რომ გრანდიოზული ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დარჩებოდა რომ არა განუხრელი მხარდაჭერა თანამეგობრობის ინსტიტუტების მხრივ და მათი პოლიტიკური ნება.

ხელშეკრულებაში მიღწეულია დასახულ მიზანთა უმრავლესობა, რომელიც კრძალავენ ცალკეულ პირთა საქმიანობას ან მომსახურებას და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას. ევროპა ყოველდღიურად იღებს სარგებელს ახლად შექმნილი საერთო ბაზრისგან. ეს არის საქონლის ფართო ასორტიმენტის ხელმისაწვდომობა, კონკურენცია, რომლის შედეგად კლებულობს ფასები. პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისა და გარემოს დაცვას; უმაღლეს დონეზე ჰარმონიზებული სტანდარტები.

თანამეგობრობის პერიფერიებში მცხოვრები ხალხები სარგებლობენ სტრუქტურული ფონდით, უამრავი სარგებელი მოუტანა ევროპელ ფერმერებს სუფსიდიების მექანიზმებმა, რომლებსაც ათეული წლების განმავლობაში აფინანსებს ევროპის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისა და საგარანტიო ფონდი. 1990 წლის 29 მაისს პარიზში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი. ევროკავშირის უზარმაზარი საბიუჯეტო ხარჯები, რომლებიც 1998 წელს 91 მილიონ ეკიუს აღემატებოდა, ყოველდღიურ საჭიროების ზომებს ხმარდებოდა.

მაგრამ ევროპელობა არა მარტო ევროპულ მომხმარებლობას ნიშნავს. ან ევროპის ეკონომიკის ხელშეწყობას გულისხმობს, ამიერიდან, ეს ნიშნავს ევროკავშირის მოქალაქეობას. მას შემდეგ, რაც 1958 წელს ძალაში შევიდა რომის ხელშეკრულებები, თანამეგობრობა ხვეწდა თავის კანონმდებლობას, რათა შემოეღო წესები მშრომელთა თავისუფალი გადაადგილების, მომსახურების გაწევის თავისუფლებისა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთათვის მუშაობის უფლების შესახებ. ევროკავშირი არ შეიწყნარებს თავისი მოქალაქის დისკრიმინიზაციას ნაციონალიზმის ნიადაგზე, როცა ეს მოქალაქე სამუშაოს მშობლიური ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებს. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 39-ე და მე-40 მუხლების თანახმად მშობლებს და მათ კმაყოფაზე მყოფ პირებს უფლება აქვთ მიიღონ სოციალური დახმარება, გაიარონ პროფესიული მომზადება. გარდა ამისა, ისინი ისეთივე საგადასახადო და სოციალური უფლებებით სარგებლობენ, როგორც იმ ქვეყნის მკვიდრნი.

იმის წყალობით, რომ თანამეგობრობა მუდამ ცდილობდა სხვადასხვა ქვეყნის დადგენილებათა ერთმანეთთან მიახლოებას, დღეს ყოველი წევრი სახელმწიფო აღიარებს – პრაქტიკოსი ექიმების, იურისტების, მედდების, ვეტერანების, ფარმაცევტების, არქიტექტორების, სადაზღვევო ბროკერებისა და სხვა მშრომელთა კვალიფიკაციის, რომელიც სხვა წევრ სახელმწიფოებშია მიღებული.

რადგან მრავალი პროფესია ჯერ კიდევ ეროვნულ წესებს ემორჩილება, 1998 წლის 21 დეკემბერს წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს ამომწურავი დირექტივა, რომელმაც დააწესა უმაღლესი განათლების დიპლომების ურთიერთაღიარების სისტემა. ეს სისტემა ვრცელდება სამი ან მეტ წლიანი საუნივერსიტეტო კურსის გავლის შემდეგ გაცემულ ყველა დიპლომზე და დამყარებულია წევრი სახელმწიფოების ნდობაზე ერთმანეთის საგანმანათლებლო სისტემებისადმი.

პირველი უფლება, რომელიც ევროკავშირის მოქალაქეებს მიენიჭათ, არის ევროკავშირში ნებისმიერ ადგილას გადაადგილების, მუშაობისა და ცხოვრების უფლება განავრცო სტუდენტებზე, პენსიონერებსა და მომუშავე თუ არამომუშავე პირებზე, რომელსაც საკმარისი სახსრები აქვთ საკუთარი თავის სარჩენად. ეს უფლება შეტანილ იქნა მაასტრიხტის ხელშეკრულების იმ ნაწილში, რომელიც ევროკავშირის მოქალაქეობას შეეხება.

ეს უფლებები, რომლებსაც მართლმსაჯულების სასამართლო იცავს, არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ წევრი სახელმწიფოს მოქალაქე ევროკავშირის მოქალაქე გამხდარიყო. საკმარისი იყო სხვა, კანონით განსაზღრული უფლებების (სუვერენობის გადაცემის ჩათვლით) დამატება. ეს შესაძლებლობას იძლეოდა ევროკავშირის ყველა ეროვნებისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო სახელმწიფო სექტორში შემავალი (სახელმწიფოს შინაურ საქმედ მიჩნეული სფეროების — პოლიციის, ჯარის და დიპლომატიური კურსის გარდა) სამუშაო ადგილები.

როგორც ვხედავთ, ევროკავშირი გვაძლევს საშუალებას არა მარტო შრომით და ეკონომიკურ პროგრამებში ჩავრთოთ საქართველო, არამედ სოციალურ და კულტურულშიც, რაც კიდევ უფრო დაგვაშორებს რუსეთის იმპერიალიზმს. სამწუხაროდ, სტატიის მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის რას ნიშნავს „შენგენის ზონა“.

პაატა ჩიქოვანი
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ვულოცავთ!!!



ჩვენს ძვირფას თანაკლასელს, ობუჯელ — 17 წლის გოგიტა ვეფხიას ძე კაკაჩიას ვულოცავთ შთამბეჭდავ წარმატებებს კარატეში!

გოგიტა კაკაჩიამ თბილისში ჩატარებული 16-17 წლიანთა აბსოლუტური პირველობა „გოჯურიუ“-ში ბრწყინვალედ მოიგო! იგი უკვე საქართველოს სამგზის ჩემპიონია! (2010წ. ორჯერ 2011წ.).

ვულოცავთ გოგიტას ამ დიდ გამარჯვებას, ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას და ახალ-ახალ წარმატებებს საყვარელი სამშობლოს სადიდებლად!

თანაკლასელები:

ბერიშვილი ბაჩანა, გიგიბერია ვაჟა, კაკაჩია თამარი, კაკაჩია თეონა, კაკაჩია კაკო, კაკაჩია დათო, კაკაჩია ბაჩანა, მესხია ჯილდა, მესხია ჯემალი, მებონია ნინო, შონია თამთა.

ღმერთო, გამიზარდე!

მარიამ ფიფია

ობუჯი

ლაკადის მთებში

ჭანისწყალის ულამაზეს ხეობაში თენდებოდა ჩამოწოლილი სქელი ნისლი, დილის მოძალადებულ სინათლეს წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ზაფხულის მოჭარბებული ალიონის მზის სხივები, ყვირასა და ცისკიბულის გასანათლებლად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, წინ მიიწევდა და ჭანისწყალის ულამაზესი სხივების უფსკრულში დილის მორიდებული სითბო ჩაჰქონდა, ჩამოწოლილი სქელი ნისლი თანდათანობით ცისკენ მიიწევდა და უზარმაზარ წაბლებს და წიფლებს ფესვებიდან კენწერომდე ტანს უკოცნიდა, თითქოს სამუდამოდ ეთხოვებიან ერთმანეთსო. ჭანისწლის ხეობიდან მქროლავი დილის სურნელოვანი ნიავი ცისკენ მქროლავ ნისლის ნაკადებს კიდევ უფრო აჩქარებდა და ცისკენ მიაქანებდა და მის დაშლას დიდად ხელს უწყობდა. ცისკენ სწრაფად მიმავალი ნისლი კიდევ უფრო აჩქარებდა ცის კიბულზე აღმართულ ყორეებს, იქვე დაშლილ უამრავ ქვას და ლოდებს კუთხეები დაუკოცნა და უკიდეგანო ცაზე გაუჩინარდა.

ჭანისწყლის სათავეებთან ხმაური ისმოდა, ცისკიბულიდან ჩამოსასვლელ ბილიკზე ორი, ბუნების უმშვენიერესი ქმნილება დედა-შვილი ირმები ჩამოდიოდა. ჭანისწყალთან შეჩერდნენ, ირგვლივ მიმდებარე ტერიტორიები მოათვალიერეს და მდინარის მოკამკამე ტალღებს წყურვილის მოსაკლავად დაეწაფნენ. წყურვილით რომ გული იჯერეს, კერნახონას აღმართისკენ მიმავალ ბილიკს აუყვნენ და გზადაგზა ახალ აბიბინებულ, ხასხასა მწვანე ყვავილებით სავსე მინდორს ძოვდნენ. ახალ ამოსული მზის სხივები ისე ეცემოდა ნამიან ბალახზე, რომ დედა-შვილზე თვალის მომჭრელად მოქმედებდა, მაგრამ ირმებზე ამ მოვლენას არავითარი გავლენა არ მოუხდენია. ისინი ჭანისწყლის ულამაზესი ხეობიდან ზევით მიიწევდნენ, გზა კერნახონამდე თანდათან მოკლდებოდა, და აი, რამდენიმე წუთში ისინი კერნახონას გაშლილ მინდვრებზე აღმოჩნდნენ. დედა-შვილი სულ ზევით მიიწევდა ყვირას მწვერვალისკენ. იქ ისინი თავს ლაღად გრძნობდნენ, ულამაზესი ბუნების ცქერით ტკბებოდნენ და ამავე დროს, მის ბატონ-პატრონად მიაჩნდათ თავი. მზე თანდათან ზევით მიიწევდა, ბუნება უფრო მიმზიდველი ხდებოდა. მაღალი მთების გრძელი და გონიერი ჩრდილები თანდათან პატარავდებოდნენ, მზის სხივები ყველა ნაკადულთან თუ მდინარესთან პირდაპირ არწევდა და მთებში დაქანებული ანკარა წყაროები და ჩანჩქერები ვერცხლისფრად კიაფობდნენ. შორს „ჭითა გვალას“ მიდამოებიდან, იქ, სადაც, გოლიათ მთებს თავის მარწუხებში მოუქცევიათ სამეგრელოს ულამაზესი ტბა „ტობავარჩხილი,“ სათავეს იღებს ბროლივით სუფთა კამკამა მდინარე მაგანა, რომელიც ჭითა გვალას ნაკადული კლდეების გულმკერდზე თეთრი ზეწარივით გადაკიდებული მოსჩანს და გამაყრუებელი ხმაურით იკაფავს გზას ბარისაკენ, რათა დედა მდინარე ენგურს შეუერთდეს. ირმები კი თავისას განაგრძობდნენ, ხან ზევით, ხან ხშირ ბუჩქებს ამოეფარებოდნენ, ხან კიდევ მწვანე ხასხასა მოლზე წამოკოტრიალდებოდნენ, შვილი უფრო აშკარად მოძრავი ჩანდა, ლამაზ მინდორზე ქარივით მივარდებოდა, ახალგაზრდა ბუჩქებს გადევლებოდა, ამწვანებულ, აქოჩრილ ბალახს შეათვალიერებდა, სიხარულით აკუნტრუშდებოდა და თვალის დახამხამებაში დედის გვერდით გაჩნდებოდა. დედა ხან გაუჯავრდებოდა, საქციელს უწუნებდა, მაგრამ ბოლოს ყველაფერს პატიობდა, რადგან ახალგაზრდა და ველური ცხოვრების კანონებში გაუცნობიერებელი იყო. ასე ლაღად დააბიჯებდნენ დედა-შვილი ყვირას მთის ჩრდილოეთ ციცაბო მთის ძირას, საიდანაც ჭითა გვალას, მაგანას ხეობისა და წყავაშის ულამაზესი პანორამა იშლებოდა.

მზე თანდათან მაღლა მიიწევდა, სიცხე მატულობდა, დედა-შვილი მწვანე მოლზე დასასვენებლად წამოწვნენ. სიცხისგან შეწუხებული შვილი ვერ ისვენებდა, ყველაფერი აინტერესებდა, დედას ხშირად აწუხებდა შეკითხვებით, დედა ირემი კი სიამოვნებით პასუხობდა წარსულზე, რაც მორიგი შესვენება გამოდგა დედა შვილისათვის კითხვა-პასუხის გარეშე და როგორც ყოველთვის, შვილი შეეკითხა დედას, დედა რატომ ვართ მე და შენ მარტო, ან სად არიან ჩვენი მოძმენი? ამ შეკითხვაზე დედას ცივმა ოფლმა გადაასხა, არ უნდოდა მძიმე წარსულის გახსენება, არ უნდოდა შვილისათვის გული ეტკინა. მაგრამ სიმართლის დამალვას მოერიდა, ცრემლმორეული თვალები შვილს მოარიდა, ძალა მოიკრიბა და წარსულის უსიამოვნო გრძნობების მოყოლა გადაწყვიტა. — ო, დედა, ჩვენ მარტო არ ვყოფილვართ, ამ მშვენიერ ტყეში, ბუნების უმშვენიერეს წალკოტში, მაგანას წარმტაც ხეობაში, მრავალფეროვანი ყვავილების სამყაროში, ბუმბერაზი მთების წიაღში ლაღად და თავისუფლად ცხოვრობდნენ ჩვენი მოძმენი მცირე ჯგუფებად. ყველა ჯგუფს თავისი რჩეული ჰყავდა და ჯოგი მის ნებასურვილს ექვემდებარებოდა, მე და მამაშენიც ძლიერი ჯგუფის შემადგენლობაში ვიყავით, როდესაც სიმწიფის პერიოდმა მოგვიწია და მივხვდით, რომ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზად ვიყავით, მამაშენი ჯოგს გამოეყო, მეც თან გამიყოლია და ცალკე ცხოვრებას შევუდექით. მამაშენი ერთობ ძლიერი, ტანადი, მრავალტოტებიანი რქებით ბუნების ულამაზესი ქმნილება იყო მთელს დუნიაზე. სწრაფი და ქარივით მქროლავი, ყურადღებიანი, მზრუნველი, გვერდიდან არ მიშორებდა, მუდამ ჩემს უსაფრთხოებაზე ფიქრობდა, კარგ მამობაზე და ძლიერი ჯოგის შექმანზე ოცნებობდა, მაგრამ არ დასცალდა. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც შენ ახალი ჩასახული იყავი, ჩვეულებრივად დილით ადრე, მზის ამოსვლამდე საძოვარზე გამოვედით. ახალი ყვავილებით გაჯერებულ ბალახს სიამოვნებით მივირთმევდით და ნელ-ნელა მაღლობისკენ მივიწევდით. უცებ ზევიდან ქვის ჩამოცვენის ხმა მოგვესმა, ხარირემმა თავი ასწია, ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ საეჭვო რომ ვერ დაინახა, ისევ ბალახებში ჩარგო თავი. რამდენიმე წუთის მერე ხმაური ისევ განმეორდა. ეს უკვე ცუდის მომასწავებელი იყო, მამაშენმა თავი ასწია, ბუჩქებს შორის საცალფეხო ბილიკზე ადამიანის გაქვავებულ სილუეტს მოჰკრა თვალი, რომელიც ხარირემს ჩახმახშემართებულ საბედისწერო იარაღს უმიზნებდა, უცებ მეტაკა, თავს უშველეო და გაქცევისათვის ემზადებოდა, როდესაც თოფმა იგრიალა, მე ადგილს ქარივით მოვწყდი, მეგონა მამაშენიც ჩემს უკან მოქროდა, მაგრამ უკან რომ მივიხედე, მისთვის ბოროტი მონადირის მიერ გასროლილი ტყვია სხეულში ჩაჭედვია, უსულოდ ეგდო. მე კი მას ვერაფერს ვშველოდო, უღრან ტყეს თავი შევაფარე შენი გადარჩენის იმედით. დრო გადიოდა, ულამაზესი ბუნების წიაღში მარტო დავეხეტებოდი, სურვილი მქონდა, ჩვენი მოძმეების აღმოჩენის და ჯოგში გაერთიანების, მაგრამ იმათ კვალს, ჩვენი დაშორების შემდეგ, ვერსად მივაკვლიე, თითქოსდა მიწამ ჩაყლაპაო, ხარირმების გაბმული ზმუილი არსაიდან ისმოდა, დრო გადიოდა, ერთ მშვენიერ დღეს ვიგრძენი, რომ დედა უნდა გავმხდარიყავი, ტკივილით გამოწვეული სიხარულისგან ვტიროდი და შენს გაჩენას წუთი წუთზე ველოდებოდი. როგორც იქნა, შენი თავი ღმერთმა მაჩუქა და იმის მერე ერთად ვართ. შენმა გამოჩენამ იმედი დამიბრუნა, ხელჩაქნეულ ცხოვრებას სიცოცხლე შთაბერა, რწმენა შემატა, ახალი ცხოვრებისათვის განაწყო.

აქ დედამ საუბარი დაამთავრა შვილს თვალებში შეხედა, თვალების ირგვლივ კი აშკარად ჩანდა დედის ნაამბობიდან სიბრალულით გამოწვეული მოკიაფე ცრემლების სიკაშკაშე, რომლებიც რამდენიმე წამში მსხვილ წვეთებად ჩამოუგორდა სახეზე. დედა მიხვდა, რომ შვილზე მამის ტრაგედიამ ძლიერ იმოქმედა, ახლოს მივიდა, თავი თავზე მიადო, მოეფერა, ენით სახიდან ცრემლები მოწმინდა და დაამშვიდა. მას შემდეგ დედა-შვილი დიდხანს დუმილით ძოვდნენ მწვანედ აქოჩრილ ბალახს, ერთი მწარედ გლოვობდა დაუსრულებელ სიყვარულს, ხოლო მეორე ძლიერ განიცდიდა უმამობას.

ამასობაში კარგა დრო გასულიყო. კავკასიონის დასავლეთით, ოხაჩქუეს მთაზე მზე თანდათან დაბლა ეშვებოდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ოხაჩქუეს მთას მწვერვალი და მზის გავარვარებული მასა ერთმანეთს შეეხებოდა.

მზის სხივებისგან გახურებული ჰაერი თანდათან გრილდებოდა, ნიავი უფრო სასიამოვნოდ ქროდა და დედამიწის შავი ზღვისპირეთიდან ბუმბერაზი მთები ნადირ-ფრინველებთან ერთად დასასველებლად ემზადებოდა. ბინდი ჩამოწვა.

დედა-შვილმა, არც თუ ისე სასიამოვნო მოგონების შემდეგ, დასასველებლად საიმედო ადგილი შეარჩიეს და გათენებას დაელოდნენ.

დედა-შვილი საბალახოდ ადრე გავიდნენ, ეტყობა, ცხელ ამინდს ელოდნენ, ამიტომ გადაწყვიტეს სიცხის დადგომამდე დანაყრებულიყვნენ. გაშლილ მინდორს მიაშურეს და ცრემლშეუშრობელ ბალახს ხარბად ძოვა დაუწყეს. სინათლე თანდათან ძლიერდებოდა. ცის კიბულზე გავარვარებული მზის ნათება გამოჩნდა, ჯერ მისი რკალის ნაწილი, შემდეგ თანდათან აიწია, ცის კიბულის წვერზე წამოსკუპდა, თითქოსდა შესვენებას აპირებსო, მაგრამ ჩვეული სისწრაფით მოსწყდა მწვერვალს და უკიდეგანო სივრცეში განაგრძო მოძრაობა. დილის მანათობელ მზესთან ერთად, ბუნება იღვიძებდა, ჭანისწყლის ხეობას თეთრი ზეწარივით სქელი ნისლი გადასწოლოდა. მინდვრის ხმაურთან ერთად, ისმოდა ფრინველთა ხივილი, ხოლო იქვე, ქვაზე წამოსკუპებული ბუნების უმშვენიერესი ქმნილება დედოფალა მზეს ეფიცხებოდა.

დედა-შვილი ყვირას მთას ჩრდილოეთით კერნახონას ყუათიან ბალახს მიირთმევდნენ და თანდათან მზესთან ერთად ზევით მიიწევდნენ. შუადღე ახლოვდებოდა, თითქოს ყველაფერი მშვიდად მიდიოდა. დედას უცებ ძაღლის ყეფა შემოესმა. გაირინდა, ცუდის მომასწავებელი გრძნობა დაეუფლა, ხომ არ მომესმაო, ხმა ისევ განმეორდა, ძაღლის ყეფასთან ერთად იგრიალა თოფმა, რომელმაც ხეობა შეაზანზარა. დედა ირემმა უკანა მარჯვენა ბეჭქვეშ საშინელი ტკივილი იგრძნო, ჭრილობიდან სისხლმა იფეთქა და მწვანე ხასხასა მინდორი წითლად შეღება. ძალღონე მოიკრიბა, შვილს შესძახა, გავიქცეთო, წყავაშის დაბლობისკენ პირი იბრუნა და ქვევით დაეშვა. შვილი დედას გაკვირვებული მისდევდა, ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, მან თოფის ხმა, ეტყობა, პირველად გაიგო, ბუნების ჭექა-ქუხილად მიიღო, მაგრამ უკვირდა, დედას სისხლი რატომ სდიოდა სხეულიდან. კარგა ხანს ირბინეს. დედას ნტყვიარი ძლიერ აწუხებდა, სისხლი თქრიალით გადმოისდიოდა, თანდათან ღონე ელეოდა, თვალები უბნელდებოდა, შეჩერდა, საიმედო თავშესაფარი იპოვა და ხასხასა მოლზე წამოწვა. ეტყობა, ღრმა ჭრილობა ჰქონდა და რაც დრო გადიოდა, ტკივილი აუტანელი ხდებოდა. შვილი კი გაკვირვებული დასცქეროდა დედას და არ იცოდა, რა ექნა.

გარს უვლიდა, დედის ფართო თვალებზე ცრემლები რომ შეამჩნია, მიუახლოვდა, ყურებში ჩასჩურჩულა, ნუ გეშინიაო, შეშინებული თვალებიდან ცრემლები ენით ჩამოულოკა და ისევ წრეზე განაგრძო სიარული. დედა კი იტანჯებოდა ტკივილისგან, გრძნობდა, რომ დასასრული ახლოვდებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად შვილის მომავალი აღონებდა, რადგამ ამ უღრან ტყეში მისი მოდგმა არ არსებობდა და შვილსაც ამ ულამაზეს ბუნებაში დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. თავი ასწია, ირგვლივ მიმოიხედა, გაახსენდა ხარირემთან განშორება, გული უფრო დაწყდა, შვილთან განშორების წინათგრძნობამ თავგზა აუბნია, წარსულის მოგონებათა მორევში გადაეშვა და მწარე ტკივილისაგან გამწარებულმა დასასვენებლად თავი ბალახზე დადო. ცოტა ხანს გაუნძრევლად იწვა, შემდეგ წამოდგომა მოინდომა, მაგრამ აუტანელი ტკივილი იგრძნო და ისევლე მწვანე მოლზე წოლა არჩია. ტკივილები თანდათან ძლიერდებოდა და აუტანელი ხდებოდა. ნაჭრილობევიდან სისხლი დიდი რაოდენობით სდიოდა და მწვანე მინდორი წითლად ელავდა. შვილი გაშეშებული დასჩერებოდა დედას და ვერაფერს მიმხვდარიყო, თუ რატომ იტანჯებოდა ასე მისი ერთადერთი იმედი, რატომ სდიოდა ლამაზი ბეჭიდან სისხლი და რატომ ვერ დგებოდა.

ღამდებოდა, მცხუნვარე მზის სხივებისგან შეწუხებული ბუნება დასასვენებლად ემზადებოდა. სიცხისგან შეწუხებული დაღლილ ნადირფრინველთა გალობა კანტიკუნტად ისმოდა, კერნახონას უმშვენიერი ბუნების წიაღში ხმაურიანი დღის შემდეგ მყუდროება ისადგურებდა, ხოლო მაგანას ხეობიდან შედარებით ცივი, მქროლავი ნიავი ფოთლებს დაბაღ ხმაზე აშრიალებდა. დედა კი სიკვდილს ებრძოდა. არ უნდოდა შვილთან განშორება, არ უნდოდა თავისი პირმშო მარტოდმარტო დაეტოვებინა უღრან ტყეში და მგლების ლუკმა გამხდარიყო. უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ყველაფერი გაიყინაო. ფოთლების შრიალიც კი არ ისმოდა. ქვევით, შორს მდინარე მაგანას ზოლი თეთრი ზეწარივით ჩაწოლილიყო ბუმბერაზ მთებს შორის და გველივით მიიკლაკნებოდა კოლხეთის დაბლობისაკენ. ბუნების წიაღში კი მისი უმშვენიერი ქმნილება დედა ირემი იტანჯებოდა, თანდათან ღონე ელეოდა, მაგრამ შვილის სიყვარულით სიცოცხლის შესანარჩუნებლად მაინც იბრძოდა. მძიმედ სუნთქავდა. უცებ მაგანას ხეობიდან დიდი ხნის ნანატრი ხმა შემოესმაო, გაირინდა, სუნთქვა შეწყვიტა, სმენა დაძაბა, მიაყურადა, ყურებს არ დაუჯერა, მაგანას ხეობიდან დიდი ხნის მონატრებული ხარირმის ზმუილი ისმოდა, დაჭრილ ირემს ტკივილები დაავიწყდა, ძალა მოიკრიბა, ფეხზე დადგა, შვილს მოუხმო, გესმის, შვილო? მესმის, ჩვენები არიან, ჩვენები.

გადარჩენილა ჩვენი მოდგმა, გადარჩენილა.

დედა სიხარულით აცახცახდა. გადარჩენილი სიცოცხლე წარმოიდგინა, შვილს მოუალერსა, მაგრამ შვილი გაოგნებული იდგა დედის საქციელით, რადგან მას არავითარი ხარის ზმუილი არ გაუგონია და დედის სიხარული მწარე ტკივილის ნაყოფად ჩათვალა. უცებ ნიავმა დაუქროლა, ფოთლების მომატებულ შრიალზე ძნელი გასარჩევი ხდებოდა ირმის ზმუილი და ტკივილებისაგან შეწუხებულმა დედამ იფიქრა, ალბათ ჩამესმაო და მოცელილივით დაეგდო სისხლით გაჟღენთილ მიწაზე.

შუა ღამე გასულიყო, მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები თვალის მომჭრელად კიაფობდნენ. ეტყობოდა, კარგი და ცხელი დღე ელოდა ნადირ-ფრინველებს და ბუნება მომავალი დილის ფიქრში ნაზად სუნთქავდა. მყუდროებას ათასში ერთხელ ტურებისა და ჭოტის კივილი დაარღვევდა.

დედა-შვილი კი განთიადის მოლოდინში უძრავად იწვნენ. დედა აუტანელი ტკივილით იტანჯებოდა და სიკვდილისათვის ემზადებოდა, ხოლო შვილი გრძნობდა, რომ მარტო მოუწევდა ბუნების წიაღში ხეტიალი და დედის სიყვარულს მისტიროდა. დიდი ხნის შემდეგ ცისკიბულის მაღალ მწვერვალზე განთიადის მოახლოება შეინიშნებოდა. დედა ირემი სიკვდილს ალიონზე ელოდებოდა და სინათლის დადგომას ჩქარობდა, რათა ბოლო მოღებოდა მტანჯველ ცხოვრებას. სინათლე თანდათან მატულობდა, ცვარ-ნამიანი მინდორველი დღის სინათლეს ეგებებოდა, ჭანისწყლისა და მაგანას ხეობაში ფრინველთა ჟღურტული ძლიერდებოდა, უცებ მაგანას ხეობიდან ამოვარდნილმა ზმუილმა ისარივით გააპო გაუვალი ტყის კედლები და როგორც ცხელი ტყვია, ისე ჩაეჭედა მომაკვდავ ირემს ყურებში. დედამ თავი ასწია, ყური მიუგდო, ნაცნობი ჰანგები იცნო, არ შემცდარა, ეს ის ველური ყიჟინა იყო, რომელსაც მთელი ორი წელი შენატროდა, დამშვიდდა, იმედი მიეცა იმისა, რომ შვილი მარტოდ არ რჩებოდა. დღის სინათლე თანდათან ძლიერდებოდა, ცაზე ვარსკვლავების ციმციმი შეწყდა და ამომავალი მზის სხივების ელვარებას უთმობდა ადგილს. ცის კიბულიდან მოწყვეტილმა მზის სხივებმა შხუილით გადაუარა ჭანისწყლის ხეობას, დედის ცრემლიან თვალებში შეაღწია. მომაკვდავმა დედამ უკანასკნელად გაუსწორა თვალი მაცოცხლებელ სინათლეს და სამუდამოდ დახუჭა, თავი ბალახზე დადო, სიმწრისგან უკან ფეხები მოიქნია და ველური ჩლიქებით უკანასკნელი ხნული გაავლო მწვანე მიდორზე. შვილი აწრიალდა, დედის უსიცოცხლო გვამს გარს უვლიდა, არ იცოდა, რა ექნა, რით დახმარებოდა დედას. შემდეგ დიდხანს გაუნძრევლად იდგა, ფიქრებში გართულს, მაგანას ხეობიდან ხარირმების გაბმული ზმუილი შემოესმა, ყურები ცქვიტა, ზმული ისევ განმეორად, ეს კი სიცოცხლის გადარჩენას ნიშნავდა, შემდეგ ისევ დედის უსიცოცხლო გვამს მიუბრუნდა, ტუჩებზე ეამბორა, ცივი თვალებიდან გაქვავებული მარგალიტები ენით ამოულოკა, „მაპატიეო“ და ზმუილის მიმართულებით ქარივით გაფრინდა.

თამაზ ლუკავა.

დაუვიწყარო ბებო!

ვერა ლადის ასული მაქაცარია-ხუნწარია

დარდიანი და ტკივილიანი მოგონებებითაა სავსე ცხოვრების ის გზა, რომელიც შენ გამოიარე, მიუხედავად მძიმე წარსულისა, შენ გულწრფელად ახერხებდი ჩვენთვის ყველაფერი საუკეთესო გესწავლებინა, ისე რომ გული არავის გვტკენოდა. განსაკუთრებით ზრუნავდი შვილებზე, რომ კეთილსინდისიერად ალალმართლები და წესიერები გაგეზარდა.

დაბადებულხარ 1910 წლის 12 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ ყულიშკარში. მამაშენი რევოლუციურ პერიოდში კომისარი ყოფილა, დედაშენი კი — ნამდვილი გურული, გვარად ჯაფარიძე. დაამთავრე ყულიშკარის რვაწლიანი სკოლა და იმავე წელს სოფლის კოლმეურნეობაში ჩაები შრომით საქმიანობაში.

1941 წელს სოფელ ობუჯში მეგონა ხუნწარიასთან ერთად შექმენი ლამაზი ოჯახი. გახდი მშრომელი, ტრადიციული, ერთგულებითა და სიყვარულით სავსე ოჯახის დიასახლისი. ჩაები კოლმეურნეობაში ჩაის განაშენების, აბრეშუმის პარკის, ტუნგოს დამზადების საქმეში. შექმენი ოჯახური იდილია. სამი შვილის — ერთი ქალიშვილისა და ორი ვაჟკაცის დედა გახდი. 1952 წელს უდროოდ დაკარგე 39 წლის ახალგაზრდა მეუღლე, მხრებზე დაგაწვა ოჯახის მთელი სიმძიმე და მარტოხელა შეებრძოლე ცხოვრებას.

შენს ცხოვრებას ალამაზებდნენ შენი შვილები და მეუღლის დედა, რომელიც დიდი ენერგიითა და მონდომებით გედგა მხარში ყოველთვის. ორივემ ერთად გასწიეთ ცხოვრების მძიმე ჭაპანი და მოახერხეთ ბავშვების აღზრდა.

ყოველთვის აქტიური იყავი, ოჯახშიც და კოლმეურნეობაშიც ყველაფერს ასწრებდი, შრომითი წარმატებისთვის ხელისუფლებამ ლენინის ორდენით დაგაჯილდოვა.

1965 წელს დამსახურებულ პენსიაზე გახვედი. შენი შვილები უკვე თავიანთი ოჯახებით ხარობდნენ. რძლები მერი სონგულია და გული მებონია საკუთარი შვილებივით შეიყვარე. ერთადერთი ქალიშვილის ცხოვრების თანამგზავრი, შენი სიძე გალაქტიონ მხეიძე უსაყვარლესი პიროვნება იყო შენთვის.

ცხრა შვილიშვილისა და 17 შვილთაშვილის დიდი ბებია იყავი.

დიდ შრომასა და ჯაფაში საუკუნე უკან მოიტოვე, ბებო! შენი სპეტაკი სული და გონება სიცოცხლის ბოლო წუთამდე ებრძოდა სიკვდილს. შენი მკურნალი ექიმი, ქალბატონი ნანა ცაავა ყოველთვის დაუზარებლად მოდიოდა შენს მოსანახულებად, ზრუნავდა შენზე და იბრძოდა შენი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, ბევრჯერ მოახერხა კიდეც. შენ არა მარტო მისგან გამოწერილმა წამლებმა მოგაბრუნეს სიცოცხლისკენ, არამედ მის მიერ ტკბილად წარმოთქმულმა გამამხნევებელმა სიტყვებმა დაუბრუნეს შენს გულს სიცოცხლის სურვილი. შენ მას ტკბილი ექიმი შეარქვი, თვითონ კი მოვლილ კოპწია ბებოს გეძახდა. დიდია მისი ამაგი შენდამი, ეს დასაფასებელია. იხაროს ქალბატონმა ნანამ თავის ოჯახთან ერთად!

გვიყვარხარ, ბებო! არ დაგივიწყებთ არასდროს. ჩვენს გულებში მარად იცოცხლებ! ყველას გვაკლიხარ და ძალიან გვენატრები!

მედეა ხუნწარია

იმედა ცუცხუბაია

დევნილი მინიატურები

ჩვენებური ოკუპაცია

ამ გაზაფხულს ჩვეულებრივზე ხშირად მიწევს გადასვლა გალმა. ძალიან მომრავლდა უეცარი სიკვდილიანობის შემთხვევები. მეტწილად გული, გული უჩერდებათ, ვერც ხვდებიან ამ ჯოჯოხეთს თავი რომ დააღწიეს. უთქმელ დარდს და ბოღმას აქაურთა სიცოცხლემოწყურებული გულები ვერ უძლებენ. ცოცხლებს ისღა დაგვრჩენია ყველაფერი ვიღონოთ და გამომშვიდობება შევძლოთ. თანაც აქ ტირილიც ხომ მშობლიურია, რადგან ცრემლები შენს მინაზე ეცემა.

აპრილის ამ მშვენიერ დღესაც ძალიან ახლობელი ადამიანის გამოსამშვიდობებლად მივდივარ. სიკვდილზე არ ფიქრობდა. რამდენიმე დღეში ერთადერთი ქალიშვილის ქორწილი უნდა გადაეხადა. მაგრამ გულმა ვერ გაუძლო და ის სამუდამოდ გაჩერდა.

აქეთობისას, მანქანის მოსვლამდე დრო მრჩება და გასეირნებას გადავწყვეტ. ბაღში ჩემი მოხუცი მეზობელი ზის. ძალიან მიხარია მისი დანახვა და აჩქარებული ნაბიჯებით მივდივარ მასთან. შორიდანვე მიცნო. გადავეხვიე და დაძაბულობისა და ემოციების დასამალად მხარზე ხელს ვადებ და სიცილით ვეკითხები:

— როგორ ხარ ბაბუ, როგორ აქ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე!

— შენ როგორ ხარ, ბაბუ, როგორ იქ, ტვინოკუპირებულ ტერიტორიაზე!

ვიბნები. ცოტა ხანი ჩუმად ვარ და სკამზე ვჯდები.

სად ვარ ბაბუ?! და სად როგორ ვარ?!

თურმე ჩვენებურად ენგურსგამოღმა ცხოვრება ოკუპაციის ნაირსახეობა ყოფილა.

ყოჩაღ ბაბუ! მიგიხვდი და ჭადრების ჩრდილქვეშ ჩვენებურ ამბებზე ვაგრძელებთ საუბარს.

სიკვდილ-სიცოცხლის ცრემლი

დედამ სამი დღის წინ გონება დაკარგა. სიკვდილი გარდაუვალი იყო. საშინელი ტკივილები ისევ აწუხებდა... სახე საშინლად შეწუხებული ჰქონდა... რამდენიმე საათით სახლში უნდა წავსულიყავი, ბავშვებისთვის მომდევნო დღის წიგნები უნდა წამომეღო... დედას შევუარე... ოთახში არავინ იყო, ამით ვისარგებლე, დავიჩოქე და დედის ხელი ხელში ავიღე, თბილი იყო, მესიამოვნა... ცრემლი წამომივიდა... ერთი დედას ხელისგულზე დაეცა... დედამ იგრძნო... თითები აამოძრავა... შეეცადა ხელი მოეჭირა ჩემთვის... დედამ მიცნო, ტუჩების მოძრაობით მივხვდი, რა სიტყვის თქმას ცდილობდა: — შვილო!

დედის ხელი ავიღე და ვაკოცე, ხელიდან ცრემლი გაქრა... სიკვდილის ცრემლი... და უცებ დედის სიკვდილი შევიყვარე...

სახლში მივედი... პატარა მოვიკითხე, მითხრეს სძინავსო... მასთან მივედი... მშვიდად ეძინა... დავიჩოქე... მისი ხელი ხელში ჩავიდევი... ცრემლი წამომივიდა... ერთი კურცხალი ხელისგულზე დაეცა... გაჩერდა... შვილმა მიცნო:

— დედა!

ვაკოცე ცრემლიან ხელზე... ცრემლი გაქრა... ჩემი შვილის სიცოცხლის ცრემლი. შუბლზე ვაკოცე. გავიფიქრე, ღმერთო ისე ნუ დამტანჯავ და მაწამებ, რომ ჩემს შვილს ჩემი სიკვდილი შეუყვარდეს...

სადღაც შუაში...

ბლოკნოტის შუაში... ჰო, სადღაც შუაში მოექცა ჩემი ცხოვრების (და არა მარტო ჩემი) უმთავრესი პერიოდი... პერიოდი, რომელიც იქნება შუაშიც, ბოლოშიც და თავშიც...

უთავბოლო, უგეგმო, უთავო, უმიზნო და უსამართლო ომი, რომელიც ქვეყანას და ხალხს ძვირად დაუჯდება და რომელიც გვაქცევს არასრულყოფილ და უბედურ ადამიანებად.

ჩვენ დევნილები გავხდებით. ეს მოხდება 1993 წლის 30 სექტემბერს, მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ სამი დღეა...

„1993 წელი, 27 სექტემბერი, 23:35

დღეს სოხუმი დაეცა!

დღეს! არა ჩემთვის ის დიდი ხანია დაეცა.

ჩემთვის სოხუმი დაეცა მაშინ, როცა გვითხრეს ქართველ სტუდენტებს ცალკე გექნებათ უნივერსიტეტი, აფხაზებს ცალკე. იმ დღეს ძალიან ცუდად ვიყავი... მახსოვს ნაპირზე გავისეირნე კურსელებთან და საუკეთესო მეგობრებთან ალა ცვიშბასთან და ელენე გორპინენკოსთან... ყავა დავლიეთ, გვესმოდა შეძახილები „სამშობლო, სამშობლო...“

შორიახლო მიტინგი ტარდებოდა... თითქმის არ გვისაუბრია, ისე დავშორდით ერთმანეთს...“

ჩანაწერი დიდია, მაგრამ დღეს იყოს...

* * *

ხვალ სოხუმის დაცემის დღეა.

აფხაზეთში ამ დღეებში სულ ზეიმია.

სულ ვფიქრობ, ნეტა რა აქვთ საზეიმო- მეთქი. ამის თქმის უფლება მაქვს, რადგან დედით აფხაზი ვარ.

მაგრამ, როგორც ქართველს, მაქვს უფლება ვიცოდე, აქ დანარჩენ საქართველოში რა გვაქვს ამდენი საზეიმო?! რომელ გამარჯვებას აღვნიშნავთ ასე დაუსრულებლად და ცეკვა-სიმღერით?!

ვერ გავარკვიე, ან ძალიან სულელი ვარ ან ვიღაც ჩემზე უფრო სულელია...

ამბობენ სულელისთვის გამარჯვება და დამარცხება ორივე ერთიაო. მართალია ვითომ?!

ვის ინდობს წუთისოფელი, ან რა გამოლევს სატკივარს, ხშირად ვიმეორებ ჩემეულ ამ სტრიქონებს და მართლაც რომ არ ილევა საწუხარი და სადარდებელი. კიდევ ერთხელ და ვინ იცის უკვე მერამდენედ ჩამოკრა გლოვის ზარმა წალენჯიხაში...

წლევანდელი ახალი წელი ავად გაუთენდა ლუკავების ოჯახს. ვაგლახ, რა უდროოდ და უცაბედად გაჩერდა ჯერაც ახალგაზრდა კაცის უსაზღვროდ მოსიყვარულე გული. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, წალენჯიხის ქუჩებში ამიერიდან რომ ვერ გაივლის რამინ ნესტორის ძე ლუკავა, ეს მოუსვენარი, ვერცხლის წყალივით დაუდეგარი, სიმართლისათვის, სიკეთისათვის თავგამოდებული პატრიოტი. ვაი, რომ კვლავ და კვლავ გულით კვდებიან გულმხურვალე, გულანთებული და გულმართალი ადამიანები...



რამინ ლუკავა ოჯახთან ერთად

გრანელის პოეზიით სულდგმულობდა

წალენჯიხაში ბევრს უყვარს და გულწრფელად ეთაყვანება ტერენტი გრანელის ჯადოსნურად მომხიბლავ, საოცარ პოეზიას, მაგრამ რამინ ლუკავა ამ მხრივ შეუდარებელი გახლდათ. პოეტის შემოქმედება ისე იყო მის ცნობიერებაში, მის ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ გეგონებოდა, უამისოდ მას არც ეცხოვრებოდა ამქვეყნად. აკი თავად ტერენტის დედა გვარად ლუკავა გახლდათ, ამითაც ამაყობდა ჩვენი რამინი. ტერენტი გრანელისადმი უნაპირო თაყვანისცემა სხვა მრავალთან ერთად, იმითაც დაადასტურა, რომ თავის უფროს ვაჟს დაარქვა დიდი პოეტის სახელი ტერენტი, ხოლო ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების სწორუპოვარ მკვლევარს, ცნობილ პოეტსა და მწერალს ლერი ალიმონაკს მოანათვლინა თავისი პირმშო ტერენტი ლუკავა.

მას შემდეგ, რაც წალენჯიხის კულტურისა და დასვენების პარკს ტერენტი გრანელის სახელი ეწოდა, მისი უცვლელი დირექტორი გახლდათ. სწორედ 1987 წლიდან დაიწყო გრანელის პოეზიის ტრიუმფალური აღმასვლა. გაიხსნა პოეტის სახლ-მუზეუმი, ქალაქის ერთ-ერთ ლამაზ ქუჩას ეწოდა გრანელის სახელი. ეს ყოველივე დიდ სიხარულს ანიჭებდა რამინ ლუკავას. აკი თავადაც მონაწილეობდა პოეტის 90 წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილ ალპინიადაში, რომელმაც დალაშქრა ეგრისის ქედის ყველაზე უმაღლესი და ულამაზესი მწვერვალი, რომელსაც ეწოდა „ტერენტი გრანელის მწვერვალი.“

რამინ ლუკავა სულ იმის ცდაში იყო სათაყვანებელი პოეტის სახელობის პარკი საკადრისად კეთილმოწყობილი და ყველასთვის მიმზიდველი ყოფილიყო. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი დაუოკებელი სურვილი პოეტის ძეგლი მისივე სახელობის პარკში დადგმულიყო, რასაც მეც ვეთანხმებოდი. აკი თავად სულმნათმა ოტია იოსელიანმა საკვარცხლბეკო გრანიტის ლოდი ამავე პარკში დააბრძანა, რითაც ყველაფერი ნათქვამი იყო... თუმცა საბოლოოდ ძეგლის დადგმის ბედი მოქანდაკის სურვილმა გადაწყვიტა.

რამინ ლუკავა გრანელის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მოსწავლე-ახალგაზრდობასთან ერთად

რამინ ლუკავამ იმას მაინც მიაღწია, პარკში ყოფილიყო გრანელის ბარელიეფი და სიმბოლურად აღმართული „სევდის მწვერვალი“. იგი დღენიადაგ იღვწოდა პარკის სხვადასხვა ჯიშის დეკორაციული მცენარეებითა და ვარდ-ყვავილებით დამშვენებისთვის.

დიახაც შრომისმოყვარე იყო, მას გაჩერებულს და დამშვიდებულს ვერ ნახავდით, მაგრამ ეკონომიკურად მაინც უჭირდა, ამადაც წელზე ფეხს იდგამდა, რომ ერჩინა ოჯახი, ყურადღება არ მოკლებოდა მოხუც დედას, თავის სტუდენტ ვაჟს ტერენტის და ჯერაც სკოლის მოსწავლე ბიჭებს ვაჟას და ნიკას. მუდამჟამს იმაზე ზრუნავდა პირნათელი ყოფილიყო ახლო ნათესავებთან, ტოლ-მეგობრებთან ურთიერთობაში.

წალენჯიხის კულტურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების აქტიური მონაწილე იყო. ყველანაირ საზოგადოებრივ საკითხზე თავისებური, დიახაც ორიგინალური მოსაზრება ჰქონდა. თავის საყვარელ ბიჭებს სამშობლოსადმი სიყვარულს, კაცთმოყვარეობის მაღალ თვისებებს უნერგავდა. ნამდვილად ჭეშმარიტი კოლხი კაცის ცხოვრებით ცხოვრობდა.

ჩვენ ერთმანეთს ადრეც ვიცნობდით, მაგრამ ტერენტი გრანელის პოეზიისადმი სიყვარულმა უფრო და უფრო დაგვაახლოვა. ჩემდამი მუდამ მოწიწებას იჩენდა. ჩემი ლექსებიდან ბევრი ზეპირადაც კი იცოდა. განსაკუთრებით მოსწონდა მეგრული ლექსი „კოჩანა“. ხშირად იმეორებდა სტროფს ამ ლექსიდან:

„ართგანი ფერც ითირანც,
მუჟამც ფუჩხას ქოჩანა, —
კოჩანარე ღურა დღაშა
ასქილადირი კოჩანა.“

ვაგლახ, რომ ძალზე ნაადრევად წავიდა ამ წუთისოფლიდან, თორემ კოჩანა, ჭეშმარიტი ადამიანური თვისება სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. რა გაეწყობა, ადამიანის სიცოცხლე იგივე იგავ-არაკივით შინაარსით იზომება და არა სიგრძით. რამინ ლუკავას ცხოვრებას კი შინაარსი არასოდეს დაკლებია.

რამინ ლუკავა არა მხოლოდ თავის მოხუც დედას, ძვირფას ოჯახს, და-ძმას, ახლო ნათესავებს, არამედ წალენჯიხის კულტურულ საზოგადოებას დააკლდა, ის ამიერიდან ხსოვნაში იცოცხლებს, ხოლო მისი ჭკვიანი, ლამაზი ბიჭები მის ასევე ლამაზ სიცოცხლეს გააგრძელებენ, რაც მისი უკვდავებაც არის.

რინოს კვარაცხელია

ნოჯიხური

რედაქტორი — ვალერი ძაძამია

„ნოჯიხურის“ მისამართი: წალენჯიხა — ობუჯი

ლეო ქიაჩელის №36. ტელ: 790 16-96-22; 790 87 83 94

გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

აწყობა და დაკაბადონება — თეა მიშველია

ტელ: 555 49-22-07